სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 14 ივლისი 2000 №133 (1155) | ფასი 50 თეთრი

- *გნებავთ, ევროპის ჩემპიონის პლაკატი?*
- *გნებავთ, ევრო 2000-ის ფოტოგამოხმაურების ხილვა?*
- *ინგლისელი ფანების ამბავი არ გაინტერესებთ?*
- *და რიო? ამობრძანდით „მარაკანას“ ტრიბუნაზე ელგუჯა ბერიშვილთან ერთად*
- *მარი პირსი ფრანგი კია, მაგრამ აბა, ფრანგი საიდან არის...*

ერთი სიტყვით
ორშაბათიდან
ჯიხურებში ჟურნალი
სარბიელი
გელით
ფასი ძველებურად
2 ლარი

ფეხბურთი: ზესახელმწიფო ზეგიუჯეტით!

პრეზიდენტობის კანდიდატი ფიგუში 57 მილიონ დოლარს იძლევა და 75 ათას კაცს ენიძლავება


ლუიშ ფიგუს შემოსვა ძალიან ძვირი ღირს

ფეხბურთს, და არამარტო მას, ასეთი შემთხვევა არ ახსოვს: ერთი პიროვნება ერთდროულად 75 ათას კაცს დაენიძლავა. ეს კაცი ფლორენტინო პერესია, მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტობის მაძიებელი, ის 75 ათასი ადამიანი კი ამავე კლუბის ქომაგი და წევრია.

სიტყვა: ფლორენტინო პერესმა, მისი პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, სეზონის დაწყებამდე „ბარსელონადან“ ლუიშ ფიგუ უნდა გადაიყვანოს.

ფსონი: თუ პერესი სიტყვას ვერ შეასრულებს, თითოეულ დანიძლავებულს „სანტიაგო ბერნაბეუს“ სეზონური აბონემენტი უნდა უყიდოს. აბონემენტი კი 114 დოლარი ღირს. ეს ნიშნავს, რომ ნიძლავის მთლიანი ფსონი 8,55 მილიონი დოლარია.

და თუ კლუბის წევრებმა წააგეს? მაშინ მათ აბონემენტების ყიდვა საკუთარი ფულით მოუწევთ, მაგრამ დიდად არ იდარდებენ — „რეალის“ თეთრმაისურიან ფიგუს ნახავენ. თუმცა ნიძლავი შესაძლოა ჩაიშალოს კიდეც, მას ხომ მხოლოდ მაშინ ექნება ძალა, თუ ფლორენტინო პერესი „რეალის“ პრეზიდენტის სავარძელში მოკალათდა.

ასე რომ, ნიძლავის ბედი 75 ათას პლუს ერთ კაცზეა დამოკიდებული. 75 ათასმა, რომლებიც იმავდროულად „რეალის“ პრეზიდენტის ამომრჩევლები არიან, 16 ივლისს ხმა ფლორენტინო პერესს უნდა მისცენ. ის ერთი კი ლუიშ ფიგუა — ვის ჯიბეში აღმოჩნდება 8,55 მილიონი, მისი გადასაწყვეტია.

იხილეთ მეხუთე გვერდი

4 რომანცევმა ხიზანეიშვილი დაიახლოვა

„სპარტაკის“ მწვრთნელი ახალწვეულ ქართველს „ლოკომოტივთან“ სათამაშოდ ამზადებს

9 ევრო 2000 — სარბიელის თვრთმეები რჩეული

კიდევ კარგი, არ შევჭამეთ კანავაროს პიცა

13 ლომი და ბიზონი ერთმანეთს უღრენენ

ლენოქს ლუისმა და ფრანსუა ბოთამ ლამის ერთმანეთს აგინეს

ქართველები აზიელებთან ამხანაგობენ

რას გვიშველის ირანი და ყაზახეთი იტალიასთან?!

3 **სექტემბერს**, როცა მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის მერვე შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქეები, უნგრეთი და იტალია ერთმანეთს დაუპირისპირდებიან, ჩვენებურები შუა აზიას ესტუმრებიან და ყაზახეთის ნაკრებთან ასტანაში ამხანაგურ მატჩს გამართავენ.

საქართველოს ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი თამაშების პირველ ტურში თავისუფალია: 2 სექტემბერს რუმინეთი ლიტვას მასპინძლობს, მეორე დღეს კი უნგრეთს ევროპის ვიცე-ჩემპიონები უნდა ესტუმრნონ. ჰოდა, ქართველებმაც, უქმად რომ არ იყვნენ, მეტოქე გამონახეს — ყაზახეთის ნაკრები. ჯერჯერობით არ გადაწყვეტილა, როგორი შემადგენლობით დაუპირისპირდება საქართველოს ნაკრები ყაზახებს, თუმც, როგორც უნდა იყოს, არა გვგონია, შესარჩევი მატჩების დაწყებამდე აზიელებთან თამაში წაადგეთ ქართველ ფეხბურთელებს. ამიტომაც, გინდა, არ გინდა, საკითხავი ხდება: — იმ დროისთვის უკეთესი მეტოქის გამონახვა არ შეიძლებოდა, რაღა მაინცდამაინც ყაზახეთი? თუ სამი სექტემბერი ყველა საფეხბურთო ქვეყნის ნაკრების კალენდარში დაკავებული დღეა?

ახლა ისიც საკითხავია, ორი მწვრთნელიდან ეროვნულ გუნდს რომელი უხელმძღვანელებს ასტანაში. რევაზ ძოძუაშვილი და დავით ყიფიანი, ადრე თავადვე თქვეს, შესარჩევი ჯგუფის პირველი ტურის ორივე მატჩს ცალ-ცალკე უნდა დაესწრონ და მეტოქეებზე წარმოდგენა შეიქმნან. ალბათ მწვრთნელთაგან ერთ-ერთი 2-ში რუმინეთ-ლიტვის თამაშს ნახავს, 3-ში უნგერთ-იტალიისასაც, მეორე კი ეროვნულ გუნდს გაჰყვება ყაზახეთში. ან იქნებ ასტანას ორივე ჩავიდეს? იქნებ არც ერთი? ვნახოთ...

შეგახსენებთ, ყაზახეთამდე ჩვენი ნაკრები ერთ ამხანაგურ მატჩსაც გამართავს: 16 აგვისტოს ირანში მასპინძელთა ნაკრებს ეთამაშება. მექსიკელებთან იტალიაში 29 აგვისტოს დაგეგმილი შეხვედრა კი, როგორც ჩანს, აღარ შედგება.

ძოგა ინასარიძე

ბეითარის მატჩება და დანაკლისი

საქართველოს ვიცე ჩემპიონი თბილისის „ვიტ ჯორჯია“ დღეს გერმანიას მიემგზავრება 18-დღიან შეკრებაზე. უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე მათი მეტოქე იერუსალიმის „ბეითარი“ კი მომავალ კვირაში 14 დღით შვეიცარიას ესტუმრება და „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩებისთვის იქ მოემზადება.

როგორც ჩვენმა ებრაელმა კოლეგამ გუშინ გვაცნობა, „ბეითარმა“ თელ-ავივის „ჰაპოელიდან“ ერთი წლით ინათხოვრა ისრაელის ნაკრების ფეხბურთელი, საკმაოდ გამოცდილი მარჯვენა მცველი ძელიკს კალფონი. მწვრთნელ ელი გუტმანს მისი ძალიან ეიმედება — უეფას თასზე თამაშამდე ძლიერი მცველი გვჭირდებოდა, ასეთ ფეხბურთელს კარგა ხანს ვეძებდი და მივაგენი კიდეც. ის ჩვენთვის დიდი ძალა იქნება — უთხრა ჟურნალისტებს გუტმანმა.

სამაგიეროდ კი გუტმანს ერთი საწუხარიც აქვს. გასული სეზონის მიწურულს კლუბის ლიდერი, ნახევარმცველი იოსი აბუქსისი მძიმედ დაშავდა და, აქამდე მწვრთნელს ექიმები რომ აიმედებდნენ „ვიტ ჯორჯიასთან“ მატჩამდე აბუქსისი გამოჯანმრთელდებაო, ახლა განაცხადეს, იოსის ერთ-ორ თვესაც მოუწევს მკურნალობაო.

მოსკოვის „სპარტაკიდან“ „ბეითარში“ ახლახან გადაბარგებულ რუს ვალერი კეჩინოვს კი კლუბი ალბათ არ დაიტოვებს. ფეხბურთელს კონტრაქტთან დაკავშირებით პრობლემები ჰქონია.

ქობა ინასარიძე

ესენი ვინ ყოფილან?!

არჩილ არველაძე ალექსანდრე იაშვილს ოთხით ჩამორჩა

...„TSV ლანგეოგის“ კარში ცხრა გოლი „ფრაიბურგის“ ახალწვეულმა, ფრანგული „სტრასბურიდან“ ახლახან შეძენილმა რეჯის დორნმა გაიტანა, ექვსი — ალექსანდრე იაშვილმა. დანარჩენი გოლები კი სხვა ფრაიბურგელებმა გაინაწილეს.

კი მაგრამ, მატჩი რა ანგარიშით დასრულდაო, იკითხავს მკითხველი.

რა ანგარიშით და... 31:1, დიახ ოცდათერთმეტით ერთი. აი, ასე დაიბრიყვა „ფრაიბურგმა“ პორტუგალიური შეკრების ბოლო დღეს ადგილობრივი კლუბი — „TSV ლანგეოგი“.

ამას წინათაც გატყობინებდით გერმანული „ფრაიბურგის“ ერთი ტრადიციის შესახებ. რაც ამ კლუბის თავკაცად ფოლკერ ფინკე დაინიშნა, „ფრაიბურგი“ ახალი სეზონისთვის მზადებას სულ ამ ადგილას იწყებს. ამჯერადაც ასე იყო: ფინკემ ფეხბურთელები ალბუფეირისკენ მეათედ წაიყვანა. და კიდევ ერთი ტრადიცია — „ფრაიბურგი“ შეკრების ბოლო დღეს ყოველთვის „TSV ლანგეოგს“ ეთამაშება და, ბუნებრივია, სასტიკადაც ანადგურებს, თუმც 31:1 მაინც მეტისმეტია. რაც არ უნდა იყოს, 31 გოლს გატანა უნდა. დამეთანხმებით, ვინც არ უნდა იყოს მეტოქე, მისი საშუალოდ ყოველ 2 წუთსა და 55 წამში დამწუხრება ძალიან ძნელი საქმეა.

ასეა თუ ისე, „ფრაიბურგმა“ მასპინძლები არ დაინდო და ისე გაიხადა საქმე, ვინძლო მოსამზადებლად იქ ვეღარც ჩავიდეს. ფინკე კი შეკრებიდან ახალდაბრუნებულ ფეხბურთელებს მომავალი საკონტროლო მატჩისთვის ამზადებს. დღეს „ფრაიბურგი“ „კონსტანც 1900“-ს ეთამაშება. ალსანიშნავია, რომ ფრაიბურგელები „TSV ლანგეოგთან“ ჩატარებულ საკონტროლო შეხვედრას აინუნშიც არ აგდებენ და საწვრთნელი მატჩების ათვლის წერტილად სწორედ დღევანდელი თამაში შეურჩევიათ.

გუშინწინ მეორე საკონტროლო შეხვედრა ჩაატარა პირველი ბუნდესლიგის კიდევ ერთმა კლუბმა — არჩილ არველაძის „კიოლნმა“. კიოლნელებმა „ბერგიშ გლადბახი“ 6:0 დაამარცხეს. პირველ ტაიმში ვოლიტცისა და კიხონის ორ გოლს მეორე ტაიმში ბარანეკმა, ვუკომანოვიჩმა და არჩილ არველაძემ კიდევ ოთხი დაუმატეს. დუბლი არველაძემ შეასრულა.

შეგახსენებთ, აჩიკომ ამას წინათ ერთი ბურთი სამხარეო ლიგის „რიხრატსაც“ გაუტანა.

„დარწმუნებული ვარ, არველაძე „კიოლნის“ საუკეთესო მეგოლე იქნება“ — განუცხადა იაშვილმა ამას წინათ მასმედიას. ჟურნალისტებს „ფრაიბურგის“ სხვა ორი ქართველი — ლევან კობიაშვილი და ლევან ცქიტიშვილიც გაესაუბრნენ.

„გასული ჩემპიონატით კმაყოფილი დავრჩი. 22 მატჩი ვითამაშე და ექვსი გოლი შევაგდე. მაგრამ ამით დაკმაყოფილებას არ ვაპირებ. მსურს, ჩემი თამაშით სოლიდური კლუბები დავაინტერესო. კონტრაქტის მიხედვით, „ფრაიბურგში“ ერთი სეზონილა დამრჩა და უფრო ძლიერ გუნდში მოხვედრაზე ვფიქრობ“ — თქვა კობიაშვილმა და იქვე ორაზროვნად დააყოლა, გაისად ფინკემ შესაძლოა „ლევერკუზენის“ თავკაც კრისტოფ დაუმის ადგილი დაიკავოს. იგი ხომ გერმანიის ნაკრებს იბარებსო. ცქიტიშვილმა კი, „ფრაიბურგთან“ კონტრაქტი კიდევ ორი წელი მაკავშირებს, ვეცდები, ამ ხნის განმავლობაში ჩემი შესაძლებლობები გამოვამჟღავნოო.

ვანო ოქროპირიძე

არჩილ არველაძე

ალექსანდრე იაშვილი

ფარერელთა კარში პირველი გოლის გამტანი დეიან ილიჩი (მარცხნივ)

კუნძულები უკან დარჩა

„ტორპედო“ მარტო „ცრვენა ზვეზდაზე“ ფიქრობს

კლაქსვიკი
12 ივლისი
2 500 მაყურებელი
ჩემპიონთა ლიგის
I საკვალიფიკაციო ეტაპი

კლაქსვიკარი 0:3 ცრვენა ზვეზდა

0:1 ილიჩი (43), 0:2 სტევანოვიჩი (68), 0:3 მირკოვიჩი (90)
ცრვენა ზვეზდა: კოციჩი, მარკოვიჩი, ლალატოვიჩი, ილიჩი, გლოგოვაცი, ბაიცეტიჩი, გვოზდენოვიჩი, ლერინცი (გეორგიევსკი 80), დრულიჩი (მირკოვიჩი 70), სტევანოვიჩი, ბოშკოვიჩი (მარკოსკი 72)
მწვრთნელი: სლავოლიუბ მუსლინი
მსაჯი: კიელ ალსენი (ნორვეგია)

ფარერული „კლაქსვიკარის“ გულშემატკივრობა თუ მოგვიწევდა ქართველებს, ამას ვერასდროს წარმოვიდგენდი, გუშინწინ, ღამე, რედაქციაში ზარი არ შეწყვეტილა, ფარერელების ამბავს კითხულობდნენ გულშემატკივრები. ბუნებრივია, დარეკეს სამაისო ქალაქიდანაც, ქუთაისელებს საყვარელი გუნდისთვის ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე მეტოქედ „კლაქსვიკარი“ სურდათ, მაგრამ ეს რომ მხოლოდ ოცნება იყო, საპირველეტაპო კენჭისყრის დამთავრებისთანავე გაცხადდა. აბა, მოყვარული კუნძულელები „წითელ ვარსკვლავებს“ როგორ შეეთამაშებოდნენ, მაგრამ გუშინწინდელ მატჩში პირველი ტაიმის ბოლომდე სალი კლდესავით კი იდგნენ. მოულოდნელად იუგოსლავიელებს გაუჭირდათ მეტოქის დაცვის ხაზის გარღვევა. ასე გაგრძელდა 43-ე წუთამდე, მერე კი ილიჩმა როგორც იქნა, ნავსი გატეხა და თავისიანები დააწინაურა. გოლიდან ერთი წუთის შემდეგ „ცრვენა ზვეზდას“ საქმის მომთავრებაც შეეძლო, მაგრამ ლერინცმა თერთმეტმეტრიანი ვერ გამოიყენა.

ერთ-ერთი იუგოსლავიური გაზეთის ცნობით, შესვენებაზე სტუმართა თავკაცმა სლავოლიუბ მუსლინმა გვარიანად შეაფუცხუნა შეგირდები, თუმც ამან კარგა ხანს შედეგი არ გამოიღო, მეტიც მეორე გოლამდე კუნძულელები ერთობ გაუშინაურდნენ სტუმართა ნახევარს და რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს კოციჩის კართან, მაგრამ კლასი რომ ბევრის განმსაზღვრელია ფეხბურთში, ამაში, მგონი, ეჭვიც არავის ეპარება და 68-ე წუთზე სტევანოვიჩმა „ტორპედოს“ მიაახლოვა თავისი გუნდი. მსაჯის მიერ წამატებულ წუთებში მირკოვიჩმა მესამეც გაუტანა მოყვარულ კუნძულელებს და ორმატჩიან დუელში საბოლოო გამარჯვებულის ბედიც ფაქტობრივად გაირკვა. ჩვენი ინფორმაციით, „წითელი ვარსკვლავები“ მშვიდობით დაბრუნდნენ ბელგრადში და ახლა კლუბის ბაზას ნატოს ბომბი თუ არ დაეცა, „ტორპედოს“ მეტოქე სწორედ „ცრვენა ზვეზდა“ იქნება.

პოტენციურ მეტოქის შესასწავლად „ტორპედოს“ წარმომადგენელთან ფარერებს არავინ სწვევია, ჩვენი ინფორმაციით, საქართველოს ჩემპიონი მზვერავს ბელგრადში, განმეორებითი მატჩისას მიავლენს.

პაატა ქვანტალიანი

იბერიამ მოსკვიჩზე მოიგო

მეთორმეტე ეროვნულისათვის სამზადსს სამტრედიის „იბერია“ მოსკოვში რომ გადის, ადრეც ვწერდით. რუსეთის დედაქალაქს ჩასული ახალგაზრდა იბერიელები ერთი კვირა ფიზიკური ვარჯიშებით იყვნენ დაკავებულნი, გუნდი ქალაქის ცენტრში, არბატზე მდებარე ერთ-ერთ სპორტულ ბაზაზე გადიოდა წვრთნას.

გუშინ კი სოსო ფრუიძის შეგირდებმა პირველი საკონტროლო თამაშიც გამართეს. სამტრედიელები „მოსკვიჩის“ სტადიონზე „სმენას“ დაუპირისპირდნენ. ეს მოსკოვური გუნდი ახლა რუსულ მეორე დივიზიონში გადასასვლელად იბრძვის. „სმენას“ პრეზიდენტი ჩერნოზუბოვი ის კაცი ყოფილა, ვისაც ერთ დროს ფოთის „კოლხეთში“ უმუშავია მთავარ მწვრთნელად.

სამტრედიელებმა აღმავლობით ითამაშეს, ისინი მთელი შეხვედრის განმავლობაში ფლობდნენ უპირატესობას და საბოლოოდ დიდი ანგარიშითაც გაიმარჯვეს — 3:0. „სმენას“ კარში ორი ბურთი დავით ნოზაძემ გაიტანა, ერთი კი ნიკოლოზ გიორგაძის ანგარიშზეა.

„იბერიამ“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა პირველი საკონტროლო: ა. ჩომახიძე, ჟვანია, სანიკიძე, ბანძელაძე, ხმალაძე, მუმლაძე, ნოზაძე, ჩიმაკაძე, ოდიკაძე, ზ. მეტრეველი, გიორგაძე.

ჩვენებურთა მომდევნო მეტოქე სავარაუდოდ მოსკოვის „სპარტაკის“ ფარმკლუბი იქნება, რომელიც მეორე დივიზიონის დასავლეთის ზონაში ასპარეზობს. რაღა თქმა უნდა, სამტრედიელები „სპარტაკი-2“-ს იმ შემთხვევაში გაეჯიბრებიან, თუ „იბერია“ მოსკოვში დარჩება. დიახ, არის მეორე ვარიანტიც. შესაძლებელია, ორ-სამ დღეში სამტრედიელებმა ტოლიატში გადაინაცვლონ და იქ გააგრძელონ წვრთნა.

იუზა ქაციტაძე ქუთაისიდან

ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი

- სუ ჯოკ აკუპუნქტურა
- სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
- კვებისა და ფიზიკური რეჟიმის კორექცია (აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით.

თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი
ტელეფონი: 31-55-35, 38-67-56

ძოძუაშვილი ლოკომოტივიდან თურქეთში წავიდა

შარშან წყალტუბოს „სამგურალში“ თავგამოჩენილი, მერე კი თბილისის „ლოკომოტივში“ გადმობარგებული და ზამთარში კიპროსის საერთაშორისო ტურნირის დროს საქართველოს ეროვნული გუნდის წევრი მერაბ ძოძუაშვილი დღესდღეობით თურქეთშია და უმაღლესი დივიზიონის „ერზურუმსფორთან“ ერთად ვარჯიშობს.

ჯერჯერობით გარკვეული არ არის, დარჩება თუ არა ძოძუაშვილი თურქეთში, გუნდის მწვრთნელები ჩვენებურს აკვირდებიან და მისი მომზადების დონე თუ დაკმაყოფილებთ, თბილისის „ლოკომოტივთანაც“ დაიწყებენ მოლაპარაკებას.

ისე კი რკინიგზული კლუბის ხელმძღვანელობა წინააღმდეგი არ არის, მერაბ ძოძუაშვილმა კარიერა მეზობელ ქვეყანაში გააგრძელოს.

თურქეთისვე, ოღონდ პირველი დივიზიონის „რიზესფორი“ კი ლატვიის „სკონტოში“ მოთამაშე ქართველი თავდამსხმელით დავით ჩალაძით დაინტერესდა. თურქებმა „სკონტოს“ თავიანთი სურვილი უკვე გაანდეს და ლატვიელებს სთხოვეს, ქართველი თავდამსხმელი უსაშველოდ ძვირი არ დაეფასოთო. „სკონტოსგან“ ჯერ არაფერი ისმის, არც ის თანხაა ცნობილი, რომელსაც „რიზესფორს“ მოსთხოვენ დავით ჩალაძის სანაცვლოდ.

ზაზა დარჩია ფოტო

მერაბ ძოძუაშვილი

ძოგა ინასარიძე

19 ან 20 აგვისტო: მეთორმეტე თორმეტისთვის

საქართველოს XII ეროვნული ჩემპიონატის კალენდარი ფეხბურთის ფედერაციას ჯერ არ შეუდგენია, თუმცა გადაწყვეტილი კი არის, რომ ახალი სეზონი უმაღლესი ლიგის 12 გუნდისთვის 19 ან 20 აგვისტოს დაიწყება. გაჩნია, საქართველოს ნაკრები 16 აგვისტოს ირანში, იქაურებთან გამართული ამხანაგური მატჩის შემდეგ შინ რომელი გზით გამოემგზავრება, ბაქოს გავლით, როგორც ეს დაგეგმილია, თუ პირდაპირ, ჩარტერული რეისით.

ფეხბურთის ფედერაცია XII ჩემპიონატის დაწყების თარიღის დადგენისას, ორი ქართული გუნდის — „ვიტ ჯორჯიასა“ და „ლოკომოტივის“ უეფას თასის საკვალიფიკაციო ეტაპზე თამაშსაც გაითვალისწინებს. მოგეხსენებათ, ამ გუნდებს ისრაელის „ბეითართან“ და სლოვაკურ „სლოვანთან“ საპასუხო მატჩები 24 აგვისტოს აქვთ ჩასატარებელი.

რაც შეეხება პირველ ლიგას, ფედერაციის პრეზიდენტი და გენერალური მდივანი 25 ივლისს ამავე ლიგაში მოთამაშე თორმეტივე გუნდის პრეზიდენტს შეხვდებიან და მაშინ დაადგენენ, როდის დაიწყოს ჩემპიონატი, სავარუდოდ, ეს სექტემბერის დამდეგს იქნება.

რეგიონალური ლიგის გუნდებისთვის კი ახალი სეზონი პირველლიგელებზე ერთი თვით გვიან დაიწყება.

ძოგა ინასარიძე

ზურაბ ფოფხაძე რაულს დაუმეგობრდა

ლლეიდან „სარბიელის“ „ლეგიონერთა“ გაღარიბებულ გამოშვებებს უკრაინაში მყოფი ქართული ლეგიონი ოდნავ გაამდიდრებს, მომავალი კვირიდან კი შვეიცარიაში მოთამაშე ჩვენებურები სოლიდურობას დაატყობენ.

ოთხშაბათს უკრაინაში ახალი საფეხბურთო სეზონი გაიხსნა, მეათე ეროვნული ჩემპიონატი დაიწყო.

ჩვენი არ იყოს, უმაღლეს ლიგაში მონაწილე კლუბების რაოდენობის შემცირება უკრაინელებსაც ჭკუაში დაუჯდათ. დაუჯდათ და ჩანაფიქრი უმალ საქმედ აქციეს. წლეულს იქაურ ელიტაში 14 კლუბიღა ითამაშებს, აქედან ექვსია ისეთი, რომლის ღირსებასაც ქართველი ფეხბურთელები დაიცავენ.

ზემოთ ელიტა ვახსენეთ, თუმცა სამართალი რომ იყოს, ყველაზე „ქართულ“ უკრაინულ გუნდ ტერნოპოლის „ნივას“ სულაც არაფერი ესაქმება უმაღლეს ლიგაში. ალბათ იკითხავთ, გუნდმა, რომელშიც ავთანდილ და ტარიელ კაპანაძეები, კახა დგებუაძე, ავთანდილ გვიანიძე, ავთანდილ სიხარულიძე და შოთა ჩომახიძე (ირაკლი შენგელიას თაობაზე საბოლოო სიტყვა ნიველებს ჯერაც არ უთქვამთ) თამაშობენ, პრეზიდენტად კი ავთანდილ მღინარაძე ჰყავს, ასეთი რა დაშავაო. დაშავებით არც არაფერი, მაგრამ...

მატჩისწინა დღეს „ნივამ“ ჯერაც არ იცოდა, ჩავიდოდა თუ არა სიმფეროპოლში „ტავრიასთან“ პირველი ტურის მატჩის სათამაშოდ. მიზეზი კი ქართველთათვის კარგად ნაცნობია — გუნდს ფინანსური პრობლემები აწუხებს. ეს შეხვედრა ჩაშლის პირას იყო მისული, როცა კლუბს მხსნელად ტერნოპოლის მერია მოევლინა, რომელმაც მგზავრობის ფული გამონახა. „ნივაც“ „ტავრიას“ ესტუმრა, თუმც ერთობ შესუსტებული შემადგენლობით. ექვსი ქართველიდან მხოლოდ ორმა — დგებუაძემ და გვიანიძემ ითამაშეს. ძმები კაპანაძეების, ჩომახიძისა და სიხარულიძის არყოფნის მიზეზზე უკრაინული საინფორმაციო სააგენტოები არაფერს იტყობინებიან, თუმც ყველაზე სარწმუნო ვერსია ალბათ ფულს უნდა უკავშირდებოდეს. გუნდს, რომელსაც ბიუჯეტში მგზავრობის თანხა არ მოეძებნა, ბუნებრივია, არც ხელფას-პრემიის გასტუმრების თავი ექნება, ჰოდა...

„ნივაც“ პირწმინდად დამარცხდა. სიმფეროპოლელებმა, რომელთა შემადგენლობაშიც ფოთის „კოლხეთიდან“ ახლახანს გადასული გოჩა ტრაპაიძე არ გამოჩენილა, მეტოქის კარში გატანილი სამი გოლიც იმყოფინეს. შეხვედრა „ტავრიამ“ 3:0 მოიგო და „ნივას“ პირველი ტურიდანვე თავისი ადგილი მოუჩინა — ტერნოპოლელები ბოლო, მე-14 საფეხურზე დამკვიდრდნენ.

პირველ ტურშივე დაკარგა ქულები უკრაინული ფეხბურთის ფლაგმანმა კიევის „დინამომ“, რომელსაც „დნიპროსთან“ საგარეო მატჩში მძიმე ტრავმის გამო კახა კალაძე არ ჰყავდა. სამაგიეროდ, ძირითად შემადგენლობაში იყო მეორე ჩვენებური — გიორგი დემეტრაძე. გიორგის მწვრთნელებმა 78-ე წუთამდე უცადეს, მერე კი, რომ შეატყვეს, არაფერი გამოსდიოდა, დასვენეს. შეხვედრა ფრედ დასრულდა — 1:1.

ალექსანდრე კაიდარაშვილი „კრივბასმა“ საჩემპიონატო განაცხადში კი შეიყვანა, მაგრამ ალეკო ალბათ მალე დატოვებს გუნდს. მას ერთ-ერთი ბელგიური კლუბი ეპატიჟება. „კარპატთან“ უთამაშებლობის მიზეზიც ეს იყო.

ტრაპაიძის მსგავსად შემადგენლობაში ვერ მოხვდა ცსკა-ს ქართველი ვიტალი დარასელია.

ათდღიანი შესვენების შემდეგ გასულ შაბათ-კვირას რუსეთშიც გაიმართა ტური — ერთ-ერთ მატჩში „ქართული“ კლუბები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. სამარაში „კრილია სოვეტოვმა“ ზაზა ჯანაშიას „ლოკომოტივს“ უმასპინძლა და 0:2 დამარცხდა. დათო გვარამაძეს ამ შეხვედრაში არ უთამაშია. ზურაბ ფოფხაძემ კი მინდორზე 55 წუთი გაატარა და პენალტის გაცუდებაც მოასწრო. პირველი ტაიმის მიწურულს, როცა სტუმრები 1:0-ს იგებდნენ, ზურაბმა თერთმეტი მეტრიდან ისე დარტყა, რუს ჟურნალისტებს რაულის საფრანგეთის ნაკრებთან აცილებული პენალტი გაახსენდათ, ფოფხაძე რაულის მეგობარი ყოფილა და არ ვიცოდითო. ფოფხაძისა არ იყოს, მწვრთნელებმა საკმაოდ აქტიური ჯანაშიაც გამოცვალეს (67-ე წუთზე). ამ ცვლილების შესახებ მოსკოველთა თავკაც იური სიომინსა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზეც ჰკითხეს.

ჯანაშია ახლა თავისი შესაძლებლობების 70 პროცენტს ავლენს, წონაც ახლახან დაიკლო, თანაც ბულიკინი მას არაფრით ჩამოუვარდება და რატომ არ უნდა შემეცვალაო, აქეთ ჰკითხა სიომინმა ჩვენს კოლეგებს.

„სილაგაძე მომეწონა, დაცვაში საიმედოდ ითამაშა“ — შეაქო შეგირდი ვორონეჟში „ფაკელთან“ შეხვედრის შემდეგ „ალანიას“ მთავარმა მწვრთნელმა ალექსანდრ ავერიანოვმა. ამ მატჩში, რომელიც უგოლოდ 0:0 დასრულდა, წერეთელმა და აშვეთიამაც ითამაშეს.

კვლავ „როსტსელმაშის“ სათადარიგოებში მოჰკრავდით თვალს ახალგაზრდა ქართველ მეკარე დავით ხმელიძეს. მას ალბათ კიდევ დიდხანს მოუწევს იქ ჯდომა. თავად განსაჯეთ, ვოლგოგრადში „როტორთან“ 0:3 წაგებულ შეხვედრაში როსტოველთაგან საუკეთესოდ ხმელიძის კონკურენტი სავჩენკო აღიარეს.

რუსეთის პირველ დივიზიონში კი ორი ტურის ჩატარებაც მოასწრეს. ორივეში დამარცხდა მიხეილ ჯიშკარიანის „ტორპედო ზილი“, თუმცა გუნდმა მეორე ადგილის შენარჩუნება მაინც შეძლო. კლუბის თავკაცმა ბორის იგნატიევმა ნალჩიკის „სპარტაკთან“ (0:3) ჩვენებური ბოლო ნახევარი საათი ათამაშა. „ჟემჩუჟინასთან“ კი მიშა 85-ე წუთზეღა შეუშვა მინდორზე. რაც მთელმა „ტორპედო ზილმა“ 85 წუთში ვერ შეძლო, ჯიშკარიანი დარჩენილ წუთებში როგორ შეძლებდა?

უიმედო აუტსაიდერმა სანკტ პეტერბურგის „ლოკომოტივმა“ კი ამ ორ ტურში გმირობა ჩაიდინა — 4 ქულა შესძინა აქტივს, თუმცა მდგომარეობა მაინც ვერ გამოისწორა. ლოკომოტიველი გიზო ჯელაძე ერთადერთია ლეგიონერების ამ გამოშვებაში, ვინც გოლის გატანა შეძლო.

საერთოდ ამ კვირის ქართული მონაგარი ძალიან მწირი გამოდგა. იმედია, ამ დანაკლისს ჩვენებურები მომავალ მატჩებში აინაზღაურებენ.

ვანო ოძროპირიძე

ზურაბ ფოფხაძე

სარბიელის არქივიდან

სახელი	გვარი	გუნდი		სად მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
რუსეთი									
უმაღლესი ლიგა									
ზაზა	ჯანაშია	ლოკომოტივი	ს	კრილია 2:0	67	შეცვალეს	8	1	2
ოთარ	ხიზანეიშვილი	სპარტაკი	შ	ურალანი 2:0	0	ვერ განაცხადეს	0	0	1
მიხეილ	აშვეთია	ალანია	ს	ფაკელი 0:0	63	შეცვალეს	14	4	9
ლევან	სილაგაძე	ალანია	ს	ფაკელი 0:0	90	გაფრთხილეს	12	1	9
მამუკა	წერეთელი	ალანია	ს	ფაკელი 0:0	90		11	0	9
დავით	გვარამაძე	კრილია	შ	ლოკომოტივი 0:2	0	სათადარიგო	6	-11	12
ზურაბ	ფოფხაძე	კრილია	შ	ლოკომოტივი 0:2	55	შეცვალეს	7	0	12
დავით	ხმელიძე	როსტსელმაში	ს	როტორი 0:3	0	შემადგენლობაში ვერ მოხვდა	0	0	11
ალექსანდრე	გოგობერიშვილი	ანჟი		ტური გამოტოვა	0		1	0	4
პირველი ლიგა									
მიხეილ	ჯიშკარიანი	ტორპედო ზილი	ს	სპარტაკი ნალ. 0:3	30	შეცვლაზე ითამაშა	5	0	2
ზვიად	ჯელაძე	ლ.პეტერბურგი	ს	კრისტალი 1:3	90	1 გოლი, გაფრთხილეს	12	1	20
გიზო	ჯელაძე	ლ.პეტერბურგი	ს	კრისტალი 1:3	90	გაფრთხილეს	14	0	20
ბახვა	ამბიძე	ვოლგარი	ს	სპარტაკი ჩუკ. 7:3	45	შეცვალეს	5	1	13
გოჩა	გოგრიჭიანი	ჟემჩუჟინა	შ	ტომი 1:1	0	ტრავმა	13	4	10
მიხეილ	ჯიშკარიანი	ტორპედო ზილი	ს	ჟემჩუჟინა 0:1	5	შეცვლაზე ითამაშა	6	0	2
ზვიად	ჯელაძე	ლ.პეტერბურგი	შ	შინიკი 2:2	90		13	1	20
გიზო	ჯელაძე	ლ.პეტერბურგი	შ	შინიკი 2:2	90	გაფრთხილეს	14	0	20
ბახვა	ამბიძე	ვოლგარი	ს	რუბინი 1:3	0	სათადარიგო	5	1	13
გოჩა	გოგრიჭიანი	ჟემჩუჟინა	შ	ტორპედო ზილი 1:0	0	ტრავმა	13	4	8
უკრაინა									
უმაღლესი ლიგა									
კახა	კალაძე	დინამო	ს	დნიპრო 1:1	0	ტრავმა	0	0	8
გიორგი	დემეტრაძე	დინამო	ს	დნიპრო 1:1	78	შეცვალეს	1	0	8
ალექსანდრე	კაიდარაშვილი	კრივბასი	შ	კარპატი 5:2	0		0	0	1
ვიტალი	დარასელია	ცსკა	ს	სტალი 2:1	0	სათადარიგო	0	0	6
ავთანდილ	კაპანაძე	ნივა	ს	ტავრია 0:3	0		0	0	14
ტარიელ	კაპანაძე	ნივა	ს	ტავრია 0:3	0		0	0	14
კახა	დგებუაძე	ნივა	ს	ტავრია 0:3	90		1	0	14
ავთანდილ	გვიანიძე	ნივა	ს	ტავრია 0:3	90		1	0	14
ავთანდილ	სიხარულიძე	ნივა	ს	ტავრია 0:3	0		0	0	14
შოთა	ჩომახიძე	ნივა	ს	ტავრია 0:3	0		0	0	14
ირაკლი	შენგელია	ნივა	ს	ტავრია 0:3	0	განაცხადს ელოდება	0	0	14
გოჩა	ტრაპაიძე	ტავრია	შ	ნივა 3:0	0	სათადარიგო	0	0	3
აკაკი	დევაძე	მეტალურგი ზ.	ს	მეტალურგი მ. 1:3	0	განაცხადს ელოდება	0	0	11
ლატვია									
უმაღლესი ლიგა									
დავით	ჩალაძე	სკონტო	შ	ვენტსპილსი 0:0	90	ტრავმა	13	4	1
ალექსანდრე	რეხვიაშვილი	სკონტო	შ	ვენტსპილსი 0:0	0	დისკვალიფიცირებულია	11	1	1
ზურაბ	მენთეშაშვილი	სკონტო	შ	ვენტსპილსი 0:0	90		10	3	1
ლევან	კორლალიძე	სკონტო	შ	ვენტსპილსი 0:0	18	შეცვლაზე ითამაშა	11	3	1
ვალერი	გაგუა	პოლიციასი	შ	მეტალურგსი 2:3	24	გოლი, გაფრთხილება	10	1	8
ჩემპიონთა ლიგა I საკვალიფიკაციო ეტაპი									
დავით	ჩალაძე	სკონტო	შ	შამქირი 2:1	0	ტრავმა	0	0	0
ალექსანდრე	რეხვიაშვილი	სკონტო	შ	შამქირი 2:1	90	გაფრთხილება	1	0	0
ზურაბ	მენთეშაშვილი	სკონტო	შ	შამქირი 2:1	71	გაფრთხილება, შეცვალეს	1	0	0
ლევან	კორლალიძე	სკონტო	შ	შამქირი 2:1	19	შეცვლაზე ითამაშა	1	0	0

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

ითამაშებს ხიზანეიშვილი?

„ეს უმადურობაა. ოთარ ხიზანეიშვილს უჩვენოდ მოსკოვის „სპარტაკთან“ კონტრაქტი არ უნდა გაეფორმებინა. ის „დინამოში“ გაიზარდა, თავად თქვას, რა გაუკეთა „დინამომ“ მას. ხელფასი იყო, პრემია, პატივისცემა, ოთარს ჩვენგან არაფერი დაჰკლებია.

...თუმცა არ გამოვრიცხავ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ ფეხბურთელის დროებითი ტრანსფერი „სპარტაკს“ ფულის გადახდამდეც გაუგზავნოს.

„დინამოს“ პრეზიდენტი მერაბ რატიანი უკმაყოფილო იყო, მაგრამ ალბათ მინც წავა დათმობაზე.

ჩვენ ვერაფერს მოგახსენებთ „დინამოს“ და ხიზანეიშვილის ურთიერთობაზე. არც ის ვიცით, რა ჰქონდა და რა აკლდა ფეხბურთელს კლუბში. ფაქტი მხოლოდ ერთია, ხიზანეიშვილი „სპარტაკის“ ფეხბურთელია, რომანცევს ჩვენებური მოსწონს და მისი ეიმედება.

ხვალ რუსეთის უმაღლეს დივიზიონში მორიგი ტური იწყება. ზეგ კი ტურის ცენტრალური და ჩემპიონატის ერთ-ერთი უპრინციპულესი მატჩია. მოსკოვის „ლოკომოტივი“ რუსთა სახალხო გუნდის დამარცხებას ეცდება.

მოდით, დროებით ჩვენი ფეხბურთის პრობლემები დავივიწყოთ და „სპარტაკის“ პატრონისა და თავკაცის სატკივარი ვიკითხოთ. რომანცევს საიმმატჩოდ პრობლემები მოსძალებია.

„ახლა გადაჭრით რამის თქმას აზრი ეკარგება. „სპარტაკს“ უკანა ხაზში პრობლემები გაუჩნდა. ხლესტოვი „ბეშიქთაშში“ გავუშვით, ანანკო და კოვტუნი ტრავმებისგან ჯერაც არ განკურნებულან. საეჭვოა პარფიონოვის თამაშიც.

არ ვიცი, ვის ვენდობი. დანამდვილებით იმასაც ვერ გეტყვით, ხიზანეიშვილი აუცილებლად ითამაშებს თუ არა, მაგრამ იმას კი გაგიმხელთ, რომ ოთარი საიმატჩოდ თამაშის ოქმში აუცილებლად იქნება“.

ოთარ ხიზანეიშვილი

ბადრი კეთილაძის ფოტო

ოლეგ რომანცევი დარწმუნებულია, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან ყველა პრობლემის მოგვარებას მოასწრებს და ხიზანეიშვილიც სრულფასოვანი სპარტაკელი გახდება.

დათო დანელია

ტყებუჩავა დინამოს დაუბრუნდა

თბილისის „დინამოს“ ახალდანიშნულმა მწვრთნელმა რევაზ არველაძემ გუშინ თავისი თანაშემწეებიც დაგვისახელა — მას გუნდის გაწვრთნაში ყოფილი მეკარე ნიკოლოზ ჩხეიძე და ყველასათვის ალბათ კარგად ნაცნობი, თუმც ბოლო ხანს მივიწყებული, ადრე „დინამოსა“ და „გურიასა“ ფეხბურთელი, მერე უცხოეთში მოთამაშე გორა ტყებუჩავა. აქამდე „დინამოს“ მწვრთნელის მოვალეობის შემსრულებელი ჯემალ ჩიმაკაძე კი უმცროს დინამოელებს ავარჯიშებს, ისევე როგორც გელა ჭანტურია.

ნიკა ჩხეიძე რევაზ არველაძის დიდი ხნის მეგობარია, ისინი გერმანულ „ჰომბურგშიც“ და ერთი თვის წინ და ადრეც „დინამოშიც“ ერთად თამაშობდნენ.

გორა ტყებუჩავამ კი საქართველოდან წასვლის შემდეგ რამდენიმე უცხოური კლუბი გამოიცვალა და ფეხბურთელის კარიერა ისრაელის რამადგანის „ჰა კოახში“ დაასრულა.

ძოგა ინასარიძე

მოლდოველებს უეფამ აუკრძალა იგივე ბედი ქართველებსაც გველის

ერთხელ გაპატიებენ, მეორედ გაპატიებენ, შეიძლება მესამედაც არ დაგსაჯონ, აი, მეოთხედ კი...

მოლდოვის ცენტრალურ სტადიონზე უეფამ საერთაშორისო მატჩების ჩატარება აკრძალა. ამიერიდან სხვა შესაბამისი სტანდარტების სტადიონი მოძებნეთ, თქვენთან თუ არ იქნება, სხვაგან იპოვეთო, შეუთვალა უეფამ მოლდოვის ფეხბურთის ფედერაციას.

ახლა კი იმაზე, რამ გამოიწვია ასეთი მკაცრი სასჯელი.

უეფას წარმომადგენლებმა არაერთხელ გააფრთხილეს კიშინიოვის ცენტრალური სტადიონის ადმინისტრაცია, ჩვენი რეკომენდაციები გაითვალისწინეთ, რაც მოსაწესრიგებელია, მოაწესრიგეთ, სარბიელი ჩვენს სტანდარტებს დაუქვემდებარეთ, თორემ მერე ინანებთო.

მოლდოველებმა ერთადერთი მოთხოვნა შეასრულეს, ორიოდე წლის წინ ინდივიდუალური პლასტმასის სავარძლები დაამონტაჟეს, თუმცა ისიც მხოლოდ ორ ცენტრალურ ტრიბუნაზე და ისიც უეფას მიერ საგანგებოდ ამისთვის გამოყოფილი ფულით (რა ნაცნობი სურათია, არა?). უეფამაც უყურა, უყურა და...

კიშინიოვის მახლობლად, 60 კილომეტრში, სოფელი სპეია ყოფილა, სადაც ახლახან ახალი სტადიონი აუშენებიათ, ორი დღეა, თუ ვინმეს სკამების დამონტაჟებისა რამე გაეგებოდა, ყველა იქ მიუყვანიათ და სასწრაფოდ პლასტმასის ინდივიდუალურ სავარძლებს აკეთებენ, რათა მოლდოვის ჩემპიონმა „ზიმბრუმ“ 18 ივლისს ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩში ალბანურ „ტირანას“ საზღვარგარეთ არ უმასპინძლოს. მოლდოველებს კიდევ ერთი ისეთი სტადიონი ჰქონიათ, სადაც საერთაშორისო შეხვედრების ჩატარება შეიძლება, თუმცა რაღაც-რაღაცეები ტირასპოლის არენაზეც მოსაწესრიგებელია.

თავიანთ პრობლემებს მოლდოველებიც მიხედავენ. ჩვენ ჩვენი ვიკითხოთ. დამეთანხმებით, ძალიან ნაცნობი სურათია. ვინ მოთვლის, რამდენჯერ გამოუგზავნია უეფას წარმომადგენელი ჩვენი სტადიონების დასათვალიერებლად. ჩამოდიან, ნახულობენ, ბევრ რამესაც გვიწუნებენ. ინდივიდუალური სკამების საქმე მოაწესრიგეთ, მინდვირის საფარი არ გივარგათ, გასახდელები და საშხაპეებიც შესაკეთებელია, განათებაზე აღარაფერს ვამბობთ, აბა, თქვენ იცით, შემდეგი ვიზიტისთვის როგორ დაგვახვედრებთო, დაგვიბარებენ და მიდიან. თავიდან კი შეფუცხუნდებიან ხოლმე ქართული ფეხბურთის მამები, კლუბებში, სტადიონის ხელმძღვანელები თუ მერიის თანამშრომლები, მაგრამ მერე სტადიონი აღარავის ახსოვს. შემოდგომაზე, ევროტურნირები რომ მოახლოვდება, მაშინლა ახსენდებათ, თუმც მაინც არაფერს აკეთებენ. პირიქით, აქეთ ავეჯიო, იქით პურის საცხობიო, ბანკიო, ბაჭაპური თუ ფუნთუშაო. საკლმეურნეო ბაზარში მიმავალ კაცს შიგნით შესვლა აღარც სჭირდება, „ეროვნული“ სტადიონი აქ არ არის?

მერე კიდევ გაუკვირდებათ, უეფას გაუნაწყენდებიან, უსამართლოდ დაგვსაჯაო.

ვანო ოქროპირიძე

საზაფხულო მიდი-მოდი

		გასხვისებულები	ახალწვეულები	სეზონთშორისი
	ტორპედო *დავით ყიფიანი*	სომხიშვილი (ალაზანი), გოგიაშვილი (თავისუფალი აგენტი)	გუჩუა, სიჭინავა (დინამო), ზ. არჩვაძე (ბათუმი), შალამბერიძე (კოლხეთი), მამალაძე (თბილისი), თავბერიძე (ინტერი), გ. გოგოლაძე (სამგურალი)	09.07-დან ბულგარეთში მოემზადება. 26.07 ლაკსეიკარის (ფარერები) და ცრვენას (იუგოსლავია) მოგებულს სტუმრობს. *დილა 4:0, სპარტაკი (ბულგარეთი) 1:0*
	ვიტ ჯორჯია *სერგო კოტრიკაძე*	მორჩილაძე (თსუ), თოდუა (ლოკომოტივი)	სულთანიშვილი (დილა), მერლანი, დეკანოსიძე, ადამია (ყველა თსუ), ე. ალადაშვილი (არსენალი), ჭილლაძე (ს.ა. იბერია)	22.06-03.07 ბაკურიანში შეიკრიბა. 04.07-12.07 თბილისში მოემზადება. 13.07-01.08 გერმანიაში შეიკრიბება *თსუ 0:1, ჭაბუკიანი 2:0, ზოოვეტი 4:0*
	დინამო *რევაზ არველაძე*	*ხიზანეიშვილი (სპარტაკი, რუსეთი), დიდავა, წიტაიშვილი (მაკაბი, თა, ისრაელი), პ. ჯინჭარაძე (მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა), გუჩუა, სიჭინავა (ტორპედო), ო. გველესიანი (ბათუმი), ხუციშვილი, მინაშვილი (?)*	კ. გოგოლაძე (სიონი), ბურდული (თბილისი)	*შამერი (აზერბაიჯანი) 1:1, სტანდარდი (ბელგია) 2:2, 1:1* 12.07 თბილისში შეიკრიბება
	ბათუმი *ჯანი კარნეველი*	*მ. მახარაძე (კარიერა დასრულა), ხომერიკი, ა. მუჯირი (არაუ, შვეიცარია),* ზ. არჩვაძე (ტორპედო), მაჭუტაძე (შუქურა), ტოგონიძე, ჩლაიძე, თარგამაძე, ხუჯაძე, გელა ქორიძე (?)	კ. მეტრეველი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა), ო. გველესიანი (დინამო), ბ. შენგელია (სიონი), მაჭავარიანი (თბილისი), ნივნივაძე (არსენალი), კ. მეფავანაძე (შუქურა), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (კოლხეთი)	07.06-დან შვებულებაშია. 08.07 ბათუმში შეიკრიბება. 18.07-დან ჩაქვში მოემზადება
	კოლხეთი *გია ტყებუჩავა*	ტრაპაიძე (ტავრია, უკრაინა), შალამბერიძე (ტორპედო), ქვაჩახია, მ. ქობულაძე (ბათუმი), დავითნიძე (მერანი), ე. გვასალია, ფანჩულიძე (?, ისრაელი)	რ. ხაჭაპურიძე (დილა), ბ. ჩიტაია (ცხინვალი), კრასოვსკი, თოდეევი, დ. კვირკველია, გორა ჭანტურია, თოფურია, ზ. ლეფუა, ბურჭულაძე (კოლხეთი 2)	25.06-დან ფოთში ვარჯიშობდა. 11.07-21.07 ბაკურიანში ემზადება
	სიონი *სპარტაკ არჩვაძე*	კ. გოგოლაძე (დინამო), ბ. შენგელია (ბათუმი), ა. ბოკერია (თსუ), ვ. მაისურაძე (?)	ასპინძელაშვილი, ირემაშვილი (არსენალი), ბარნოვი (თბილისი), ტარიელაშვილი (ალაზანი)	27.06-დან თბილისში ვარჯიშობს
	იბერია *სოსო ფრუიძე*	ადეიშვილი (ნივა, ტერნოპოლი, უკრაინა) ვ. გიგიაძე, ი. გიგიაძე, ოდიკაძე (?, რუსეთი), ყვანია, ნაროუშვილი, ივეჩიანი (ლოკომოტივი)		30.06-03.07 ქვიშხეთში ვარჯიშობდა. 05.07-დან თვის ბოლომდე მოსკოვში მოემზადება
	დილა *მერაბ ხუციშვილი*	სულთანიშვილი (ვიტ ჯორჯია), რ. ხაჭაპურიძე (კოლხეთი), მარეხაშვილი (კარიერა დასრულა); მერაბ კოჭლაშვილი (მნვრთნელი)	მერაბ ხუციშვილი (მწვრთნელი)	21.06-დან გორში ვარჯიშობს *ლოკომოტივი 1:3, 1:3, ტორპედო 0:4*
	მერანი *სერგო გაბელაია*	დეევაძე (მეტალურგი, ზაპოროჟიე, უკრაინა)	ოდიშარია (ზობი), დავითნიძე (კოლხეთი)	01.06-დან შვებულებაშია. 10.07-იდან ლაგოდეხში მოემზადება
	ლოკომოტივი *რევაზ ძოძუაშვილი*	*ჯიშკარიანი (ტორპედო ზილო, რუსეთი),* ჩიხრაძე, ლ. მიქაძე (ჰაპოელი, ბეერშევა, ისრაელი), კაციაშვილი (მარგვეთი), ჯულელი (?, რუსეთი), ნიკურაძე (?, ფინეთი), ბაქრაძე, გოგიჩაიშვილი, გ. გვაზავა, დ. გოდერძიშვილი, ონიანი (?), ძოძუაშვილი (ერზურუმსფორი, თურქეთი)	გონჩაროვი (თბილისი), ყვანია, ნაროუშვილი (იბერია), კაკაშვილი (არსენალი), ზურაბ აიანადი (ზობი), დ. არჩვაძე (თსუ), თოდუა (ვიტ ჯორჯია), ა. ჯელაძე (ალ იტიჰადი), ივეჩიანი (იბერია), კობესაშვილი (?)	25.06-დან თბილისში ვარჯიშობს. 16.07-დან ლაგოდეხში მოემზადება *დილა 3:1, 3:1, გორდა 0:1, 1:1*
	თსუ *თენგიზ კაციია*	ხართიშვილი (ტრანსფერზეა), მაზიაშვილი, ბარქაია (კონტრაქტები დაუმთავრდათ), მერლანი, დეკანოსიძე, ადამია (ყველა ვიტ ჯორჯია)	მორჩილაძე (ვიტ ჯორჯია), ა. ბოკერია (სიონი), ხარებავა (არსენალი), შედანია (ზოოვეტი), არუშიძე (ცხუმი)	01.07-დან მცხეთაში ვარჯიშობს. 16.07-26.07 ლაგოდეხში, 04.08-14.08 კი მალთაყეაში მოემზადება *ვიტ ჯორჯია 1:0*
	გორდა *იასონ ალადაშვილი*	გ. კილასონია, ვ. კილასონია (კონტრაქტები დაუმთავრდათ), ლ. ალადაშვილი (ვენტსპილსი, ლატვია), კიტეიშვილი (ხარაზი უნივერსიტეტი, აზერბაიჯანი)	ჭიაბრიშვილი (ზოოვეტი)	28.06-დან რუსთავში ვარჯიშობს *ლოკომოტივი 1:0, 1:1*

შენიშვნა: საბოლოო მხოლოდ დახრილი ტრანსფერებია

ავსტრია

მე–2 ტური: ადმირა – აუსტრია 0:0; რაპიდი – შტურმი 4:1; ბრეგენცი – ტიროლი 2:2; გრაცერი – რიდი 0:3; ლინცერი – ზალცბურგი 0:2

რაპიდი	2	2	0	0	7:1	6
რიდი	2	2	0	0	6:1	6
ტიროლი	2	1	1	0	8:3	4
აუსტრია	2	1	1	0	4:0	4
შტურმი	2	1	0	1	6:5	3
ზალცბურგი	2	1	0	1	2:3	3
ბრეგენცი	2	0	1	1	3:5	1
ადმირა	2	0	1	1	1:6	1
ლინცერი	2	0	0	2	1:7	0
გრაცერი	2	0	0	2	0:7	0

ნორვეგია

გადადებული მატჩი: მოლდე — რუსენბორგი 0:1

რუსენბორგი	14	10	3	1	33:13	33
ბრანი	13	8	2	3	28:20	26
ვიკინგი	12	7	2	3	28:15	23
სტაბეკი	11	6	2	3	28:10	20
მოლდე	14	5	5	4	20:24	20
ოდ გრენლანდი	13	5	4	4	21:17	19
ტრომსიო	13	5	4	4	22:23	19
ლილესტრიომი	11	4	5	2	16:9	17
მოსი	13	4	4	5	16:21	16
ვოლერენგა	13	3	4	6	18:20	13
ბოდიო გლიმტი	12	3	4	5	20:29	13
ჰაუგესუნდი	13	3	1	9	19:36	10
ბრინი	13	2	3	8	17:31	9
სტარტი	13	1	3	9	14:32	6

შვედეთი

მე-10 ტური. გიოტებორგი – ჰელსინგბორგი 2:1; ჰალმსტადი — ნორჩიოპინგი 0:1; ფრიოლუნდა – იორგრიტე 1:3

გიოტებორგი	10	5	4	1	18:10	19
ჰალმსტადი	10	6	1	3	16:7	19
აიკ	10	6	1	3	11:12	19
ჰელსინგბორგი	10	5	2	3	15:9	17
ნორჩიოპინგი	10	5	2	3	15:9	17
ელფსბორგი	10	5	0	5	16:14	15
იორგრიტე	10	5	0	5	11:13	15
ჰამარბი	10	4	2	4	12:13	14
იორეებრო	10	3	4	3	17:15	13
სუნდსვალი	10	3	3	4	13:15	12
ტრელებორგი	10	3	2	5	9:11	11
ჰაკენი	10	2	4	4	14:18	10
გაის	10	1	5	4	8:13	8
ფრიოლუნდა	10	1	2	7	5:21	5

მე თქვენ გიყიდით ფიგუს



ფლორენტინო პერესი გადაჰედილ „სანტიაგო ბერნაბეუს“ დაენიძლავა

კვირას მადრიდის „რეალის“ პრეზიდენტის არჩევნებია. პრეტენდენტი ორია — კლუბის მოქმედი პრეზიდენტი ლორენსო სანსი, რომელმაც კარიერა უძრავი ქონების ვაჭრობით დაიწყო და ფლორენტინო პერესი, ინჟინერი და საკონსტრუქტორო ბიუროების მფლობელი.

ლორენსო სანსმა წინასაარჩევნო კამპანია ბოლოდროინდელ წარმატებებზე ააგო. წარმატებები კი მართლაც შთამბეჭდავია — სამ წელიწადში „რეალმა“ ჩემპიონთა თასი ორჯერ მოიგო. თუმცა სანსის კანდიდატურას ერთი ნაკლიც აქვს — „რეალს“ უზარმაზარი ვალები დაუგროვდა.

ფლორენტინო პერესი კი ფეხბურთში ახალი კაცია. მართალია, ორგანიზატორულ ნიჭს უქებენ, მაგრამ სანსთან საბრძოლველად ერთობ მიმზიდველი და მყვირალა წინასაარჩევნო პროგრამა თუ მისცემდა შანსს.

პერესმა ეს იცის და აკი ასეც მოიქცა. მისი პროგრამის ქვაკუთხედი ლუიშ ფიგუს „რეალში“ გადაყვანაა.

შეგახსენებთ, პერესის თავდაპირველ განცხადებას, პრეზიდენტი თუ გავხდი, ფიგუს ბარსელონიდან მადრიდში გადმოვიყვანო, დედაქალაქელები უნდობლად შეხვდნენ. ლორენსო სანსს კი ეს ამბავი სასაცილოდ არ ეყო, კონკურენტის ჭკუადამჯდრობაში ეჭვი შეიტანა და დაუმატა, ფიგუ „რეალისთვის“ საჭირო ფეხბურთელი რომ ყოფილიყო, პერესს როგორ ვალაპარაკებდი, თავად გადმოვიბირებდიო.

უნდობლობას პერესის საპასუხო ნაბიჯი მოჰყვა, ორიოდე დღის წინ ესპანურ პრესაში გამოქვეყნდა წინასწარი შეთანხმების ტექსტი, რომელსაც ფლორენტინო პერესი და ფიგუს აგენტი ხოსე ვეიგა აწერენ ხელს. მასში ნათქვამია, რომ პერესის გაპრეზიდენტების შემთხვევაში „რეალი“ „ბარსელონას“ 57 მილიონ დოლარს გადაუხდის და პორტუგალიელს წაიყვანს. აქ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ფიგუს კონტრაქტი კატალონიურ კლუბთან ამის საშუალებას იძლევა.

ამ შეთანხმების გამოქვეყნებამ პერესისადმი უნდობლობა რამდენადმე გაანელა, თუმცა გარკვეული ეჭვი მაინც დატოვა. ეჭვს კი უპირველესად თავად ფიგუს სიტყვები ბადებდა, „ბარსელონადან“ წასვლის სურვილი არ მაქვს და პირადად მე არავის არაფერზე შევთანხმებივარო.

მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ საქმე გვაქვს ფლორენტინო პერესთან, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბრწყინვალე ორგანიზატორული ნიჭის მქონე კაცთან. გუშინ მან სენსაციური განცხადება გააკეთა, რომელმაც მთელი მადრიდი („ატლეტიკოს“ და „რაიო ვალეკანოს“ ქომაგთა გამოკლებით) გააოცა. პერესმა თქვა: „ურწმუნოთა გასაგონად ვაცხადებ, თუ „რეალის“ პრეზიდენტი გავხდი და ლუიშ ფიგუ მადრიდში ვერ გადმოვიყვანე, სიტყვის გატეხვისთვის კლუბის ყველა წევრს საკუთარი ფულით სეზონურ აბონემენტს ვუყიდი“. როგორ ფიქრობთ, ამის მერე „რეალის“ რამდენი გულშემატკივარი დაუჭერს მხარს ფლორენტინო პერესს?

მოდით, პერესის ნათქვამში უკეთ რომ გავერკვეთ, ციფრები მოვიშველიოთ. „სანტიაგო ბერნაბეუს“ ტევადობა 75 ათასია და, როგორც წესი, მას მთლიანად აბონემენტების მფლობელები ავსებენ, რომლებიც იმავდროულად კლუბის წევრები არიან. ერთი აბონემენტის ფასი 20 ათასი პესეტა (114 დოლარი) გახლავთ. კალკულატორი მოვიშველიოთ და ადგილების რაოდენობა ერთი აბონემენტის ფასზე გადავამრავლოთ. რა მივიღეთ? მეტად სოლიდური თანხა ტრილიონ ნახევარი პესეტა, რაც 8.55 მილიონ დოლარს შეადგენს. ასე რომ, ფლორენტინო პერესის მილიონების ბედი (ცხადია, პრეზიდენტად თუ აირჩიეს) ლუიშ ფიგუს ხელშია.

თუმცა აქ შესაძლოა, სხვა გათვლაც იყოს, რომელში გარკვევამდეც ჯობს ჯერ არჩევნების გამართვის წესს გავეცნოთ.

წესი კი ასეთია: კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება აქვს ნებისმიერ ესპანელს, რომელსაც 18 წელი უკვე შეუსრულდა და მინიმუმ ერთი წელი კლუბის წევრია.

ხმის უფლების მქონენი კასტელანას ქუჩაზე 259 ნომერში მდებარე „კუიდად დეპორტივას“ სპორტულ კომპლექსში მიდიან, სადაც საარჩევნო ყუთები დგას. მეთვალყურეებს კლუბის წევრობის დამადასტურებელ და მართვის (ან პასპორტს) მოწმობებს წარუდგენენ, ბიულეტენს იღებენ და სასურველ კანდიდატს შემოხაზავენ.

ფლორენტინო პერესის განცხადებასთან დაკავშირებით საინტერესოა კენჭისყრის ის პუნქტი, რომლის მიხედვითაც არჩევნებში მხოლოდ კლუბის მმართველობა კი არა, მისი ყველა წევრი მონაწილეობს. ისინი კი ვინ არიან? სწორედ ის ხალხი, ვისაც პრეზიდენტობის მაძიებელი სიტყვის შეუსრულებლობის შემთხვევაში სეზონურ აბონემენტებს ჰპირდება.

ეს ნიშნავს, რომ კლუბის წევრები პერესს თუ პრეზიდენტად აირჩევენ, წაგებულნი არც ერთ შემთხვევაში დარჩებიან — ან ლუიშ ფიგუს მიიღებენ ან სეზონურ აბონემენტს. ფლორენტინო პერსს კი პორტუგალიელი ფეხბურთელის ვერგადმოყვანის შემთხვევაში შეუძლია ჩათვალოს, რომ ზემოთაღნიშნული 8,55 მილიონი დოლარი წარმატებულ წინასაარჩევნო კამპანიას დაახარჯა.

გიორგი დარჯანია

REUTERS მალიორკიდან

კარლოს როა „მალიორკის“ დაუბრუნდა

დაისიდან აისამდე

არგენტინელი კარლოს როა ფეხბურთს დაუბრუნდა. ერთ-ერთ რელიგიურ სექტას, „მეშვიდე დღის ადვენტისტებს“ აყოლილმა მეკარემ შარშან თამაშს თავი დაანება, მაგრამ ახლა კვლავ „მალიორკაშია“. რელიგია როას შაბათობით მზის ჩასვლამდე ვარჯიშს უკრძალავს, თუმც ფეხბურთელი აცხადებს: „არავითარი სირთულე არაა, შაბათობით მზის ჩასვლის შემდეგ ვივარჯიშებ“. ისიც აღსანიშნავია, რომ პრიმერადივიზიონის ტური ხშირად შაბათობით ტარდება. როა 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე არგენტინის ნაკრების კარს იცავდა, მაგრამ ჯერჯერობით უცნობია, ვიხილავთ თუ არა როას ეროვნულ გუნდში.

ორ ცეცხლს შუა

ინგლისში არშეშვებულ ედუს «კორინთიანსი» არ იბრუნებს

„არსენალს“ ბრაზილიელი ედუს ტრანსფერთან დაკავშირებით სერიოზული თავსატეხი და საფიქრალი გაუჩნდა. როგორც გაუწყეთ, სამხრეთამერიკელი ფეხბურთელი ორი დღის წინ დიდ ბრიტანეთში არ შეუშვეს, პასპორტისა და ვიზის საკითხი უნდა მოეგვარებინა. ერთი სიტყვით სამშობლოში გააბრუნეს.

ედუმ მაშინ განაცხადა, მართალია, გაუგებრობა მოხდა, რაც გასაკვირია, მაგრამ ვეღარაფერს გავხდები, ბრაზილიაში დავბრუნდები, საბუთებს მოვაწესრიგებ და ინგლისში ერთ კვირაში ჩავალო.

და აი, ედუს ყოფილი კლუბის „კორინთიანსის“ ხელმძღვანელობამ „არსენალს“ შეუთვალა — ფეხბურთელი უკვე თქვენი საკუთრებაა, ჩვენ იგი ექვს მილიონ გირვანქად მოგყიდეთ, ამიტომ თუ ედუ ინგლისში არ ჩაუშვეს და მას კვლავ პრობლემები შეექმნება, ყველაფერი თავად მოაგვარეთ, ჩვენ ფეხბურთელს უკან აღარ დავიბრუნებთო.

„ედუს „კორინთიანსთან“ აღარაფერი აკავშირებს. იგი ჩვენ „არსენალს“ მივყიდეთ. ფულს ვეღარ დავაბრუნებთ“ — განაცხადა ბრაზილიური კლუბის აღმასრულებელმა დირექტორმა.

გამოსავალი: „კორინთიანსს“ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ, თუმც არცთუ სასურველ ხერხად მიაჩნია, რომ ფეხბურთელი განათხოვრებით დაიბრუნოს, თუმცა ბრაზილიელები აღნიშნავენ, ეს ერთობ არაეფექტური მეთოდია და სჯობს, „არსენალმა“ სხვა გამოსავალი ეძებოსო.

„ჩვენ უკიდურეს შემთხვევაში მხოლოდ ის შეგვიძლია, რომ ედუ „არსენალისგან“ ვითხოვოთ. იგი ლონდონური კლუბის წევრი იქნება, მაგრამ ჩვენთან ითამაშებს. თუმცა, გამოგიტყდებით, ამის მოხერხებაც ერთობ გართულდება. გაცილებით იოლია, „არსენალმა“ პრობლემები ინგლისშივე მოაგვაროს, რათა ედუს ბრიტანეთში შესვლისა და მუშაობის უფლება როგორმე მისცენ“ — იუწყება „კორინთიანსი“.

ედუ

როცა „არსენალმა“ ედუ შეიძინა, ეგონა, რომ ფეხბურთელი პორტუგალიურ პასპორტს ფლობდა, ამიტომ მის ინგლისში ჩასვლასა და მუშაობას არავითარი გართულება არ უნდა მოჰყოლოდა. ამ ფაქტს ფეხბურთელის აგენტი ფიგერიც ადასტურებს, რომელიც აცხადებს, რომ თავად უდანაშაულოა.

„საბუთები წესრიგში იყო. პრობლემა არ უნდა შექმნილიყო, მაგრამ ედუ ბრაზილიაში გააბრუნეს, სადაც ყველაფერი უნდა მოაგვაროს — განაცხადა აგენტმა — ედუ პორტუგალიის მოქალაქეა. მას სრული უფლება აქვს, ევროკავშირის ნებისმიერ ქვეყანაში იმუშაოს“.

ბრაზილიაში პორტუგალიის საელჩო კი იუწყება, რომ ევროკავშირის პასპორტის აღებას დაახლოებით ორი წელიწადი სჭირდება, თუმც მარტო დრო არ კმარა, თან უნდა დაამტკიცო, რომ შენი წინაპრები პორტუგალიიდან არიან.

„ევროკავშირის პასპორიტს აღება ერთობ ხანგრძლივი პროცესია — აცხადებს საელჩოს წარმომადგენელი — ყველაფერს დაახლოებით ერთი ან ორი წელი სჭირდება. მეეჭვება, ედუს პასპორტის საკითხი რამდენიმე კვირაში მოეგვარებინა“.

როგორც „არსენალის“ ხელმძღვანელობა ამტკიცებს, ისინი კონტრაქტის ჩაშლას არ აპირებენ. მათ სურთ, ედუმ „ჰაიბერზე“ ითამაშოს და იმედოვნებენ, რომ ყველაფერი მალე მოგვარდება.

„კორინთიანსის“ ყოფილმა ფეხბურთელმა, სილვინიომ, რომელიც „არსენალში“ თამაშობს და ედუს მეგობარია, განაცხადა: „არ ვიცი, მომავალში რა მოხდება. თუმცა ნათელია, რომ ედუს პრობლემები შეექმნა, იგი ინგლისში არ შემოუშვეს და უკან გააბრუნეს“.

ვარსკვლავთმრიცხველი მარტივი გეგმით:



სვენ გორან ერიკსონი

ლაციომ ყველაფერი უნდა მოიგოს

დღეს, თუკი ვინმე ან რაიმე ყურადღებას იპყრობს, რომის „ლაციოა“. მისმა პრეზიდენტმა სერჯო კრანიოტიმ სეიფი გამოაღო და სატრანსფერო სასწაულები ჩაიდინა, რისი ყველაზე ნათელი მაგალითიც „პარმასგან“ 54,16 მილიონ დოლარად არგენტინელი თავდამსხმელის, ერნან კრესპოს ყიდვა გახლავთ.

მაგრამ ხარჯვას შედეგიც უნდა მოჰყვეს, ეს კი უპირველეს ყოვლისა, გუნდის მწვრთნელზე, შვედ სვენ-გორან ერიკსონზეა დამოკიდებული.

დღეს სწორედ ერიკსონის ინტერვიუს გთავაზობთ.

— ბოლო დღეების გაზეთების კითხვისას რამ მიიპყრო ყველაზე მეტად თქვენი ყურადღება?

— ერნან კრესპოს სიტყვებმა, იმედი მაქვს, ჩემში გადახდილი თანხის შესაბამისად ვითამაშებო. ეს იმაზე მეტყველებს, რომ კრესპო მოწადინებულია. ის სულით ნამდვილი ჩემპიონია. აქამდე ასეთი ფეხბურთელებს მხოლოდ „იუვენტუსში“ და „მილანში“ თუ ნახავდით, დღეს კი მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი თავდამსხმელი შეუპოვარ ბრძოლას „ლაციოს“ შემადგენლობაში აპირებს. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ლაციო“ უმაღლესი კლასის გუნდია, რაც უპირატესად მისი პრეზიდენტის, სერჯო კრანიოტის დამსახურება გახლავთ.

— მაგრამ მხოლოდ მოთამაშეთა საბრძოლო სულისკვეთება საკმარისი არ უნდა იყოს. ბევრი რამ მწვრთნელზეცაა დამოკიდებული. თქვენ რომ ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვოთ, შეგეძლებათ იმის განცხადება, რომ რაზეც ხელი მიგიწვდათ, ყველაფერი მოიგეთ.

— მართალი ბრძანებაა და ჩვენი მიზანიც ეს არის. მომავალ სეზონში ყველა შეჯიბრებაში გამარჯვებას ვგეგმავთ.

— თქვენ ბრძანეთ, რომ მიხაილოვიჩით, მანჩინითა და ვერონით „სკუდეტოს“ მოიგებთ. ხომ არ დასძენდით, რომ ლოპესითა და კრესპოთი ჩემპიონთა თასსაც მოიპოვებთ?

— სიამოვნებით დავძენდი. მას მერე, რაც ხალხს „სკუდეტოს“ დავპირდი, გამიმართლა და დღეს ისეთმა „ლაციოში“ შემადგენლობამ მოიყარა თავი, რომ გვინდა თუ არა, ყველა შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის უნდა ვიბრძოლოთ. „ლაციოს“ დარ ფანტასტიკურ გუნდს სხვა გზა არ აქვს.

— ოცნების გუნდობამდე რა გაკლიათ?

— იცით, გასული სეზონის შემადგენლობაზე უკეთესის წარმოდგენაც კი ძნელი იყო, მაგრამ, ხომ ხედავთ, კრანიოტიმ ესეც შეძლო. დღეს, თეორიულად, ჩვენზე ძლიერი მსოფლიოში არავინაა. არა, ნამდვილად არაფერი გვაკლია. უკვე ოცნების გუნდი გვყავს.

— კრესპო და ლოპესი... ასეთი თავდასხმა ოდესმე გყოლიათ?

— არა. ეს თავდასხმა სრულყოფილია. ძალიან მაინტერესებს მათთან მუშაობა.

— მეორე მხრივ, დღევანდელ „ლაციოში“ 5 არგენტინელია და ისინი თავიანთი ქვეყნის ნაკრებზეც ფიქრობენ. ეს ხომ არ გაგირთულებთ საქმეს?

— ბუნებრივია, ეს დიდი პრობლემა იქნება, თუმცა სჯობს იმაზე ვიფიქროთ, რომ ხუთი ჩინებული არგენტინელი ფეხბურთელი „ლაციოშია“ და საკითხსაც ნათელ ფერებში დავინახავთ.

— ხომ არ შიშობთ, რომ ვერონს გაგიყიდიან?

— ვერონის თაობაზე სჯობს კრანიოტის ჰკითხოთ, თუმცა მე მას უკვე ველაპარაკე და სიტყვაც მივიღე, რომ არაფერი შეიცვლება. იმედს გამოვთქვამ, რომ ვერონი მომავალი რობერტო მანჩინია. მსურს, ხუანმა კიდევ უფრო დიდ ლიდერად აღიქვას თავი და მწამს, ახალ სეზონში ასეც იქნება.

— ვერონი მართლაც მოწადინებულია და დაცვასაც ძლიერ ეხმარება...

— დიახ, მე მას თანამედროვე ფალკაოს დავარქმევდი. ის არის კაცი დაცვის წინა ხაზში. მგონი, ორიოდ სეზონის შემდეგ საბოლოოდ ჩამოყალიბდება ამ ამპლუის მოთამაშედ. იცით, მიმდინარე სატრანსფერო სეზონში ყველაზე მეტად რა მომწონს? ის, რომ ახალი ფეხბურთელების ყიდვის მიუხედავად, სათამაშო სისტემის შეცვლა არ დაგვჭირდება. ადრე მთელ სტრუქტურას ვცვლიდი, ახლა კი უკვე არსებულს დავხვეწავ.

— კერძოდ, როგორ ითამაშებთ?

— როგორც ყოველთვის, 4 მცველით. წინ კი ჯერ ვერ გეტყვით ორი გარემარბით და ერთი ცენტრფორვარდით ვიქნებით თუ ორი ფორვარდით. სანამ ამას გადავწყვეტ კლაუდიო ლოპესთან მინდა ვილაპარაკო. მგონი, მას ორივე როლის შესრულება შეუძლია, გარემარბისაც და თავდამსხმელისაც.

— გასულ სეზონში ახალგაზრდა, რომელიც თქვენს ხელში გამოჩნდა, სიმონე ინძაგი იყო. წლეულს ვინ იქნება?

— სტანკოვიჩი. იგი წარმოუდგენელი პოტენციალის ფეხბურთელია და მსურს, საკუთარ შესაძლებლობებს მეტად ენდოს. მისთვის ახლა პირველი ნამდვილი სეზონი დაიწყება.

— მეტოქეებზე რას გვეტყვით?

— არავის გამოვყოფდი. ყველა გუნდი უწინდელზე ძლიერი ჩანს, თუმცა ფეხბურთელების სიაზე მნიშვნელოვანი ჩემპიონატის საბოლოო ცხრილია. ისე, კი მაინც დავასახელებ ერთს — ყველაზე სრულყოფილი „რომა“ ჩანს და ჩვენს შორის დიდებულ დერბისაც უნდა ველოდოთ.

თარგმნა პაპუნა კედია

რომაელი ალესანდრო რინალდი (№23) ერნან კრესპოს მალე რომაულ დერბიში დაუპირისპირდება

ფეხბურთის რუკასთან

იტალიელ ფორვარდ რობერტო ბაჯოს „არსენალში“ და „ლევერკუზენში“ იწვევენ. ფეხბურთელის აგენტი ლონდონური კლუბის წარმომადგენლებს შეხვდა, მაგრამ აღნიშნა, რომ ბაჯოს გული უფრო ბუნდესლიგისკენ მიუწევს. „ბოლონიადან“ „ინტერში“ გადაბარგებულმა 33 წლის ბაჯომ მილანური კლუბის ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ დაიმკვიდრა, ამიტომ იტალიური პრესა ვარაუდობს, რომ რობერტო „ინტერში“ აღარ დარჩება. ფეხბურთელის შეძენის სურვილი ადრე „ნაპოლიმაც“ გამოთქვა, თუმცა მიზანს ვერ მიაღწია.

არგენტინელ არიელ ორტეგას შარშან ჩადენილი დანაშაულისთვის სასამართლო ელის — ფეხბურთელმა „სამპდორიას“ ერთ-ერთ ფანს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. მაშინ იგი გენუურ კლუბში თამაშობდა. არგენტინელის სასამართლო პროცესი შემოდგომაზეა დანიშნული. შეგახსენებთ, რომ ორტეგა ამჟამად „პარმაში“ თამაშობს. მან კლუბი შარშან გამოიცვალა, როცა „სამპდორია“ სერიაB-ში დაქვეითდა.

ფრანგულმა „რენმა“ ბრაზილიელი მცველი სეზარი შეიძინა და „პარი სენ ჟერმენს“ მის სანაცვლოდ 5,75 მილიონი დოლარი გადაუხადა. სეზარი, რომელმაც ახალ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა, „რენში“ თავის ორ თანამემამულესთან — ფაბიანოსთან და ვინტერთან ერთად ითამაშებს. ისინი ფრანგულმა კლუბმა ბრაზილიური „პონტე პრეტადან“ შეიძინა. „სეზარმა პარიზში თავი ვერ გამოიჩინა, მაგრამ იგი ძლიერი ფეხბურთელია და გვჯერა, ჩვენთან იყოჩაღებს“ — განაცხადა „რენის“ ვიცე-პრეზიდენტმა.

არგენტინელი ნახევარმცველის ხავიერ ძანეტის შეძენის სურვილი მადრიდის „რეალმა“ გამოთქვა. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელის გადაბირება „მანჩესტერ იუნაიტედსაც“ სურს. ძანეტის აგენტი ირწმუნება, რომ „რეალის“ წინადადება ხელსაყრელია და უმჯობესია, თუ არგენტინელი ესპანეთში გადავა. 27 წლის ფეხბურთელმა სერიაA-ში ხუთი სეზონი გაატარა. იგი „ინტერის“ ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშეა. მადრიდულ კლუბს არ განუცხადებია, რამდენს სთავაზობს მილანელებს ძანეტის სანაცვლოდ.

რუსი ნახევარმცველი დმიტრი ალენიჩევი „პერუჯადან“ „პორტუში“ გადავიდა. პორტუგალიურმა კლუბმა ფეხბურთელის სანაცვლოდ 2,6 მილიონი გირვანქა გადაიხადა. „მართალია, ალენიჩევი გავყიდეთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ახალი სეზონისთვის ძლიერი გუნდის შექმნას არ ვაპირებთ“ — განაცხადა „პერუჯას“ პრეზიდენტმა ლუჩანო გაუჩიმ. ალენიჩევი რიგით მეშვიდე ფეხბურთელია, რომელმაც წლეულს „პერუჯა“ დატოვა. გუნდიდან შესაძლოა კაპიტანი რენატო ოლივეც წავიდეს. მას „ტორინოში“ იწვევენ. „პერუჯამ“ ახალი სეზონი ერთობ წარუმატებლად დაიწყო. გუნდი ინტერტოტოს თასზე ბელგიურ „სტანდარდთან“ ორთაბრძოლაში გამოეთიშა ასპარეზობას.

ხორვატმა ფორვარდმა ალენ პეტერნაკმა „რეალ სარაგოსასთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მან „ვალიადოლიდი“ თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა. „სარაგოსა“ ყოველთვის მომწონდა. ვგონებ, არ შევმცდარვარ, ამ გუნდში რომ გადავედი — განაცხადა ფეხბურთელმა — კლუბმა წინა სეზონი ძლიერად ჩაატარა და ევროთასებზეც მოხვდა. ვიმედოვნებ, „სარაგოსაში“ წარმატებას მივაღწევ“. პეტერნაკმა ხორვატიის ნაკრებში პირველად შარშან ითამაშა. „ვალიადოლიდში“ იგი მხოლოდ 11-ჯერ გამოჩნდა მინდორზე.

გერმანიის ვიცე-ჩემპიონმა „ლევერკუზენმა“ შვეიცარიული „ბაზელიდან“ ერთი წლით მეკარე პასკალ ცუბერბიულერი ითხოვა, თუმცა კრისტოფ დაუმს „ჰამბურგის“ გოლკიპერის, ჰანს იორგ ბუტის შეძენაც სურს, გერმანული სააგენტოების ცნობით, „ლევერკუზენი“ „ჰამბურგს“ ბუტის სანაცვლოდ 4 მილიონ გირვანქას სთავაზობს. „პასკალის შემატება სასიხარულოა, თუმცა ჩვენი მთავარი მიზანი მაინც ბუტის გადმობირებაა“ — განაცხადა გუნდის მენეჯერმა. გოლკიპერს „ჰამბურგთან“ კონტრაქტი გაიხადა უსრულდება. იგი „ლევერკუზენში“ შესაძლოა ერთი სეზონის შემდეგ გადავიდეს.

სამხრეთ აფრიკაში წლის საუკეთესო ფეხბურთელად სიაბონა ნომვეტე დაასახელეს. 22 წლის მოთამაშემ ორ გამოკითხვაში ერთდროულად გაიმარჯვა. პირველი რეფერენდუმი პრესის წარმომადგენლებს, ხოლო მეორე მოთამაშეთა შორის ჩატარდა. ნომვეტე სულ ახლახან სამხრეთ აფრიკის ახალგაზრდულ ნაკრებში მიიწვიეს და სიდნეის ოლიმპიადაზეც ითამაშებს. წლის საუკეთესო მწვრთნელად იუგოსლავიელი პაველ დოლეჟარი დაასახელეს სპეციალისტმა „სანდუნს“ სამხრეთ აფრიკის ჩემპიონობა მოიპოვებინა, მერე კი თანამდებობა დატოვა. ამის შემდეგ გუნდს ჰოლანდიელი კლემენს ვესტერჰოფი ავარჯიშებს.

უკრაინელი მეკარე მაქსიმ ლევიცკი „ჩორნომორეციდან“ „სენტ ეტიენში“ გადავიდა. „მაქსიმი ჩვენს გუნდში კიდევ ერთ შეხვედრას ჩაატარებს და შემდეგ ფრანგულ კლუბთან ოთხწლიან კონტრაქტს გააფორმებს“ — განაცხადა „ჩორნომორეცის“ დირექტორმა. ლევიცკი „სენტ ეტიენში“ „ზენიტის“ ყოფილ გოლკიპერ რომან ბერეზოვსკის შეცვლის, რომელმაც ფრანგულ კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი შეწყვიტა. ლევიცკის უკრაინის ნაკრებშიც უთამაშია. 31 მაისს, „უემბლის“ სტადიონზე, ინგლისის ნაკრებთან შეხვედრაში მან კიევის „დინამოს“ მეორე მეკარე ალექსანდრ კერნოზენკო შეცვალა.

იუგოსლავიელ ფორვარდ მატეა კეჟმანის ტრანსფერი ბელგრადის „პარტიზანიდან“ „პსვ ეინდჰოვენში“ ჩაიშალა. ჰოლანდიის მთავრობამ ეინდჰოვენურ კლუბს შეთანხმების განხორციელების უფლება არ მისცა. მათი განცხადებით, ახლა იუგოსლავიაზე ეკონომიკური სანქცია მოქმედებს, რის გამოც 17,7 მილიონიანი ტრანსფერი ალბათ არ განხორციელდება. პსვ-ს ხელმძღვანელობა მთავრობის გადაწყვეტილებამ ერთობ გაიკვირვა. „ვითარება ძალიან გაურკვეველია, უეფას და ჰოლანდიის ფეხბურთის ასოციაციას ინფორმაცია უკვე გავუგზავნეთ. მათგან პასუხს ველით“ — განაცხადა პსვ-ს დირექტორმა პიტერ ფორენმა.

ზამბიის ნაკრების კაპიტანი ელიეზა ლიტანა შინ იარაღს წმენდდა. მოულოდნელად პისტოლეტი გაუვარდა და ტყვია მუხლში მოხვდა. 29 წლის ფეხბურთელი საოპერაციოდ სასწრაფოდ სამხრეთ აფრიკაში გადაიყვანეს. წინასწარი ინფორმაციით, იგი დაახლოებით ხუთ თვეს ვერ ითამაშებს. „ნამდვილად დრამატული შემთხვევა იყო, არ გამიმართლა“ — განაცხადა ფეხბურთელმა — ახლა თავს კარგად ვგრძნობ, დიდი დაზიანება არ მიმიღია.“

ინგლისური „ჩელსის“ იტალიელმა მწვრთნელმა ჯანლუკა ვიალიმ მოისურვა, „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ 33 წლის ფრანგი ნახევარმცველი დავიდ ჟინოლა თავის კლუბში იხილოს. ჟინოლას „ტოტენჰემის“ დატოვება სურს, თუმცა ლონდონიდან წასვლა — არა. ვიალის სურვილმა, შეიძლება ითქვას, ჟინოლას სულზე მიუსწრო. მანამდე „ტოტენჰემს“ ჟინოლას თაობაზე „ასტონ ვილამ“ მიმართა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „ჩელსიში“ ჟინოლას თანამემამულეები — დიდიე დეშამპი, ფრანკ ლებეფი და მარსელ დესაი თამაშობენ, არაა გამორიცხული, იგი „სტემფორდ ბრიჯზე“ ვიხილოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრანგეთი. პირველი დივიზიონი. 2000-2001 კალენდარი

I ტური, 29 ივლისი 2000

ოსერი — სედანი
ბორდო — მეცი
გინგამი — სენტ ეტიენი
ლილი — მონაკო
ლიონი — რენი
მარსელი — ტრუა
ნანტი — ლანსი
პარი სენ ჟერმენი — სტრასბური
ტულუზი — ბასტია

II ტური, 5 აგვისტო

ბასტია — ბორდო
ლანსი — გინგამი
მეცი — ოსერი
მონაკო — ნანტი
რენი — პარი სენ ჟერმენი
სედანი — ლიონი
სენტ ეტიენი — მარსელი
სტრასბური — ლილი
ტრუა — ტულუზი

III ტური, 12 აგვისტო

ოსერი — ბასტია
ბორდო — ტრუა
გინგამი — ნანტი
ლილი — რენი
ლიონი — მეცი
მარსელი — ლანსი
პარი სენ ჟერმენი — სედანი
სტრასბური — მონაკო
ტულუზი — სენტ ეტიენი

IV ტური, 19 აგვისტო

ბასტია — ლიონი
ლანსი — ტულუზი
მეცი — პარი სენ ჟერმენი
მონაკო — გინგამი
ნანტი — მარსელი
რენი — სტრასბური
სედანი — ლილი
სენტ ეტიენი — ბორდო
ტრუა — ოსერი

V ტური, 26 აგვისტო

ოსერი — სენტ ეტიენი
ბორდო — ლანსი
ლილი — მეცი
ლიონი — ტრუა
მარსელი — გინგამი
პარი სენ ჟერმენი — ბასტია
რენი — მონაკო
სტრასბური — სედანი
ტულუზი — ნანტი

VI ტური, 6 სექტემბერი

ბასტია — ლილი
გინგამი — ტულუზი
ლანსი — ოსერი
მეცი — სტრასბური
მონაკო — მარსელი
ნანტი — ბორდო
სედანი — რენი
სენტ ეტიენი — ლიონი
ტრუა — პარი სენ ჟერმენი

VII ტური, 9 სექტემბერი

ოსერი — ნანტი
ბორდო — გინგამი
ლილი — ტრუა
ლიონი — ლანსი
პარი სენ ჟერმენი — სენტ ეტიენი
რენი — მეცი
სედანი — მონაკო
სტრასბური — ბასტია
ტულუზი — მარსელი

VIII ტური, 16 სექტემბერი

ბასტია — რენი
გინგამი — ოსერი
ლანსი — პარი სენ ჟერმენი
მარსელი — ბორდო
მეცი — სედანი
მონაკო — ტულუზი
ნანტი — ლიონი
სენტ ეტიენი — ლილი
ტრუა — სტრასბური

IX ტური, 23 სექტემბერი

ოსერი — მარსელი
ბორდო — ტულუზი
ლილი — ლანსი
ლიონი — გინგამი
მეცი — მონაკო
პარი სენ ჟერმენი — ნანტი
რენი — ტრუა
სედანი — ბასტია
სტრასბური — სენტ ეტიენი

X ტური, 30 სექტემბერი

ბასტია — მეცი
გინგამი — პარი სენ ჟერმენი
ლანსი — სტრასბური
მარსელი — ლიონი
მონაკო — ბორდო
ნანტი — ლილი
სენტ ეტიენი — რენი
ტულუზი — ოსერი
ტრუა — სედანი

XI ტური, 14 ოქტომბერი

ოსერი — ბორდო
ბასტია — მონაკო
ლილი — გინგამი
ლიონი — ტულუზი
მეცი — ტრუა
პარი სენ ჟერმენი — მარსელი
რენი — ლანსი
სედანი — სენტ ეტიენი
სტრასბური — ნანტი

XII ტური, 21 ოქტომბერი

ბორდო — ლიონი
გინგამი — სტრასბური
ლანსი — სედანი
მარსელი — ლილი
მონაკო — ოსერი
ნანტი — რენი
სენტ ეტიენი — მეცი
ტულუზი — პარი სენ ჟერმენი
ტრუა — ბასტია

XIII ტური, 28 ოქტომბერი

ბასტია — სენტ ეტიენი
ლილი — ტულუზი
ლიონი — ოსერი
მეცი — ლანსი
პარი სენ ჟერმენი — ბორდო
რენი — გინგამი
სედანი — ნანტი
სტრასბური — მარსელი
ტრუა — მონაკო

XIV ტური, 4 ნოემბერი

ოსერი — პარი სენ ჟერმენი
ბორდო — ლილი
გინგამი — სედანი
ლანსი — ბასტია
მარსელი — რენი
მონაკო — ლიონი
ნანტი — მეცი
სენტ ეტიენი — ტრუა
ტულუზი — სტრასბური

XV ტური, 11 ნოემბერი

ბასტია — ნანტი
ლილი — ოსერი
მეცი — გინგამი
პარი სენ ჟერმენი — ლიონი
რენი — ტულუზი
სედანი — მარსელი
სენტ ეტიენი — მონაკო
სტრასბური — ბორდო
ტრუა — ლანსი

XVI ტური, 18 ნოემბერი

ოსერი — სტრასბური
ბორდო — რენი
გინგამი — ბასტია
ლანსი — სენტ ეტიენი
ლიონი — ლილი
მარსელი — მეცი
მონაკო — პარი სენ ჟერმენი
ნანტი — ტრუა
ტულუზი — სედანი

XVII ტური, 25 ნოემბერი

ბასტია — მარსელი
ლანსი — მონაკო
ლილი — პარი სენ ჟერმენი
მეცი — ტულუზი
რენი — ოსერი
სედანი — ბორდო
სენტ ეტიენი — ნანტი
სტრასბური — ლიონი
ტრუა — გინგამი

XVIII ტური, 29 ნოემბერი

ოსერი — მეცი
ბორდო — ბასტია
გინგამი — ლანსი
ლილი — სტრასბური
ლიონი — სედანი
მარსელი — სენტ ეტიენი
ნანტი — მონაკო
პარი სენ ჟერმენი — რენი
ტულუზი — ტრუა

XIX ტური, 2 დეკემბერი

ბასტია — ოსერი
ლანსი — მარსელი
მეცი — ლიონი
მონაკო — სტრასბური
ნანტი — გინგამი
რენი — ლილი
სედანი — პარი სენ ჟერმენი
სენტ ეტიენი — ტულუზი
ტრუა — ბორდო

XX ტური, 9 დეკემბერი

ოსერი — ტრუა
ბორდო — სენტ ეტიენი
გინგამი — მონაკო
ლილი — სედანი
ლიონი — ბასტია
მარსელი — ნანტი
პარი სენ ჟერმენი — მეცი
სტრასბური — რენი
ტულუზი — ლანსი

XXI ტური, 16 დეკემბერი

ბასტია — პარი სენ ჟერმენი
გინგამი — მარსელი
ლანსი — ბორდო
მეცი — ლილი
მონაკო — რენი
ნანტი — ტულუზი
სედანი — სტრასბური
სენტ ეტიენი — ოსერი
ტრუა — ლიონი

XXII ტური, 22 დეკემბერი

ოსერი — ლანსი
ბორდო — ნანტი
ლილი — ბასტია
ლიონი — სენტ ეტიენი
მარსელი — მონაკო
პარი სენ ჟერმენი — ტრუა
რენი — სედანი
სტრასბური — მეცი
ტულუზი — გინგამი

XXIII ტური, 13 იანვარი 2001

ბასტია — სტრასბური
გინგამი — ბორდო
ლანსი — ლიონი
მარსელი — ტულუზი
მეცი — რენი
მონაკო — სედანი
ნანტი — ოსერი
სენტ ეტიენი — პარი სენ ჟერმენი
ტრუა — ლილი

XXIV ტური, 27 იანვარი

ოსერი — გინგამი
ბორდო — მარსელი
ლილი — სენტ ეტიენი
ლიონი — ნანტი
პარი სენ ჟერმენი — ლანსი
რენი — ბასტია
სედანი — მეცი
სტრასბური — ტრუა
ტულუზი — მონაკო

XXV ტური, 3 თებერვალი

ბასტია — სედანი
გინგამი — ლიონი
ლანსი — ლილი
მარსელი — ოსერი
მონაკო — მეცი
ნანტი — პარი სენ ჟერმენი
სენტ ეტიენი — სტრასბური
ტულუზი — ბორდო
ტრუა — რენი

XXVI ტური, 7 თებერვალი

ოსერი — ტულუზი
ბორდო — მონაკო
ლილი — ნანტი
ლიონი — მარსელი
მეცი — ბასტია
პარი სენ ჟერმენი — გინგამი
რენი — სენტ ეტიენი
სედანი — ტრუა
სტრასბური — ლანსი

XXVII ტური, 17 თებერვალი

ბორდო — ოსერი
გინგამი — ლილი
ლანსი — რენი
მარსელი — პარი სენ ჟერმენი
მონაკო — ბასტია
ნანტი — სტრასბური
სენტ ეტიენი — სედანი
ტულუზი — ლიონი
ტრუა — მეცი

XXVIII ტური, 3 მარტი

ოსერი — მონაკო
ბასტია — ტრუა
ლილი — მარსელი
ლიონი — ბორდო
მეცი — სენტ ეტიენი
პარი სენ ჟერმენი — ტულუზი
რენი — ნანტი
სედანი — ლანსი
სტრასბური — გინგამი

XXIX ტური, 17 მარტი

ოსერი — ლიონი
ბორდო — პარი სენ ჟერმენი
გინგამი — რენი
ლანსი — მეცი
მარსელი — სტრასბური
მონაკო — ტრუა
ნანტი — სედანი
სენტ ეტიენი — ბასტია
ტულუზი — ლილი

XXX ტური, 7 აპრილი

ბასტია — ლანსი
ლილი — ბორდო
ლიონი — მონაკო
მეცი — ნანტი
პარი სენ ჟერმენი — ოსერი
რენი — მარსელი
სედანი — გინგამი
სტრასბური — ტულუზი
ტრუა — სენტ ეტიენი

XXXI ტური, 14 აპრილი

ოსერი — ლილი
ბორდო — სტრასბური
გინგამი — მეცი
ლანსი — ტრუა
ლიონი — პარი სენ ჟერმენი
მარსელი — სედანი
მონაკო — სენტ ეტიენი
ნანტი — ბასტია
ტულუზი — რენი

XXXII ტური, 28 აპრილი

ბასტია — გინგამი
ლილი — ლიონი
მეცი — მარსელი
პარი სენ ჟერმენი — მონაკო
რენი — ბორდო
სედანი — ტულუზი
სენტ ეტიენი — ლანსი
სტრასბური — ოსერი
ტრუა — ნანტი

XXXIII ტური, 12 მაისი

ოსერი — რენი
ბორდო — სედანი
გინგამი — ტრუა
ლიონი — სტრასბური
მარსელი — ბასტია
მონაკო — ლანსი
ნანტი — სენტ ეტიენი
პარი სენ ჟერმენი — ლილი
ტულუზი — მეცი

XXXIV ტური, 19 მაისი

ბასტია — ტულუზი
ლანსი — ნანტი
მეცი — ბორდო
მონაკო — ლილი
რენი — ლიონი
სედანი — ოსერი
სენტ ეტიენი — გინგამი
სტრასბური — პარი სენ ჟერმენი
ტრუა — მარსელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისი. პრემიერლიგა. 2000-2001 კალენდარი

I ტური, 19 აგვისტო 2000

ჩარლტონი — სიტი
ჩელსი — ვესტ ჰემი
ქოვენთრი — მიდლსბრო
დერბი — საუთჰემპტონი
ლიდსი — ევერტონი
ლესტერი — ასტონ ვილა
ლივერპული — ბრედფორდი
მანჩესტერი — ნიუკასლი
სანდერლენდი — არსენალი
ტოტენჰემი — იფსვიჩი

II ტური, 22 აგვისტო

არსენალი — ლივერპული
ბრედფორდი — ჩელსი
იფსვიჩი — მანჩესტერი
მიდლსბრო — ტოტენჰემი

23 აგვისტო

ასტონ ვილა — ლიდსი
ევერტონი — ჩარლტონი
სიტი — სანდერლენდი
ნიუკასლი — დერბი
საუთჰემპტონი — ქოვენთრი
ვესტ ჰემი — ლესტერი

III ტური, 26 აგვისტო

არსენალი — ჩარლტონი
ასტონ ვილა — ჩელსი
ბრედფორდი — ლესტერი
ევერტონი — დერბი
იფსვიჩი — სანდერლენდი
სიტი — ქოვენთრი
მიდლსბრო — ლიდსი
ნიუკასლი — ტოტენჰემი
საუთჰემპტონი — ლივერპული
ვესტ ჰემი — მანჩესტერი

IV ტური, 5 სექტემბერი

ჩარლტონი — საუთჰემპტონი
ლიდსი — სიტი
სანდერლენდი — ვესტ ჰემი
ტოტენჰემი — ევერტონი

6 სექტემბერი

ჩელსი — არსენალი
ქოვენთრი — ნიუკასლი
დერბი — მიდლსბრო
ლესტერი — იფსვიჩი
ლივერპული — ასტონ ვილა
მანჩესტერი — ბრედფორდი

V ტური, 9 სექტემბერი

ბრედფორდი — არსენალი
ქოვენთრი — ლიდსი
დერბი — ჩარლტონი
იფსვიჩი — ასტონ ვილა
ლესტერი — საუთჰემპტონი
ლივერპული — სიტი
მანჩესტერი — სანდერლენდი
მიდლსბრო — ევერტონი
ნიუკასლი — ჩელსი
ტოტენჰემი — ვესტ ჰემი

VI ტური, 16 სექტემბერი

არსენალი — ქოვენთრი
ასტონ ვილა — ბრედფორდი
ჩარლტონი — ტოტენჰემი
ჩელსი — ლესტერი
ევერტონი — მანჩესტერი
ლიდსი — იფსვიჩი
სიტი — მიდლსბრო
საუთჰემპტონი — ნიუკასლი
სანდერლენდი — დერბი
ვესტ ჰემი — ლივერპული

VII ტური, 23 სექტემბერი

ბრედფორდი — საუთჰემპტონი
ქოვენთრი — ვესტ ჰემი
დერბი — ლიდსი
იფსვიჩი — არსენალი
ლესტერი — ევერტონი
ლივერპული — სანდერლენდი
მანჩესტერი — ჩელსი
მიდლსბრო — ასტონ ვილა
ნიუკასლი — ჩარლტონი
ტოტენჰემი — სიტი

VIII ტური, 30 სექტემბერი

არსენალი — მანჩესტერი
ასტონ ვილა — დერბი
ჩარლტონი — ქოვენთრი
ჩელსი — ლივერპული
ევერტონი — იფსვიჩი
ლიდსი — ტოტენჰემი
სიტი — ნიუკასლი
საუთჰემპტონი — მიდლსბრო
სანდერლენდი — ლესტერი
ვესტ ჰემი — ბრედფორდი

IX ტური, 14 ოქტომბერი

არსენალი — ასტონ ვილა
ქოვენთრი — ტოტენჰემი
დერბი — ლივერპული
ევერტონი — საუთჰემპტონი
იფსვიჩი — ვესტ ჰემი
ლიდსი — ჩარლტონი
ლესტერი — მანჩესტერი
სიტი — ბრედფორდი
მიდლსბრო — ნიუკასლი
სანდერლენდი — ჩელსი

X ტური, 21 ოქტომბერი

ასტონ ვილა — სანდერლენდი
ბრედფორდი — იფსვიჩი
ჩარლტონი — მიდლსბრო
ჩელსი — ქოვენთრი
ლივერპული — ლესტერი
მანჩესტერი — ლიდსი
ნიუკასლი — ევერტონი
საუთჰემპტონი — სიტი
ტოტენჰემი — დერბი
ვესტ ჰემი — არსენალი

XI ტური, 28 ოქტომბერი

არსენალი — სიტი
ასტონ ვილა — ჩარლტონი
ბრედფორდი — ლიდსი
ჩელსი — ტოტენჰემი
იფსვიჩი — მიდლსბრო
ლესტერი — დერბი
ლივერპული — ევერტონი
მანჩესტერი — საუთჰემპტონი
სანდერლენდი — ქოვენთრი
ვესტ ჰემი — ნიუკასლი

XII ტური, 4 ნოემბერი

ჩარლტონი — ბრედფორდი
ქოვენთრი — მანჩესტერი
დერბი — ვესტ ჰემი
ევერტონი — ასტონ ვილა
ლიდსი — ლივერპული
სიტი — ლესტერი
მიდლსბრო — არსენალი
ნიუკასლი — იფსვიჩი
საუთჰემპტონი — ჩელსი
ტოტენჰემი — სანდერლენდი

XIII ტური, 11 ნოემბერი

არსენალი — დერბი
ასტონ ვილა — ტოტენჰემი
ბრედფორდი — ევერტონი
ჩელსი — ლიდსი
იფსვიჩი — ჩარლტონი
ლესტერი — ნიუკასლი
ლივერპული — ქოვენთრი
მანჩესტერი — მიდლსბრო
სანდერლენდი — საუთჰემპტონი
ვესტ ჰემი — სიტი

XIV ტური, 18 ნოემბერი

ჩარლტონი — ჩელსი
ქოვენთრი — იფსვიჩი
დერბი — ბრედფორდი
ევერტონი — არსენალი
ლიდსი — ვესტ ჰემი
სიტი — მანჩესტერი
მიდლსბრო — ლესტერი
ნიუკასლი — სანდერლენდი
საუთჰემპტონი — ასტონ ვილა
ტოტენჰემი — ლივერპული

XV ტური, 25 ნოემბერი

ჩარლტონი — სანდერლენდი
ქოვენთრი — ასტონ ვილა
დერბი — მანჩესტერი
ევერტონი — ჩელსი
ლიდსი — არსენალი
სიტი — იფსვიჩი
მიდლსბრო — ბრედფორდი
ნიუკასლი — ლივერპული
საუთჰემპტონი — ვესტ ჰემი
ტოტენჰემი — ლესტერი

XVI ტური, 2 დეკემბერი

არსენალი — საუთჰემპტონი
ასტონ ვილა — ნიუკასლი
ბრედფორდი — ქოვენთრი
ჩელსი — სიტი
იფსვიჩი — დერბი
ლესტერი — ლიდსი
ლივერპული — ჩარლტონი
მანჩესტერი — ტოტენჰემი
სანდერლენდი — ევერტონი
ვესტ ჰემი — მიდლსბრო

XVII ტური, 9 დეკემბერი

არსენალი — ნიუკასლი
ბრედფორდი — ტოტენჰემი
ჩარლტონი — მანჩესტერი
ჩელსი — დერბი
ქოვენთრი — ლესტერი
ლივერპული — იფსვიჩი
სიტი — ევერტონი
საუთჰემპტონი — ლიდსი
სანდერლენდი — მიდლსბრო
ვესტ ჰემი — ასტონ ვილა

XVIII ტური, 16 დეკემბერი

ასტონ ვილა — სიტი
დერბი — ქოვენთრი
ევერტონი — ვესტ ჰემი
იფსვიჩი — საუთჰემპტონი
ლიდსი — სანდერლენდი
ლესტერი — ჩარლტონი
მანჩესტერი — ლივერპული
მიდლსბრო — ჩელსი
ნიუკასლი — ბრედფორდი
ტოტენჰემი — არსენალი

XIX ტური, 23 დეკემბერი

ჩარლტონი — ევერტონი
ჩელსი — ბრედფორდი
ქოვენთრი — საუთჰემპტონი
დერბი — ნიუკასლი
ლიდსი — ასტონ ვილა
ლესტერი — ვესტ ჰემი
ლივერპული — არსენალი
მანჩესტერი — იფსვიჩი
სანდერლენდი — სიტი
ტოტენჰემი — მიდლსბრო

XX ტური, 26 დეკემბერი

არსენალი — ლესტერი
ასტონ ვილა — მანჩესტერი
ბრედფორდი — სანდერლენდი
ევერტონი — ქოვენთრი
იფსვიჩი — ჩელსი
სიტი — დერბი
მიდლსბრო — ლივერპული
ნიუკასლი — ლიდსი
საუთჰემპტონი — ტოტენჰემი
ვესტ ჰემი — ჩარლტონი

XXI ტური, 30 დეკემბერი

არსენალი — სანდერლენდი
ასტონ ვილა — ლესტერი
ბრედფორდი — ლივერპული
ევერტონი — ლიდსი
იფსვიჩი — ტოტენჰემი
სიტი — ჩარლტონი
მიდლსბრო — ქოვენთრი
ნიუკასლი — მანჩესტერი
საუთჰემპტონი — დერბი
ვესტ ჰემი — ჩელსი

XXII ტური, 1 იანვარი 2001

ჩარლტონი — არსენალი
ჩელსი — ასტონ ვილა
ქოვენთრი — სიტი
დერბი — ევერტონი
ლიდსი — მიდლსბრო
ლესტერი — ბრედფორდი
ლივერპული — საუთჰემპტონი
მანჩესტერი — ვესტ ჰემი
სანდერლენდი — იფსვიჩი
ტოტენჰემი — ნიუკასლი

XXIII ტური, 13 იანვარი

არსენალი — ჩელსი
ასტონ ვილა — ლივერპული
ბრედფორდი — მანჩესტერი
ევერტონი — ტოტენჰემი
იფსვიჩი — ლესტერი
სიტი — ლიდსი
მიდლსბრო — დერბი
ნიუკასლი — ქოვენთრი
საუთჰემპტონი — ჩარლტონი
ვესტ ჰემი — სანდერლენდი

XXIV ტური, 20 იანვარი

ჩარლტონი — ვესტ ჰემი
ჩელსი — იფსვიჩი
ქოვენთრი — ევერტონი
დერბი — სიტი
ლიდსი — ნიუკასლი
ლესტერი — არსენალი
ლივერპული — მიდლსბრო
მანჩესტერი — ასტონ ვილა
სანდერლენდი — ბრედფორდი
ტოტენჰემი — საუთჰემპტონი

XXV ტური, 30 იანვარი

არსენალი — ბრედფორდი
ჩარლტონი — დერბი
ლიდსი — ქოვენთრი
სანდერლენდი — მანჩესტერი

31 იანვარი

ასტონ ვილა — იფსვიჩი
ჩელსი — ნიუკასლი
ევერტონი — მიდლსბრო
სიტი — ლივერპული
საუთჰემპტონი — ლესტერი
ვესტ ჰემი — ტოტენჰემი

XXVI ტური, 3 თებერვალი

ბრედფორდი — ასტონ ვილა
ქოვენთრი — არსენალი
დერბი — სანდერლენდი
იფსვიჩი — ლიდსი
ლესტერი — ჩელსი
ლივერპული — ვესტ ჰემი
მანჩესტერი — ევერტონი
მიდლსბრო — სიტი
ნიუკასლი — საუთჰემპტონი
ტოტენჰემი — ჩარლტონი

XXVII ტური, 10 თებერვალი

არსენალი — იფსვიჩი
ასტონ ვილა — მიდლსბრო
ჩარლტონი — ნიუკასლი
ჩელსი — მანჩესტერი
ევერტონი — ლესტერი
ლიდსი — დერბი
სიტი — ტოტენჰემი
საუთჰემპტონი — ბრედფორდი
სანდერლენდი — ლივერპული
ვესტ ჰემი — ქოვენთრი

XXVIII ტური, 24 თებერვალი

ბრედფორდი — ვესტ ჰემი
ქოვენთრი — ჩარლტონი
დერბი — ასტონ ვილა
იფსვიჩი — ევერტონი
ლესტერი — სანდერლენდი
ლივერპული — ჩელსი
მანჩესტერი — არსენალი
მიდლსბრო — საუთჰემპტონი
ნიუკასლი — სიტი
ტოტენჰემი — ლიდსი

XXIX ტური, 3 მარტი

არსენალი — ვესტ ჰემი
ქოვენთრი — ჩელსი
დერბი — ტოტენჰემი
ევერტონი — ნიუკასლი
იფსვიჩი — ბრედფორდი
ლიდსი — მანჩესტერი
ლესტერი — ლივერპული
სიტი — საუთჰემპტონი
მიდლსბრო — ჩარლტონი
სანდერლენდი — ასტონ ვილა

XXX ტური, 17 მარტი

ასტონ ვილა — არსენალი
ბრედფორდი — სიტი
ჩარლტონი — ლიდსი
ჩელსი — სანდერლენდი
ლივერპული — დერბი
მანჩესტერი — ლესტერი
ნიუკასლი — მიდლსბრო
საუთჰემპტონი — ევერტონი
ტოტენჰემი — ქოვენთრი
ვესტ ჰემი — იფსვიჩი

XXXI ტური, 21 მარტი

არსენალი — ტოტენჰემი
ბრედფორდი — ნიუკასლი
ჩარლტონი — ლესტერი
ჩელსი — მიდლსბრო
ქოვენთრი — დერბი
ლივერპული — მანჩესტერი
სიტი — ასტონ ვილა
საუთჰემპტონი — იფსვიჩი
სანდერლენდი — ლიდსი
ვესტ ჰემი — ევერტონი

XXXII ტური, 7 აპრილი

ასტონ ვილა — ვესტ ჰემი
დერბი — ჩელსი
ევერტონი — სიტი
იფსვიჩი — ლივერპული
ლიდსი — საუთჰემპტონი
ლესტერი — ქოვენთრი
მანჩესტერი — ჩარლტონი
მიდლსბრო — სანდერლენდი
ნიუკასლი — არსენალი
ტოტენჰემი — ბრედფორდი

XXXIII ტური, 14 აპრილი

არსენალი — მიდლსბრო
ასტონ ვილა — ევერტონი
ბრედფორდი — ჩარლტონი
ჩელსი — საუთჰემპტონი
იფსვიჩი — ნიუკასლი
ლესტერი — სიტი
ლივერპული — ლიდსი
მანჩესტერი — ქოვენთრი
სანდერლენდი — ტოტენჰემი
ვესტ ჰემი — დერბი

XXXIV ტური, 16 აპრილი

ჩარლტონი — ასტონ ვილა
ქოვენთრი — სანდერლენდი
დერბი — ლესტერი
ევერტონი — ლივერპული
ლიდსი — ბრედფორდი
სიტი — არსენალი
მიდლსბრო — იფსვიჩი
ნიუკასლი — ვესტ ჰემი
საუთჰემპტონი — მანჩესტერი
ტოტენჰემი — ჩელსი

XXXV ტური, 21 აპრილი

არსენალი — ევერტონი
ასტონ ვილა — საუთჰემპტონი
ბრედფორდი — დერბი
ჩელსი — ჩარლტონი
იფსვიჩი — ქოვენთრი
ლესტერი — მიდლსბრო
ლივერპული — ტოტენჰემი
მანჩესტერი — სიტი
სანდერლენდი — ნიუკასლი
ვესტ ჰემი — ლიდსი

XXXVI ტური, 28 აპრილი

ჩარლტონი — იფსვიჩი
ქოვენთრი — ლივერპული
დერბი — არსენალი
ევერტონი — ბრედფორდი
ლიდსი — ჩელსი
სიტი — ვესტ ჰემი
მიდლსბრო — მანჩესტერი
ნიუკასლი — ლესტერი
საუთჰემპტონი — სანდერლენდი
ტოტენჰემი — ასტონ ვილა

XXXVII ტური, 5 მაისი

არსენალი — ლიდსი
ასტონ ვილა — ქოვენთრი
ბრედფორდი — მიდლსბრო
ჩელსი — ევერტონი
იფსვიჩი — სიტი
ლესტერი — ტოტენჰემი
ლივერპული — ნიუკასლი
მანჩესტერი — დერბი
სანდერლენდი — ჩარლტონი
ვესტ ჰემი — საუთჰემპტონი

XXXVIII ტური, 19 მაისი

ჩარლტონი — ლივერპული
ქოვენთრი — ბრედფორდი
დერბი — იფსვიჩი
ევერტონი — სანდერლენდი
ლიდსი — ლესტერი
სიტი — ჩელსი
მიდლსბრო — ვესტ ჰემი
ნიუკასლი — ასტონ ვილა
საუთჰემპტონი — არსენალი
ტოტენჰემი — მანჩესტერი

ჩემპიონთა ლიგა. პირველი შესარჩევი ეტაპი
პირველი მატჩები. 12 ივლისი

CHAMPIONS LEAGUE

ტირანა (ალბანეთი) 2:3 ზიმბრუ (მოლდოვა)
1:0 დედე (13), 2:0 ფორტუზი (16), 2:1 ბერკო (29), 2:2 ბორეცი (45), 2:3 ბერკო (50)
სპონტო (ლატვია) 2:1 შამქირი (აზერბაიჯანი)
1:0 კოლესნიჩენკო (52), 1:1 კულიკოვი (82), 2:1 კოლესნიჩენკო (90ბ)
შირაქი (სომხეთი) 1:1 ბატე (ბელარუსი)
0:1 კუტუზოვი (24), 1:1 ტაკმადიანი (31)
ჟალგირისი (ლიტვა) 4:0 ბროტნიო (ბოსნია)
1:0 კსანავიჩუსი (13), 2:0 ზუტა (19), 3:0 კსანავიჩუსი (37), 4:0 ტუტკალისი (87)
ჰაკა (ფინეთი) 1:0 ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია)
1:0 უილსონი (55)
ბირკირკარა (მალტა) 1:2 რეიკიავიკი (ისლანდია)
1:0 ნვოკო (28), 1:1 სიგტორსონი (46), 1:2 იულიუსონი (57)
კლაკსვიკარი (ფარერები) 0:3 ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია)
0:1 ილიჩი (45), 0:2 სტევანოვიჩი (65), 0:3 მირკოვიჩი (90)
სლოგა (მაკედონია) 0:1 შელბურნი (ირლანდია)
0:1 ბაკერი (87)
დუდელანჟი (ლუქსემბურგი) 0:4 ლევსკი (ბულგარეთი)
0:1 ივანოვი (12), 0:2 ივანკოვი (17ბ), 0:3 ისუხმაისტროვი (69), 0:4 ივანოვი (87)
ლანსანტფრეიდი (უელსი) 2:2 ლევადია (ესტონეთი)
0:1 ბრაგინი (51), 1:1 რაიტი (58), 1:2 კრასნოპუროვი (88), 2:2 ტონერი (89)

ირლანდიური ფეხბურთის ისტორიული დღე

ამას მერე, რაც მადრიდის „რეალმა“ „ვალენსიას“ „სტად დე ფრანსზე“ 3:0 მოუგო და ჩემპიონთა თასი მოიპოვა, მხოლოდ შვიდი კვირაა გასული, მაგრამ უკვე ახალი გათამაშება დაიწყო. მისი პირველი შესარჩევი ეტაპის პირველმა მატჩებმა ნათელი მხოლოდ სამ წყვილს მოფინა: 1991 წლის თასის მფლობელი „ცრვენა ზვეზდა“, სოფიის „ლევსკი“ და ლიტვური „ჟალგირისი“ ამთავითვე შეიძლება ითქვას, რომ მორიგ მეტოქეზე ფიქრობენ. აქვე დავძენთ, „ცრვენა ზვეზდას“ მორიგი მეტოქე საქართველოს ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედოა“.

იუგოსლავიელებმა ფარერის კუნძულებზე „კლაკსვიკარს“ 3:0 მოუგეს, „ლევსკიმ“ ლუქსემბურგის „დუდელანჟი“ დაამარცხა, ასევე სტუმრად 4:0, ხოლო „ჟალგირისმა“ შინ, კაუნასში აჯობა ბოსნიურ „ბროტნიოს“ 4:0 და შემდგომ ეტაპზე შოტლანდიურ „გლაზგო რეინჯერსს“ შეხვდება.

კაუნასში, მე-19 წუთზე ანგარიში უკვე 2:0 იყო. მესამე გოლი ლიტველებმა ასევე პირველ ტაიმში დაამატეს, მეოთხეს გატანა კი თამაშის მიწურულამდე აღარ იჩქარეს.

„ლევსკის“ ოთხი გოლიდან „დუდელანჟის“ კარში ორი გეორგი ივანოვმა შეაგდო, ორიც დიმიტარ ივანკოვმა და ედუარდ ისუხმაისტროვმა. ბუნებრივია სოფიელები შინ ასეთ უპირატესობას აღარ დათმობენ და მორიგ ეტაპზე თურქულ „ბეშიქთაშს“ შეხვდებიან.

ირლანდიურ ფეხბურთში კი საგულისხმო ამბავი მოხდა. 1979 წელს „დანდალკის“ გამარჯვების შემდეგ ამ ქვეყნის კლუბებს ჩემპიონთა თასზე თამაში არ მოეგოთ და აი, ნავსი გატყდა, „შელბურნმა“ მაკედონიურ „სლოგა იუგომაგნატს“ 1:0 აჯობა, თან სტუმრად.

ამ შედეგმა დაასრულა ირლანდიელთა მაკედონიური ტანჯვაც. შეგახსენებთ, 1997 წელს მაკედონიის ერონულმა გუნდმა ირლანდიას 3:2 სძლია, ხოლო გასული წლის ოქტომბერში იმავე ნაკრებთა შეხვედრის დამთავრებამდე 12 წამით ადრე მაკედონიელებმა ანგარიში გაათანაბრეს და ირლანდიელებს ევრო 2000-ზე ავტომატური გასვლის საშუალება მოუსპეს, რის შემდეგაც ისინი პლეი ოფში მოხვდნენ და თურქებთან წააგეს.

გარდა ამისა „შელბურნი“ 1982 წლის შემდეგ პირველი ირლანდიული გუნდია, ვინც ევროთასებზე სტუმრად გაიმარჯვა.

რაც შეეხება ჩრდილოირლანდიურ „ლინფილდს“, მან ფინეთში „ჰაკასთან“ 0:1 წააგო. ერთადერთი გოლი ფინური გუნდის ინგლისელმა თავდამსხმელმა დევიდ უილსონმა გაიტანა.

ისლანდიურმა „რეიკიავიკმა“ მალტაში „ბირკირკარას“ 2:1 სძლია. ანგარიში მალტელთა ნიგერიელმა ფორვარდმა ჩაკს ნვოკომ გახსნა და მიუხედავად ისლანდიელთა უპირატესობისა „ბირკირკარამ“ ამ უპირატესობის შენარჩუნება მეორე ტაიმის დასაწყისამდე შეძლო კიდეც, მაგრამ შემდეგ ორი გაუშვა. ერთი სიტყვით, თუ „რეიკიავიკი“ შინ არ დამარცხდება, შემდგომ ეტაპზე დანიურ „ბრონდბიუსთან“ გაჯიბრება ელის.

კიშინოვის „ზიმბრუ“ ალბანურ „ტირანასთან“ სტუმრად 0:2-ს აგებდა, მაგრამ 3:2 გაიმარჯვა, ხოლო რიგის „სკონტო“ ახალ სტადიონზე აზერბაიჯანულ „შამქირთან“ 2:1 მოგებული გამოვიდა. „სკონტომ“ გამარჯვების გოლი პენალტით 90-ე წუთზე გაიტანა.

დრამატულად წარიმართა შეხვედრა უელსში „ლანსანტფრეიდსა“ და ესტონურ „ლევადიას“ შორის. საფინალო სასტვენამდე ორი წუთით ადრე ანგარიში 1:1 იყო, შემდეგ კი ჯერ „ლევადიამ“, ხოლო მერე მასპინძლებმა თითო გოლი გაცვალეს.

მიხეილ სურგულაძე

სლოგა — შელბურნი 0:1. მაკედონიელი ზორან იოვენოვი და ირლანდიელი პოლ დულინი (მარცხნივ)

UEFA EURO 2000 **ევრო 2000**

სარბიელის თერთმეტი რჩეული

კიდევ კარგი, არ შევჭამეთ კანავაროს პიცა

ფაბიო კანავარო
იტალია
დაიბადა: 1973 წლის 13 სექტემბერს ნეაპოლში (იტალია)
კლუბი: პარმა (იტალია)
ამპლუა: მცველი
სიმაღლე: 176 სმ
წონა: 75 კგ
კარიერა: პარმა (იტალია)
იტალიის ნაკრებში: 40 მატჩი, 0 გოლი

ფაბიო კანავარო

„ნუთუ მართალია?.. არა, არა, მან ხომ გარკვევით მითხრა — „პიზასთან“ დამჭირდები... სახლში გაგიჟდებიან... ლუჩანო არც დამიჯერებს... ოო, რა ბედნიერი ვარ“... 15 წლის ბიჭი ფუორიგროტას მოკირწყლულ აღმართს მიუყვებოდა. მთელ ნეაპოლში ის ყველაზე ბედნიერი იყო. იმ დღეს ფაბიო კანავარო „ნაპოლის“ ახალგაზრდულ გუნდში ჩაირიცხა...

თანაგუნდელებივით მასაც შეტევისკენ მიუწევდა გული, მაგრამ ერთ დღეს მიხვდა, რომ ბევრი ბურთის გატანას ვერასდროს შეძლებდა და უკან დაიხია — ეს ბედისწერა იყო, ბედისწერა და შირეას ფაქტორი — ამბობს კანავარო. „შირეა.. ის ფანტასტიკური იყო, კარიერის მანძილზე ერთხელაც არ გაუძევებიათ მოედნიდან. ტანსავით დიდი მინდა ვიყო“...

კანავაროს გზა „ნაპოლის“ ახალგაზრდული გუნდიდან „პარმას“ ძირითად შემადგენლობამდე ია-ვარდით მოფენილი სულაც არ ყოფილა. „ნაპოლი“ იმ წლებში სოლიდური კლუბი იყო. იქ თვით დიდი დიეგო მარადონა თამაშობდა, მისი წყალობით ნეაპოლურმა საფეხბურთო სკოლამ ოთხმოციანი წლების მიწურულს ფრთები გაშალა. საიდან აღარ მიაწყდნენ ნეაპოლს ნიჭიერი იტალიელი ყმაწვილები. მწვრთნელებსაც დიდი არჩევანი ჰქონდათ, სიფრთხილით ეკიდებოდნენ სასელექციო სამუშაოებს და „ნაპოლის“ ახალგაზრდულ შემადგენლობაში მოხვედრა ყმაწვილთათვის ოცნება იყო. კანავაროსაც „პიზასთან“ ხსენებული მატჩის შემდეგ დიდხანს მოუწია „ნაპოლის“ სასკუდეტო თამაშებზე „აუტჩიკობა“. დღეს უკვე სახელოვანი ფეხბურთელი იმ დროითაც კმაყოფილია — მე მარადონას ვუყურებდი და ეს ბევრს ნიშნავდა ჩემთვის — ამბობს კანავარო.

გამოვიტყდებით, იტალიის ნაკრების ქომაგი არასდროს ვყოფილვარ. არც საკლუბო, მით უფრო არც სანაკრებო დონეზე. ასე იყო ევრო 2000-მდე, უფრო სწორად, იტალია-ბელგიის მატჩამდე. იქამდე ჩემთვის წარმოუდგენელი იყო, თუ რა სიამოვნება შეეძლო მიეღო გულშემატკივარს დაცვაზე ორიენტირებული გუნდის თამაშიდან... დამთავრდა იტალია — ბელგიის მატჩი და ვთქვი, რომ ძოფი დიდი კაცია, მალდინი მოულლეია, ნესტა სალი კლდეა, კანავაროს კი შეცდომა არ დაუშვია. მეოთხედფინალებიდან განსაკუთრებით იტალია — რუმინეთის შეხვედრა მაინტერესებდა. კანავარო მატჩისწინა ჰიმნის დროს ინძაგისთან ხელიხელჩაჭიდებული იდგა. ეს იმ დღეს ერთადერთი ეპიზოდი იყო, როცა კანავარო მოედანზე იდგა. დაიწყო მატჩი და პირადად ჩემთვის რამდენიმე წუთის შემდეგ ცხადი გახდა, რომ რუმინეთის ნაკრები გოლს ვერ გაიტანდა. ბალკანელთაგან საფრთხე ძირითადად შეტევის მარცხენა ფრთიდან იყო მოსალოდნელი. იქ კი კანავარო იდგა. კარგად მახსოვს, მეორე ნახევარში როცა ჰაჯი და კომპანია მოედნის ცენტრალურ ნაწილს (მოგვიანებით კი მარჯვენა ფლანგს) მიაწყდა, კანავარომ უმალ აუღო ალღო შექმნილ სიტუაციას, რამდენიმეჯერ ეფექტურად დაეზღვია ნესტა და გამოცდილი მალდინი. ნახევარფინალების წინ კი უკვე თავგადაკლული „იტალიელი“ ვიყავი. ჰოლანდია — იტალია... ეს იყო, უხვგოლიანი მატჩივით ლამაზი შეხვედრა.

და კანავარო... მან დამანახა, რომ ფეხბურთი მარტო გოლი არ არის. საოცარი, ეფექტური ფინტივით ლამაზი იყო ეპიზოდები, როცა იგი თავდამსხმელს ბურთს აართმევდა-ხოლმე. მეოთხედფინალებიდან მოყოლებული იმის ცდაში ვიყავი, როდის შეცდებოდა კანავარო. მას ევრო 2000-ზე შეცდომა არ დაუშვია ბოლო წუთამდე... ფინალი. მსაჯის მიერ დამატებული ოთხწუთეული იწურება. იტალიას 30 წამი აშორებს ტრიუმფამდე. ამ დროს მარცხენა ფრთიდან საჯარიმოში შეჭრილი ვილტორდის მისამართით ბურთი გაფრინდა, კანავაროს მის მოსაგერიებლად მხოლოდ ახტომა სჭირდება. მის თავს უნდა გადაეწყვიტა მთელი გუნდის ბედი. რამდენიმე სანტიმეტრი დააკლდა... სამი წამის შემდეგ ვილტორდმა იტალიას განაჩენი გამოუტანა. მესამე ტაიმში ფაბიო ერთხელაც გატყდა — ტრეზეგემ „მამლები“ აზეიმა.

— ამაზე კატასტროფული რაღა უნდა მოხდეს ჩემს კარიერაში — იტყვის ნამატჩევს კანავარო, თუმც მასზე ძვირი არავის დასცდენია. მშობლიურ ნეაპოლშიც გმირად მიიღეს ღარიბ ოჯახში დაბადებული ფაბიო.

და „პარმა“. იქაურებს ვერაფრით წარმოუდგენიათ საყვარელი გუნდი კანავაროს გარეშე. ხუთი წლის წინ შემთხვევით არ აუტეხია ომი „პარმას“ პრეზიდენტს კლაისტო ტანცის მასიმო მორატის წინააღმდეგ. ომის საბაბი, რა თქმა უნდა, კანავარო იყო. „ინტერს“ ახალგაზრდა ნიჭიერ მცველთან ფაქტობრივად გაჩარხული ჰქონდა საქმე, როცა ტანციმ თვალსა და ხელს შუა ააცალა მორატის კანავარო. დონ მასიმოც აბობოქრდა, მაგრამ კლაისტო ტანციმ დიპლომატია მოიშველია და „ინტერს“ კანავაროს სანაცვლოდ ასევე პერსპექტიული მცველი, რობერტო კარლოსი დაუთმო. „პალმეირასიდან“ რობერტო კარლოსი „პარმაში“ სათამაშოდ გამოემგზავრა, მაგრამ საბოლოოდ „ინტერში“ ამოყო თავი. კანავარო კი „პარმაში“ დამკვიდრდა. ამ გუნდის ქომაგებს ჯერჯერობით კი თავი ქუდში აქვთ — „პარმა“ დიდებული გუნდია, ვერც წარმომიდგენია ჩემი ცხოვრება მის გარეშე. მართალია, ფეხბურთს ვერაფერს გაუგებ, ხან სად მიგიყვანს, ხანაც — სად, მაგრამ მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, კარიერის ბოლომდე ამ გუნდში დავრჩები — ამბობს კანავარო. თუმც ეს სიტყვები რომ მხოლოდ გულშემატკივართა დასამშვიდებლადაა ნათქვამი, ფაქტია. არ მგონია, კანავარო დიდხანს შერჩეს ალბერტო მალესანის გუნდს.

სერია A-ს გასული ჩემპიონატის ბოლოს იტალიელმა ჟურნალისტებმა მცველთა საუკეთესო ტანდემად კანავარო-ტურამის წყვილი აღიარეს.

დღეს ფაბიო ნეაპოლშია, მშობლიურ ქალაქში. „აქ დასვენებას არაფერი მირჩევნია. ზღვა ბევრგანაა, მაგრამ ისეთი, როგორიც აქა, არსად მეგულება. ოჯახი, მზე, ზღვა და ბევრი პიცა — ფეხბურთისგან მხოლოდ ეს თუ მომწყვეტს“.

ოო, პიცას კი ნაროლაც დიდი ადგილი უჭირავს კანავაროს ცხოვრებაში. უეჭველია, ფეხბურთის წყალობით იტალიურ სამზარეულოს ნიჭიერი კულინარი დააკლდა. „პიცა შეუცვლელია. მის გარეშე ნამდვილად გამიჭირდებოდა. ვფიქრობ, ვფიქრობ და ასეთ დასკვნამდე მივდივარ — რომ არა ფეხბურთი, ალბათ დიდი პიცერია მექნებოდა და ხალხს ჩემი ნაღვაწით გავუმასპინძლდებოდი“.

პაატა ძვანტალიანი

ევროპული ამბები

იუგოსლავია

დივაცს ადგილს უნახავენ

იუგოსლავიის ნაკრები 16 ივლისს იწყებს ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებას. გუნდი ქვეყნის დედაქალაქ ბელგრადში მოაწყობს პირველ შეკრებას, შემდეგ კი მთებში გადაინაცვლებს. თავდაპირველად ნაკრების შწვრთნელ ჟელკო ობრადოვიჩს სასიდნეოდ 24 კანდიდატი ჰყავდა შეგულებული. ახლა მან ეს სია 16-მდე შეამცირა, ხოლო უშუალოდ ოლიმპიადაზე 12 კალათბურთელი გაემგზავრება.

ობრადოვიჩმა ბელგრადში პრესკონფერენცია მოაწყო, სადაც პირველ შეკრებაზე გამოძახებული კალათბურთელები დაასახელა.

უკანა ხაზი: მარკო იარიჩი (კინდერი, იტალია), დრაგან ლუკოვსკი (ცრვენა ზვეზდა), იგორ რაკოჩევიჩი (მინესოტა ტიმბერვულვზი, აშშ), საშა ობრადოვიჩი (ბუდუჩნოსტი), ალექსანდრ ჯორჯევიჩი (რეალი, ესპანეთი), ვლადო შჩეპანოვიჩი (ეფესი, თურქეთი), ნიკოლა ლონჩარი (უგუნდიდ).

ფორვარდები: პრედრაგ დანილოვიჩი (კინდერი, იტალია), დეიან ბოდიროგა (პანათინაიკოსი, საბერძნეთი), მილან გუროვიჩი (ბარსელონა, ესპანეთი), პრედრაგ სტოიაკოვიჩი (საკრამენტო კინგზი, აშშ), დეიან მილოევიჩი (ულეზნიკი), დეიან ტომაშევიჩი (ბუდუჩნოსტი):

ცენტრები: დრაგან ტარლაჩი (ოლიმპიაკოსი, საბერძნეთი), პრედრაგ დრობნიაკი (ეფესი, თურქეთი), ჟელკო რებრაჩა (პანათინაიკოსი, საბერძნეთი).

როგორც ხედავთ, კანდიდატთა შორის არის მადრიდის „რეალის“ უკანახაზელი ალექსანდრ ჯორჯევიჩი, რომელიც თითქოს უარობდა ოლიმპიადაზე თამაშს. სამაგიეროდ, შეკრებაზე არ ჩამოსულა „საკრამენტო კინგზის“ ცენტრი ვლადე დივაცი, რომელმაც სიდნეიში წასვლაზე უარი თქვა, აქაოდა, ოჯახთან მეტხანს ყოფნა მსურსო. ჟელკო ობრადოვიჩმა დაადასტურა დივაცის სიტყვები, თუმცა დასძინა, ნაკრების კარი მისთვის ყოველთვის ღია იქნებაო: „ვლადემ თქვა, რომ მას ოჯახთან ყოფნა სურს. მის აზრს პატივს ვცემ, მაგრამ ადგილს ნაკრებში ბოლო მომენტამდე შევუნახავ. ყველამ ვიცით, ვინ არის და რას წარმოადგენს ვლადე დივაცი. იგი ძალიან ბევრს ნიშნავს გუნდისთვის. დივაცი უმაღლესი კლასის მოთამაშეა და, ვფიქრობ, ამგვარ დამოკიდებულებას იმსახურებს“.



ვლადე დივაცი

ULEB-ის ევროლიგა

ამბოხებულებმა ერთმანეთი დაინაწილეს

სალონიკში გაიმართა ევროპის საკალათბურთო ლიგათა კავშირის (ULEB) ევროლიგის კენჭისყრა. 24 გუნდი ოთხ ჯგუფში ასე განაწილდა:

***A** ჯგუფი: ჟალგირისი (კაუნასი, ლიტვა), ფორტიტუდო (ბოლონია, იტალია), ესტუდიანტესი (მადრიდი, ესპანეთი), პერისტერი (ათენი, საბერძნეთი), ზადარი (ზორვატია), ლუგანო (შვეიცარია)*

***B** ჯგუფი: კინდერი (ბოლონია, იტალია), აეკ (ათენი, საბერძნეთი), ციბონა (ზაგრები, ხორვატია), ტაუ (ვიტორია, ესპანეთი), სპარტაკი (სანკტ პეტერბურგი, რუსეთი), შარლერუა (ბელგია)*

***C** ჯგუფი: ოლიმპიაკოსი (პირეოსი, საბერძნეთი), რეალი (მადრიდი, ესპანეთი), ბენეტონი (ტრევიზო, იტალია), ოლიმპია (ლიუბლიანა, სლოვენია), ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი), ოვარენშე (ოვარი, პორტუგალია)*

***D** ჯგუფი: ბარსელონა (ესპანეთი), ბუდუჩნოსტი (პოდგორიცა, იუგოსლავია), პაოკ (სალონიკი, საბერძნეთი), მიულერი (ვერონა, იტალია), სკაილაინერზი (ფრანკფურტი, გერმანია), ლონდონ თაუერზი (ინგლისი)*

დადგინდა შეჯიბრების გამართვის ვადები და სისტემა. პირველ ეტაპზე გუნდები თანაჯგუფელებს წრიულად და მიმოსვლით შეხვდებიან. სულ გაიმართება ათი ტური, თამაშები მოეწყობა: 2000 წლის 19 და 26 ოქტომბერს, 2, 9 და 16 ნოემბერს, 7, 14 და 21 დეკემბერს, 2001 წლის 11 და 18 იანვარს.

ჯგუფების ოთხ-ოთხი საუკეთესო გუნდი გავა მერვედფინალში, რომელიც ორ მოგებამდე გაგრძელდება. მატჩები გაიმართება 1, 8 და, თუ საჭირო გახდა, 15 თებერვალს.

მეოთხედფინალი ორ მოგებამდე გაგრძელდება. მატჩები გაიმართება 22 თებერვალს, 1 მარტს და, თუ საჭირო გახდა, 8 მარტს.

ნახევარფინალი სამ მოგებამდე გაგრძელდება. მატჩები გაიმართება 27 და 29 მარტს, 3 აპრილს და, თუ საჭირო გახდა, 5 და 12 აპრილს.

ფინალური სერია სამ მოგებამდე გაგრძელდება. მატჩები გაიმართება 17 და 19 აპრილს, 1 მაისს და, თუ საჭირო გახდა, 3 და 10 მაისს.

შეამჩნევდით, რომ ULEB-ის ევროლიგას არ აქვს „ოთხთა ფინალი“ და გამარჯვებული არა ერთი მატჩის, არამედ სამ მოგებამდე სერიის მიხედვით გაირკვევა. კენჭისყრაზე სტუმრად მყოფმა იუგოსლავიელმა კალათბურთელმა, „საკრამენტო კინგზის“ ფორვარდმა პრედრაგ სტოიაკოვიჩმა ფიბა-სგან განდგომილებს ეს სისტემა მოუწონა: „ახალი სისტემა ძალიან კარგია და გამორიცხავს ყველა შემთხვევითობას, რომელიც „ოთხთა ფინალში“ შეიძლება მოხდეს. სამჯერ ის გუნდი გაიმარჯვებს, რომელსაც ჩემპიონობა უფრო ეკუთვნის“.

კენჭისყრის შემდეგ პირველი კომენტარებიც გაკეთდა. ტრევიზოს „ბენეტონის“ მწვრთნელმა პიერლუიჯი ბუჩი: „თქმაც არ უნდა, რომ ჩვენი ჯგუფი ყველაზე ძლიერია. პირველ მატჩში ლიუბლიანის „ოლიმპიას“ ვხვდებით. ძნელი სტარტია, მაგრამ გადაწყვეტილი გვაქვს, ტურნირის დასაწყისიდანვე მოვიპოვოთ უპირატესობა. არც ის გვაშინებს, რომ ჩვენს ჯგუფში ორი ლეგენდარული კლუბია — „ოლიმპიაკოსი“ და „რეალი“. „ბენეტონი“ ახალგაზრდა და ბრძოლის ჟინით აღსავსე გუნდია — ჩვენ დიდი კალათბურთის თამაში და ბევრი მოგება გვინდა“.

ბოლონიის „კინდერის“ ვიცე-პრეზიდენტი რობერტო ბრუნამონტი: „დასკვნების გაკეთება ჯერჯერობით ნაადრევია, რადგან თითქმის არც ერთ გუნდს არ დაუსრულებია სასურველი მოთამაშეების შერჩევა. აეკ, „ციბონა“ და „ტაუ“ ძლიერი გუნდებია, რომლებიც კარგა ხანია თამაშობენ უმაღლეს ევროპულ დონეზე. მათთვის არც ევროლიგაა უცხო. აეკ-ს შარშან ბრწყინვალე სეზონი ჰქონდა, მოიგო საპორტას და საბერძნეთის თასები. „ტაუს“ სუპროლიგის „ოთხთა ფინალისთვის“ უნდა ემასპინძლა. ამდენად, მათ ფინანსური თადარიგი დაჭერილი აქვთ და ძლიერი მოთამაშეების დამატებაც შეუძლიათ. „სპარტაკს“ და „შარლერუას“ კარგად არ ვიცნობ“.

ბოლონიის „ფორტიტუდოს“ მწვრთნელმა კარლო რეკალკატიმ საუბარი ტრევიზოს „ბენეტონით“ დაიწყო: „ეფიქრობ, „ბენეტონი“ ყველაზე ძლიერ ჯგუფში მოხვდა და მძიმე მატჩები ელის. არც ჩვენი ჯგუფია სუსტი, თუმცა საბოლოო კომენტარს მაშინ გავაკეთებ, როცა მეტოქეთა შემადგენლობები დაზუსტდება“.

„ახლა, როცა წილი ნაყარია, ULEB-ის ევროლიგა რეალობად იქცა. ჩვენ ვიცით ჯგუფები, ვიცით მატჩების თარიღები. ევროპულ კალათბურთში ახალი ერა იწყება“ — ამბობს ULEB-ის ევროლიგის მსაჯთა კომიტეტის ხელმძღვანელი კოსტას რიგასი. ახალი ერისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მსაჯობა ახალ ევროლიგაში სერიოზულ პრობლემად იქცევა. ფიბა-მ მკაცრად გააფრთხილა მსაჯები: თუ ULEB-ის ევროლიგის მატჩებს განსჯით, ჩემი წევრობიდანაც გაგრიცხავთ და ეროვნული ფედერაციიდანაც.

კენჭისყრის დამთავრებისთანავე ვიღაცამ ახალი იდეა წამოაყენა: სეზონის ბოლოს სუპროლიგის და ევროლიგის ჩემპიონები ვათამაშოთ და ევროპის საუკეთესო კლუბი გამოვავლინოთო. ჯერჯერობით მსჯელობა არ გამართულა, რადგან ULEB-ს ჯერ ევროლიგის ტურნირი აქვს ჩასატარებელი, ხოლო ფიბა ამბოხებულებთან ურთიერთობაზე ჯერჯერობით კატეგორიულ უარს აცხადებს.

სუპროლიგა 2000-2001

ირაკლისმა სუპროლიგა შეავსო

პანიონიოსი პარლამენტში ჩივის

სუპროლიგა შეივსო. ამ ტურნირის მეოცე მონაწილე საბერძნეთის ქალაქ სალონიკის „ირაკლისი“ გახდა. ასე გადაწყვიტა საბერძნეთის კალათბურთის ფედერაციის ასამბლეამ. ბერძნებს კი განაჩენის გამოტანა სამოყვარულო კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიბა) დაავალა.

წესითა და რიგით სუპროლიგაში ათენის „პანიონიოსს“ უნდა ეთამაშა. რადგან მან საბერძნეთის ჩემპიონატში მეექვსე ადგილი დაიკავა. ჩემპიონი ათენის „პანათინაიკოსი“ ისედაც იყო სუპროლიგაში, ხოლო მომდევნო ადგილებზე გასულებმა (პაოკ, ოლიმპიაკოსი, აეკ, პერისტერი) ფიბა-ს უგანეს და ULEB-ის ევროლიგას შეუერთდნენ. შემდეგ კი ფიბა-მ თქვა, რომ სუპროლიგის გეოგრაფიის გაზრდა სწადია და საბერძნეთიდან მეორე მონაწილე გუნდი ქალაქ სალონიკის უნდა იყოსო. რიგში „ირაკლისი“ (მეშვიდე ადგილი საბერძნეთის ჩემპიონატში) და „არისი“ (მეცხრე ადგილი) ჩადგნენ. აქ ფიბა-მ ხელი დაიბანა და ყველაფერი საბერძნეთის კალათბურთის ფედერაციას გადააბარა: ხუთშაბათს დილით სუპროლიგაში მონაწილე მეორე ბერძნული კლუბის სახელი მომახსენეო.

რაკი „პანიონიოსი“ მოიშორეს, „ირაკლისმა“ და „არისმა“ ერთმანეთში ატეხეს ომი. უკეთესი ადგილის გარდა, „ირაკლისს“ უფრო მყარი ეკონომიკური მდგომარეობა აქვს, ხოლო „არისს“ ფული შემოაკლდა და ჯერჯერობით კონტრაქტგაფორმებული ერთადერთი მოთამაშე შერჩა. საბერძნეთის კალათბურთის ფედერაციის ასამბლეის გადაწყვეტილება თითქმის ერთსულოვანი იყო: „ირაკლისმა“ 10:2 მოიგო კენჭისყრა.

საბერძნეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ამავდროულად ფიბა-ს ვიცე-პრეზიდენტმა იორგოს ვასილაკოპულოსმა დაამშვიდა „პანიონიოსი“: სუპროლიგა, შესაძლოა, 24 გუნდამდე გაიზარდოს. საბერძნეთს ერთ ადგილს დაუმატებენ და მაშინ წინ ვეღარავინ დაგიდგებათო. კი მაგრამ, როდისღა უნდა დაემატოს გუნდები სუპროლიგას, ორი დღის შემდეგ მიუნხენში ამ ტურნირის კენჭისყრაა.

„პანიონიოსი“ მარცხთან შეგუებას არ აპირებს. მან უკვე გამოთქვა პროტესტი და ფიბა-ს მიერ ორგანიზებულ ევროტურნირებში მონაწილეობაზე უარი თქვა (ათენელებს საპორტას თასზე ასპარეზობა შესთავაზეს). „პანიონიოსი“ ამით არ დაკმაყოფილდა და ქვეყნის კალათბურთის ფედერაციას და მის პრეზიდენტს საბერძნეთის პარლამენტში უჩივლა.

მაკგრეიდი ორლანდოთ მოსიბლა



ტრეისი მაკგრეიდი

ტრეისი მაკგრეიდი მრავალმხრივ ნიჭიერი კალათბურთელია და იქნებ რამდენიმე წელიწადში სუპერვარსკვლავიც გახდეს, მაგრამ... მერყეევი ხასიათის ყოფილა. მაკგრეიდიმ, მას შემდეგ, რაც „ტორონტოსთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა, განცხადა, რომ აუცილებლად წავიდოდა სხვა გუნდში, კერძოდ „ორლანდოში“. ამ ორი კვირის წინ მის მსურველ „ორლანდოს“ „ჩიკაგოც“ დაემატა და მაკგრეიდიმ ორჭოფობა დაიწყო, თქვა, რომ არ ითამაშებდა „მეჯიქში“. ერთი კვირის წინ მან ეს კვლავ დაადასტურა და აი, გუშინწინ ისევ შეცვალა გადაწყვეტილება და განაცხადა, ჩემი მსურველები თავს ნულარ შეიწუხებთ, არჩევანი „ორლანდო მეჯიქზე“ შევაჩერეო.

არადა, ერთი დღის წინ მაკგრეიდის „მაიამი ჰითის“ ცეტრმა, ალონზო მურნინგმა დაურეკა და დიდხანს ესაუბრა „მაიამიში“ თამაშის უპირატესობაზე. ლიგის ერთ-ერთი უძლიერესი კალათბურთელის მხარდამხარ თამაშის პერსპექტივამ ექსტორონტოელი უცებ მოხიბლა და სერიოზულადაც ჩაფიქრა: „ალონზომ ისეთი რამეები მითხრა, რომ იძულებული ვარ, დავფიქრდე და გეგმები კარგად ავწონ-დავწონო“ — ამბობდა იგი. ერთი დღის შემდეგ კი „ორლანდო მეჯიქის“ მწვრთნელ დოკ რივერსს შეხვდა და მისი წინადადება მიიღო. ან კი როგორ იტყოდა უარს, როცა ასეთ პირობებზე მას მხოლოდ ოცნება თუ შეეძლო. რივერსმა მას წინ დაუდო კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც მაკგრეიდი ექვსი წლის განმავლობაში 67,5 მილიონ დოლარს მიიღებს. ლიგის მიერ მკაცრად განსაზღვრული საკონტრაქტო წესების თანახმად, ეს მაქსიმუმია, რისი გაფორმებაც შეიძლება მაკგრეიდის ასაკის მოთამაშეებთან. სხვა საქმეა, რამდენად იმსახურებს ეს 21 წლის ყმაწვილი ამხელა გასამრჯელოს. შეგახსენებთ, რომ ერთი კვირის წინ „ორლანდომ“ თვით გრანტ ჰილსაც ზუსტად ასეთივე პირობები შესთავაზა და თანხმობაც მიიღო. ამ ორ კალათბურთელს შორის კი უზარმაზარი სხვაობაა. აქ კაცი დაეჭვდება, მართლა მერყეობდა მაკგრეიდი და არ იცოდა, რომელი ვარიანტი აერჩია, თუ უბრალოდ ის და მისი აგენტი ცდილობდნენ, „ორლანლოსთვის“ რაც შეეძლება სარფიანი კონტრაქტი დაეცინცლათ? თუ ასეა, მშვენივრად მოახერხეს. იქნებ მაკგრეიდი რამდენიმე წელიწადში წამყვანი მოთამაშეც გახდეს, მაგრამ თუ ასე არ მოხდა, იმის ალბათობაც საკმაოდ დიდია, „ორლანდო მეჯიქს“ თავში საცემად გაუხდეს ეს კონტრაქტი.

რაც შეეხება „მაიამის“ და მის შუამავალს, ძველი ბიჭის სახელის მქონე ალონზო მურნინგს, მაკგრეიდიმ ასე თქვა: „ალონზო? დამირეკოს კიდევ ერთხელ. გუშინ კარგად ვერ გავიგე, რა უნდოდა.“

მიუხედავად იმისა, რომ ფარზე ურიგოდ რა თამაშობს, მაკგრეიდი ამპლუით მაინც ფრთაა. „ტორონტოში“ კარიერის გაგრძელებაზე უარი ძირითადად იმიტომ განაცხადა, რომ ლიდერი ვინ კარტერიც ფრთაა და არ სურდა მის ჩრდილში ყოფნა. „ორლანდოში“ მომავალ ლიდერად ასევე ფრთა გრანტ ჰილი მოიაზრება. იგი კვლავ ჩრდილში იქნება, მაგრამ, რაც მთავარია, ხომ მოიხვეჭს მილიონებს.

ამერიკა დაკომპლექტდა!

აბდურ-რაჰმმა ჰილი შეცვალა

ამერიკის შეერთებული შტატების საკალათბურთო ნაკრების შემადგენლობა სიდნეის ოლიმპიადის დაწყებამდე ორი წლით ადრე გამოცხადდა, მაგრამ დრიმ თიმმა ამ ორი წლის განმავლობაში არაერთი ცვლილება განიცადა. ამის მიზეზი ძირითადად ამა თუ იმ მოთამაშის ტრავმაა.

თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც გრანტ ჰილმა უარი განაცხადა ნაკრებში თამაშზე. პლეი ოფში მიღებული ტრავმა ჯერ ბოლომდე არ მომიშუშებია და ოლიმპიადაზე ბოლომდე ვერ დავიხარჯებიო. ამერიკის კალათბურთის ფედერაცია, ცხადია, მაშინვე შეუდგა მისი შემცვლელის ძებნას. კანდიდატთაგან „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ მსროლელი კობი ბრაიანტი შეარჩიეს, მაგრამ მან თქვა, ამ ზაფხულს ცოლი მომყავს და თქვენი ოლიმპიადისთვის არა მცხელაო. ბრაიანტი პირველი არაა, ვინც საკუთარი ქვეყნის ინტერესების დაცვაზე უარი განაცხადა. ბევრ ვარსკვლავს არ სურს ოლიმპიადაზე არაფრის მომცემ თამაშებში მონაწილეობა, არაფრად ულირს ოლიმპიური ოქროც, რომელსაც ამერიკის ნაკრები ალბათ განსაკუთრებული ჯაფის გარეშე მოიპოვებს.

თუმც ოლიმპიური ოქროს ბრჭყვიალს თურმე ყველა ვერ უყურებს გულგრილად. ფედერაციის სპეციალურმა კომიტეტმა ჰილის შემცვლელად „ვანკუვერ გზიზლიზის“ ფრთა, შარიფ აბდურ-რაჰიმი დაასახელა, რომელიც ამ გადაწყვეტილებას ერთობ გაუხარებია, თანაც გაკვირვებია, რომ სწორედ ის შეარჩიეს ნაკრებისთვის. ბრაიანტის უარის შემდეგ ვაკანტური ადგილის შემვსებებად შარლოტელი ედი ჯონსი ან ინდიანელი ჯალენ როუზი მოიაზრებოდნენ, თუმც კომიტეტს მერეღა გადაუწყვეტია, ნაკრებში ფარისკენ ორიენტირებული კალათბურთელი აეყვანა. რაკი ჯონსიც და როუზიც უკანახაზელები არიან, არჩევანი სწორედ აბდურ-რაჰიმზე შეჩერდა. ეს უკანასკნელი ფრთა კია, მაგრამ ფარქვეშ თამაშიც არანაკლებ კარგად ეხერხება, ვიდრე გარღვევები და შორეული სროლები. ამას მისი მაჩვენებელიც მოწმობს გასულ სეზონში — მატჩში საშუალოდ 10,1 მოხსნა. ეს შედეგი მეექვსეა ლიგაში, ხოლო საშუალოდ მატჩში 20,3 ქულით იგი მეთვრამეტე ადგილზეა ლიგის ბომბარდირთა შორის. აბდურ-რაჰიმი 23 წლისაა და სულ ოთხი სეზონი გაუტარებია ლიგაში, რამაც კომიტეტის წევრებს ყოყმანის საბაბი მისცა, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი კალათბურთელის სასარგებლოდ გადაწყდა. იგი ერთხმად აირჩიეს ნაკრების წევრად.

ამერიკის ნაკრები საწვრთნელ შეკრებას აგვისტოს ბოლოს შეუდგება, ოლიმპიადა კი სექტემბერში დაიწყება. ნაკრების საბოლოო შემადგენლობა კი ასე გამოიყურება:



შარიფ აბდურ-რაჰიმი

უკანახაზელები: ჯეისონ კიდი (ფინიქსი), გერი პეიტონი (სიეტლი), ტიმ ჰარდეეი (მაიამი), რეი ალენი (მილუოკი), ალან ჰიუსტონი (ნიუ იორკი), სტივ სმიტი (პორტლენდი).

ფორვარდები: ვინს კარტერი (ტორონტო), შარიფ აბდურ-რაჰიმი (ვანკუვერი), კევინ გარნეტი (მინესოტა), ვინ ბეიკერი (სიეტლი).

ცენტრები: ტიმ დანკანი (სან ანტონიო), ალონზო მურნინგი (მაიამი).

ირაკლი ფირაზვილი

გრანტი გუნდს ეძებს

თავისუფალი აგენტების ბაზარზე ჯერჯერობით ყველაზე უკეთ „ორლანდო მეჯიქი“ ვაჭრობს. იმ დროს, როცა ფლორიდელები მილიონებს ფანტავენ, არც სხვა კლუბები დვანან განზე. სასურველ საქონელს ყველა არჩევს და შემდეგ იწყება ვაჭრობა.

გამონაკლისი არც „ნიუ იორკ ნიქსია“, რომელსაც სახელფასო ფონდში რამდენიმე მილიონი გაუთავისუფლდა და ახლა რომელიმე კარგი მოთამაშის აყვანა განუზრახავს. „ნიქსის“ თავისუფალი ფული ვერაფრით გასწვდებოდა რომელიმე მოზრდილ ნადავლს, როგორებიც წლეულს გრანტ ჰილი და ტიმ დანკანი იყვნენ. ასე რომ, ნიუ იორკელებმა კალები მასშტაბის მოთამაშეები შეათვალიერეს, არჩევანი პორტლენდელ თავისუფალ აგენტ, თავდამსხმელ ბრაიან გრანტზე შეაჩერეს და ახლა თავისთან ეპატიჟებიან. გრანტი ხუთშაბათს, ანუ დღეს აპირებს ნიუ იორკში ჩასვლას, რათა დაწვრილებით გაეცნოს იქაურთა შემოთავაზებულ პირობებს და ერთ დღეში უკან, პორტლენდში მიფრინავს. ნიუიორკელებს ძალიან კი სურთ გრანტის გადაბირება და ყველაფერს იღონებენ, რა თქმა უნდა, შესაძლებლობების ფარგლებში, რათა იგი „ნიქსში“ თამაშზე დაითანხმონ, მაგრამ „ნიუ იორკს“ არც ისე დიდი შანსი აქვს.

გრანტს „ნიუ იორკის“ გარდა ბევრი სხვაც ეპატიჟება, მათ შორის „ლეიკერსი“, „დეტროიტი“ და „ორლანდო“ (ეს უკანასკნელი ყველას ეპატიჟება). მაგრამ თავად კალათბურთელს ძველი გუნდი ყველას ურჩევია. აქ იგი ბოლო სეზონში 7,7 მილიონს იღებდა და ბევრად ნაკლები არც მერე ექნება, თუ დარჩა. ამასთან „პორტლენდი“ საჩემპიონო ამბიციის მქონე გუნდია, გრანტს კი მარტო ფული არ აინტერესებს. თავად „პორტლენდსაც“ სურს, შეინარჩუნოს თავისი თავისუფალი აგენტი. პრობლემა იმაშია, რომ გრანტს ბოლო სეზონში არცთუ დიდხანს უწევდა მოედანზე ყოფნა. ეს ერთადერთი მიზეზია, რის გამოც კალათბურთელი სხვა გუნდებთან მოლაპარაკებას დასთანხმდა.

გრანტი ჩინებული კალათბურთელია, მაგრამ მას არცთუ კარგი სეზონი ჰქონდა: მუხლის ოპერაცია გაიკეთა და პირველი რვა თამაში გამოტოვა. როცა მიბრუნდა, სასტარტო ხუთეულში მყარად იჯდა მანამდე მისი შემცვლელი რაშიდ ვოლესი, რომელსაც საუკეთესო სეზონი ჩაატარა და „ოლ სტარშიც“ ითამაშა. გრანტი კი მოედანზე საშუალოდ მხოლოდ 21 წუთს ატარებდა და 7,3 ქულას და 5,5 მოხსნას აკეთებდა, რაც მის ექვსწლიან კარიერაში ყველაზე ცუდი შედეგია. გრანტის მსურველმა გუნდებმა მშვენივრად იციან, რომ ხელსაყრელ სათამაშო პირობებში კი ეს მაჩვენებლები ორჯერ გაიზრდება. იგი მეტად საჭირო კალათბურთელია, მაგრამ „პორტლენდი“ ნამდვილად არ გაუშვებს რაშიდ ვოლესს. ასე რომ, ბრაიან გრანტმა იქნებ სხვა ნავსაყუდელიც იპოვოს. მას ურიგო გუნდები არ ეპატიჟებიან. „ნიუ იორკსა“ და „ლეიკერსში“ იგი სასტარტო ხუთეულში იოლად დაიმკვიდრებს ადგილს.

ივანე კოგბიაშვილი

ბრაიან გრანტი



სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

	ავსტრია			
	15 ივლისი			
001	ადმირა-შტურმი	4,4	3,1	1,7
	შვეიცარია. 1-ლი ტური			
	15 ივლისი			
002	გრასჰოპერი-ლოზანა	1,8	2,9	4,4
003	ბაზელი-სიონი	1,6	3,2	5,6
004	სერვეტი-არაუ	1,6	3,2	5,6
005	ლუგანო-სენტ გალენი	3,5	3,0	2,0
006	ივერდონი-ციურიხი	2,5	2,9	2,6
007	ლუცერნი-ქსამაქსი	1,9	2,9	3,6
	რუსეთი. მე-17 ტური			
	14 ივლისი			
008	ტორპედო-დინამო	2,3	2,9	3,0
	15 ივლისი			
009	ცსკა-კრილია	1,6	2,9	5,6
010	ურალანი-ფაკელი	1,9	2,9	4,0
011	ალანია-როტორი	1,7	3,1	4,7
012	ჩერნომორეცი-სატურნი	1,7	3,0	5,0
	16 ივლისი			
013	ლოკომოტივი-სპარტაკი	3,0	2,9	2,3
	შვედეთი. მე-11 ტური			
	16 ივლისი			
014	გიოტებორგი-ფრიოლუნდა	1,15	5,6	10,0
	17 ივლისი			
015	გაის-ელფსბორგი	2,4	3,0	2,7
016	სუნდსვალი-ჰალმსტადი	3,8	3,0	1,9
017	იორებრო-ჰაკენი	1,6	3,4	5,0
	ნორვეგია. მე-14 ტური			
	16 ივლისი			
018	ბოდიო გლიმტი-ჰაუგესუნდი	1,6	3,3	5,3
019	ოდ გრენლანდი-მოსი	1,8	3,1	4,0
020	რუსენბორგი-სტაბეკი	1,5	3,5	6,0
021	სტარტი-ბრინი	2,2	3,2	2,9
022	ტრომსიო-ვოლერენგა	1,7	3,2	4,2
023	ვიკინგი-ბრანი	2,2	3,1	3,0
	17 ივლისი			
024	მოლდე-ლილესტრიომი	2,2	3,1	3,0
	მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები			
	15 ივლისი			
501	პანამა-მექსიკა	6,0	3,8	1,4
502	კანადა-ტრინიდადი	1,4	3,8	6,0
503	სალვადორი-ჰონდურასი	2,1	2,9	3,2
504	სენტ ვინსენტი-იამაიკა	6,0	3,8	1,4
505	გვატემალა-აშშ	4,7	3,3	1,6
506	ბარბადოსი-კოსტა რიკა	5,3	3,5	1,5
	ევროპის ჩემპიონატი (18 წლამდე) (გერმანიაში)			
	17 ივლისი			
507	გერმანია-უკრაინა (14^{00})	1,5	3,4	5,6
508	ჰოლანდია-ხორვატია (14^{00})	2,2	2,9	3,0
509	ჩეხეთი-რუსეთი (14^{00})	3,0	2,9	2,2
510	საფრანგეთი-ფინეთი (14^{00})	1,4	3,5	7,0
	ინტერტოტო. III ეტაპი. I მატჩები			
	15 ივლისი			
511	ჩაჰლაული (რუმინეთი)-აუსტრია (ავსტრია)	1,9	2,9	3,6
512	ბლშანი (ჩეხეთი)-კალამატა (საბერძნეთი)	1,65	3,1	4,7
513	სლავენი (ხორვატია)-სიგმა (ჩეხეთი)	2,0	2,9	3,4
514	ზენიტი (რუსეთი)-ტატაბანია (უნგრეთი)	1,4	3,6	6,5
515	სედანი (საფრანგეთი)-ვოლფსბურგი (გერმანია)	2,0	2,9	3,4
516	სტანდარდი (ბელგია)-ზალცბურგი (ავსტრია)	1,7	3,0	4,7
517	ლანსი (საფრანგეთი)-შტუტგარტი (გერმანია)	2,0	2,9	3,4
518	სელტა (ესპანეთი)-პელისტერი (მაკედონია)	1,2	5,0	9,0
	16 ივლისი			
519	ოლბორგი (დანია)-უდინეზე (იტალია)	3,4	2,9	2,0
520	ბრედფორდი (ინგლისი)-ვალვიკი (ჰოლანდია)	1,4	3,6	6,5
521	დუკლა (ჩეხეთი)-ასტონ ვილა (ინგლისი)	3,1	3,2	2,0
522	როსტსელმაში (რუსეთი)-ოსერი (საფრანგეთი)	2,5	2,9	2,5

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

გათამაშების წესები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში". სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასვწრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო"-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო"-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო"-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო"-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო"-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ლომი და ბიზონი ერთმანეთს ეღრეჭნენ

ლენოქს ლუისი ბრიტანული დროშის ფერებით შეღებილ მანქანასთან ლონდონელების თვალწინ თავს იწონებდა...

რომ მითხარი მოვალო, რატომ დაიგვიანე? გაუბრაზდა ბოთა ლუისს

...პრესკონფერენციაზე დააგვიანა და იქ მისული სამხრეთაფრიკელი ფრანსუა ბოთა ძალიან გააბრაზა

ᲚᲔᲜᲝᲥᲡᲡ ᲚᲣᲘᲡᲘᲡᲐ და ფრანსუა ბოთას სახვალიო ბრძოლას ინტრიგა შეემატა. მეტოქეებმა გუშინწინ ერთმანეთს უკბინეს, რაც ასეთი ვითარებაში მოხდა: „ლონდონ არენის“ საპრესკონფერენციო დარბაზში ლუისი და ბოთა საზოგადოებას ერთად უნდა წარსდგომოდნენ. „თეთრი ბიზონი“ (ბოთას მეტსახელია) დანიშნულ დროს გამოცხადდა, ლუისმა კი დაგვიანა. როცა გაიგო, რომ მეტოქე საერთოდ შენობაში არ იმყოფებოდა, სამხრეთაფრიკელმა ლოდინი არ ისურვა და ტრიბუნაზე ავიდა. პირველი სიტყვები ცინცხალ ამბავს შეეხო. ბოთამ ლუისს პრეტენდენტის უპატივცემლობაში დაადო ბრალი და შემდეგ თავის საშაბათო ზრახვებზე გადაერთო: „მე აქ საინბაზოდ არ ჩამოვსულვარ — თქვა სამხრეთაფრიკელმა — ტიტულის მოგება მწყურია და ქვეყანას დავანახვებ, რისი შემძლეც ვარ. ტაისონთან შარშან დასანანად წავაგე, მაგრამ ლუისი ტაისონზე ნაკლები მგონია და თავს არ გავალახვინებ, ხალხი უნდა გავაკვირვო.“ ამ და სხვა რამეებზე 20 წუთი ტკბილი საუბრის შემდეგ ბოთა აიყარა და დარბაზი დატოვა, ათ წუთში კი ლუისიც გამოჩნდა. როცა უთხრეს, მეტოქე არ დაგელოდაო, ერთი მაგისიცო, დაახლოებით ასეთი იყო მისი პასუხი. უფრო ზუსტად: „იგი აშკარად აღრე მოვიდა, მე კი ჩემი საქმეები არ მომემთავრებინა. პრეტენდენტი ვარ და ჩემთვის პატივი უნდა ეცაო? მე სულაც ჩემპიონი ვარ და ორიოდე წუთი რომ არ დამელოდა, ის თუ ჰგონია ღირსეული საქციელი? გავბრაზდი...“

თუმცა ლუისს გაბრაზების არაფერი შეტყობია, ავი ღიმილით ამბობდა სათქმელს და ზოგიერთმა გონებამახვილმა ჟურნალისტმა იგი მთვლემარე ლომთან გააივივა. „ეს არაფერი — თქვა მერე ლუისმა — მე შემიძლია მას სამაგიერო რინგზე გადავუხადო და ასეც ვიზამ. ახლა რეფერის საკითხი“... ესეც დიდად საინტერესო ამბავია.

თურმე სახვალიო ბრძოლის განსასჯელად კრივის საერთაშორისო საბჭოს ბრიტანელი ლერი ოკონელი გაუმწესებია, ეს კაცი კი ლუისის ბანაკისთვის პერსონა ნონ გრატად გასული წლის მარტში იქცა, როცა ლუისსა და ევანდერ ჰოლიფილდის პირველ ბრძოლაში ორივეს 115-115 ქულა დაუთვალა, ეს იმ დროს, როცა საერთო აზრით ინგლისელი მეტოქეს აშკარად ჯობდა. გუშინწინ ლუისის გვერდით საბჭოს პრეზიდენტი, ხოსე სულეიმანიც იჯდა და იქნებ ამიტომ, მოკრივეს ოკონელის დანიშვნაზე ბევრი არ გაუხარებია. პირიქით, სულეიმანთან თავიდანვე თბილი ურთიერთობა დაამყარა, საწყისი თხუთმეტი წუთი საჩუქრები ცვალა და სულ შენი ჭირიმე, შენ გენაცვალეებით მიმართავდნენ ერთმანეთს. მერეც, როცა ჟურნალისტთაგან შესაბამისი კითხვები წამოვიდა, ლუისმა მოწყალე ფრაზები თქვა: „ოკონელი საშინელი დამთვლელია, მაგრამ იქნებ დიდებული რეფერი იყოს. დარწმუნებული ვარ, მას შეუძლია, საქმის კარგად კეთება და ახლა ჩვენ შანსი მივეცით. ვიმედოვნებთ, რომ გამოიყენებს“. სულეიმანს გაუხარდა: „ლუისს სრულებით ვეთანხმები. ის დღე ნიუ იორკში ლარისა არ იყო, მაგრამ ყოველ პიროვნებას სჩვევია ამგვარი ჩავარდნა, ახალი შანსის მიცემას კი ოკონელი უეჭველად იმსახურებს“.

ჯერ არ ვიცით, რას ფიქრობს ოკონელის რეფერად დანიშვნაზე პრომოუტერი ფრენკ მელოუნი, რომელმაც ნიუიორკული ბრძოლის შემდეგ ოკონელისთვის სამსაჯო ლიცენზიის ჩამორთმევის საკითხი დაყენა. ალბათ ბევრს ისიც არ იყვირებს.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲣᲚᲣᲐ

მერლინ ოტი

ოტის ჩუმი დაბრუნება

ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲛᲐ და მსოფლიოს ჩემპიონატების თოთხმეტგზის მედალოსანი იამაიკელმა მერლინ ოტიმ მძლეოსნობაში დაბრუნების საწყის პუნქტად კუნძული სარდინია აირჩია. დისკვალიფიკაციას გადარჩენილი იამაიკელი ოპტიმისტურად განეწყო და საოლიმპიადოდ მშვენიერი გეგმებიც დასახა, თუმცა გუშინწინ კუნძულზე ნაჩვენებ შედეგს სამ ქულას თუ დავუწერთ ხუთბალიანი სისტემით, რაც 100-მეტრიან დისტანციაზე არსებული მძაფრი კონკურენციის პირობებში მეტად ცუდი დასაწყისია.

ქალაქი ნუორო, სადაც წლეულს გამართული სამძლეოსნო ტურნირი მასში მხოლოდ ოტის გამოსვლით იყო აღსანიშნავი — ცენტრალურ სარდინიაში, ზღვის დონიდან ხუთასი მეტრის სიმაღლეზე და შუა ივლისში ერთობ ცივად დახვდა მძლეოსნებს. სიცივე ოტიმ უმთავრეს ხელის შემშლელად მიიჩნია და თავისი 11,42 წამიც უფრო ამინდის ჭირვეულობას დააბრალა, არადა, 11,20-ის ჩვენება მაინც ჰქონია განზრახული. ესეც ბევრად მეტია, ვიდრე ოტის საუკეთესო შედეგი 100 მეტრზე — 10 წამი და 74 მეასედი, ამიტომ მორბენალი შეჯიბრის შემდეგ სასოწარკვეთილი წარუდგა მასმედიას.

„ოცი წელია, დასახულ მიზნებს მუდმივად ვაღწევ — თქვა მან — ახლა კი, მგონი, დასვენების დრო მიდგება.“ მწვრთნელი სდრჯან ჯორჯევიჩი უფრო იმედიანი ჩანდა, სექტემბრამდე ორი თვე კიდევ არისო.

ოტი იამაიკის ოლიმპიურ შესარჩევ ტურნირსა და სტოკჰოლმის ან ციურიხის ტურნირებზე რბენას გეგმავს. იგი იმედოვნებს, რომ იმ ქალაქებში მაინც დახვდება სითბო.

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲒᲣᲚᲣᲐ

ლარისას ცოდვები გაუხსენეს

ᲬᲧᲕᲘᲚᲔᲑᲨᲘ თამაშით სახელგანთქმული ლატვიელი ჩოგბურთელი ლარისა საჩენკო-ნეილანდი გუშინ 15134 დოლარით გაღარიბდა. საჩენკო-ნეილანდმა გასული წლის ავსტრალიის ღია პირველობაზე ესპანელ არანჩა სანჩეს-ვიკარიოსთან დუეტში მეოთხედფინალს უწია და ამისთვის ზემონახსენები თანხა მიიღო, თუმცა ავსტრალიაშივე ჩოგბურთელს ორგანიზმში ცნობილი დოპინგი — კოფეინი უპოვეს და საქმეც აღიძრა. გაჭიანურებულმა პროცესმა გუშინლამდე გასტანა, ხოლო ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის დასკვნითი ვერდიქტი უარყოფითი აღმოჩნდა. ფედერაციისგან გამოცემული ყოველკვიური ბიულეტენის თანახმად, საჩენკოს საპრიზო თანხის უკან დაბრუნება მოუწევს. სასჯელის სხვა დამატებით ზომებზე არაფერს იუწყებიან.

საჩენკო-ნეილანდის მიკროდოსიე ასეთია: 33 წლისა, წყვილებსა და შერეულ წყვილეში „დიდი სლემის“ ტურნირების ექვსგზის მომგები. წლევანდელ უიმბლდონზე რუს ლინა კრასნორუცკაიასთან ერთად თამაშობდა და პირველივე წრიდან გავარდა.

100-კილომეტრიანი ქსოვილი ერთი საღამოსთვის

ᲡᲘᲓᲜᲔᲘᲡ ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტისთვის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი ამ გრანდიოზული შეჯიბრის გახსნა-დახურვის საზეიმო ცერემონიალებიც გახლავთ. ეს ერთგვარი პაექრობაა წინამორბედი ოლიმპიადების მსგავს აღლუმებთან. ახლა სიდნეელი ორგანიზატორები გვპირდებიან, რომ ოლიმპიადის დახურვის ცერემონიალი ხუთ საათზე მეტხანს გაგრძელდება და მასში მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს სპორტისა და გართობის 45 ვარსკვლავი.

ამიტომაცაა, რომ 2 ოქტომბრის დახურვის ცერემონიალი ოლიმპიადების ისტორიაში შევა როგორც ყველაზე ხანგრძლივი სანახაობა. მასში გამოვა 7 ათასი შემსრულებელი, მათ შორის 1000 მოცეკვავე, რომლებისთვისაც საჭიროა 50 ათასი მბზინავი, 100 ათასი მეტრი ქსოვილი და 30 ათასი ლიტრი საღებავი.

— ყველაფერს ვიჩინებთ, რათა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში შევქმნათ ისეთი მომენტი, რომელიც მსოფლიოს სამუდამოდ დაამახსოვრდება — ამბობს სიდნეი 2000-ის ცერემონიალის დირექტორი რიკ ბირჩი.

ბირჩის თქმით, ადამიანების უმეტესობას არამართებულად მიაჩნია დახურვის ცერემონიალისთვის ასეთი მზადება, რადგან იგი 15 სექტემბრის გახსნის ცერემონიალს უტოლდება.

— გარკვეულწილად დახურვის ცერემონიალი უფრო სანახაობრივია, რადგან დაძაბულობა განელებულია და სპორტსმენებს მაყურებელთან ერთად შეუძლია გაერთოს — ამბობს რიკ ბირჩი.

საინტერესოა, რომ სიდნეის 110-ათასიანი სტადიონი ამ ცერემონიალის გარდა უმასპინძლებს კაცთა მარათონის ფინიშსა და მათ დაჯილდოებასაც.

აქვე იმასაც გაცნობებთ, რომ გახსნა-დახურვის ცერემონიალებს ტელევიზიის საშუალებით სამ-სამი მილიარდი მაყურებელი ეყოლება.

ᲒᲘᲒᲐ ᲒᲣᲠᲐᲡᲐᲫᲕᲘᲚᲘ

ჭადრაკი

მანქანა ნოკდაუნში

ალფრთოვანდნენ მსოფლიო ჭადრაკის ფანები, როცა გაიგეს, რომ ვლადიმერ კრამნიკმა დორტმუნდის სუპერტურნირის მეხუთე ტურში ებრაულ საჭადრაკო პროგრამა „ჯუნიორ 6"-ს მოუგო. წინა ტურში კრამნიკმა მაიკლ ადამსთან წლინახევრიანი წაუგებელი სერია გაწყვიტა და, ამ სამწუხარო მოვლენაზე მისგან მძაფრი რეაქცია იყო მოსალოდნელი. მოტივაცია ჩინებული გახლდათ — რუსი მოჭადრაკის პირისპირ რვა პროცესორით მომუშავე პროგრამა „იჯდა", კომპიუტერული ჭადრაკის მსოფლიო ჩემპიონი და დორტმუნდშიც ჯერჯერობით საკმაოდ სანაქებოდ, „+1"-ით მოთამაშე. მეორე მხრივ, სწორედ კრამნიკი ითვლება დღეს ისეთ მოთამაშედ, კომპიუტერის დამარცხებას ყველაზე კარგად რომ შეძლებს. ათამაშეთ მანქანასთან შიროვი ან ივანჩუკი. ისინი წამსვე იერიშზე გადავლენ, შესწირავენ პაიკს, ფიგურას და ეფექტური კომბინაციებით ფონს გასვლას შეეცდებიან. ამგვარი რამ ხშირად უჭრით ადამიანებთან (ამიტომაც ითვლებიან ელიტის წევრებად), მაგრამ კომპიუტერთან ტაქტიკური ბრძოლის მოგება უკვე პრაქტიკულად უიმედო საქმე გახდა და ამიტომ საეჭვოა, ნახსენები ხალხის ლამაზმა სვლებმა თუნდაც იგივე „ჯუნიორი" შეარყიოს.

სხვა საქმეა კრამნიკი. მან უკვე დაიმკვიდრა პოზიციურ თამაშს გადაყოლილის იმიჯი და სხვა კიდევ რა იარაღია საჭირო კომპიუტერთან ბრძოლაში? უპირველესად, რომელიმე უცნობი დებიუტი და შემდეგ თამაშის ჩაკეტვა. კრამნიკმა ეს ყველაფერი გუშინწინ უნაკლოდ გააკეთა. მისგან თეთრებით არჩეული დებიუტის სახელი ზუსტად არც ვიცით, ხოლო დაფაზე 15 სვლა ისე გაილია, პაიკი რაა, ისიც არ გაცვლილა. ვოვა მიზანმიმართულად ხერგავდა დაფის თითქმის მთელ არეს და ამით ფაქტობრივად „ჯუნიორს" ფრთებს აკვეცდა. ცენტრში გაუვალი პოზიციის წარმოქმნის შემდეგ მანქანას გაუჭირდა, ბრინჯივით დაიბნა და ყმაწვილური სვლების გაკეთება დაიწყო, ასე კი კრამნიკთან ვინ რას გახდება... ადამიანის მთელმა მძიმე არტილერიამ (ლაზიერი და ორი ეტლი) ორი მსუბუქი ფიგურის თანხლებით მეფის ფრთაზე დარჩენილი ერთადერთი ღია ველისკენ მოქნილად გადაინაცვლა და თეთრების 23-ე სვლის შემდეგ „ჯუნიორის" მეფე დატყვევების მწარე და აშკარა პერსპექტივის წინაშე დადგა. შავებით მოთამაშე ნებისმიერი დიდოსტატი ამ კრიტიკულ მომენტში თავდაცვის ახალი რესურსის მოძებნას დაიწყებდა, პაიკს გასწირავდა ან სხვანაირად გაამწვავებდა თამაშს, „ჯუნიორი" კიდევ ადგა და, ჰოი საოცრებავ! ლაზიერის ფრთაზე პაიკებით სრულიად უაზრო კონტრშეტევა წამოიწყო. კრამნიკი რაღას იზამდა, ახლა ცენტრალური პაიკებით დასცხო მეტოქეს, თავისი ბოლო უსაქმურიც — შავუჯრიანი კუ ბრძოლაში ჩართო და როცა 27-ე სვლის შემდეგ არსებულ სიტუაციას შეხედავთ, იოლად მიხვდებით, რატომაც დასრულდა ყველაფერი 6 სვლის შემდეგ (იხილეთ დიაგრამა).

ვიშვანათან ანანდი

გადამწყვეტმა შტურმმა კრამნიკს გადამწყვეტი მატერიალური უპირატესობა შესძინა და „ჯუნიორის" დროული დანებების მიზეზიც ეს იყო. ჰომო საპიენსთა მოდგმისთვის პარტიის ფსიქოლოგიური ღირებულება აშკარაა: ელექტრონიკა ადამიანის ტვინზე ჯერაც ვერ ამაღლებულა და ცოტახანს მაინც გვიხაროდეს!

ტურის ცენტრალური პარტია კი ლიდერებმა ითამაშეს, ვიშვანათან ანანდი თეთრებით ადამსს დაუხვდა. ინდოელმა ესპანური პარტია გაითამაშა და ძლიერ გასაკვირი იქნებოდა, ინგლისელს მარშალის კონტრშეტევით არ ეპასუხა: ის ამ დებიუტის მოყვარულია და ბევრჯერ უხეირია კიდეც მისი შემწეობით, თუმცა არა გუშინწინ. ადამსი დაღლილი ჩანდა, წინა ტურში კრამნიკის დამარცხებას, ეტყობა, ბევრი ენერგია შეალია და აღდგენა ველარ მოასწრო (აი, რითი გვჯაბნიან მანქანები), ამიტომ ანანდის პირველივე თეორიულმა სიახლემ მისი შეტევის ჩასაფუშად იკმარა. ადრე შეწირვით მოგებულ პაიკს ვიშიმ მალე მეორეც მიაყოლა და პარტიაც ამით პრაქტიკულად მოიგო. თუ ბრიტანელმა 45-ე სვლამდე მიატანა, ეს ალბათ მისი ნებისყოფის კარნახით უფრო მოხდა, ვიდრე საჭადრაკო ლოგიკის წესებით. ამ უკანასკნელთა თანახმად, ქულა ანანდისა იყო და ბოლოს სამართალმა პური ჭამა... ანანდი ერთპიროვნული ლიდერი გახდა, ხოლო მეორე ადგილს ასევე ერთპიროვნულად პეტერ ლეკო ფლობს. ჭაბუკმა უნგრელმა გუშინწინ ევგენი ბარეევს მომქანცველი 50-სვლიანი პარტია მოუგო. მათი თამაში საყურებლად ყველაზე კარგი გამოდგა და შესაბამისად, პოზიციურად უძრავი მხარეები მეტოქეთა ბანაკებში თავიანთ გემოზე დაჭენაობდნენ, ამ დროს კი პარტიის ბედი, მოგეხსენებათ, ძნელი გასარკვევია. ინიციატივა ხელიდან ხელში გადადიოდა და მხოლოდ ენდშპილმა გამოკვეთა უნგრელის ბატონობა დაფაზე. ლეკომ უპირატესობის გამოყენებაც არ დაახანა და დამსახურებული ქულა მიითვალა.

ტურის მეოთხე პარტია ალექსანდრ ხალიფმანსა და ვლადიმერ აკოფიანს შორის გაიმართა. ლას ვეგასის ფიდესეული მსოფლიო პირველობის ფინალის რეტროსპექტივამ დიდი ინტერესი გამოიწვია, თუმცა ფიდეს კაცთა პარტიაში ღირებული არაფერი მომხდარა. ხალიფმანმა ფრანგული დაცვით აშენებულ შავების პოზიციას მხოლოდ ფორმალურად შეუტია და თუმცა მხარეებს თითო ფიგურა და პაიკილა გაეცვალათ და იერიშის გაგრძელებაც შეიძლებოდა, 24-ე სვლაზე მეტოქეს ყაიმი შესთავაზა. აკოფიანს წინააღმდეგობა არ გაუწევია. ყაიმზევე შეთანხმდნენ რობერტ ჰიუბნერი და ჯეროენ პიკეტი. ისინი ახლა ცხრილის წყვილად დაილექენ.

დავით გულუა



ვითარება 5 ტურის შემდეგ

1. ანანდი — 4;
2. ლეკო — 3,5;
3-4. ადამსი, კრამნიკი — 3;
5. „ჯუნიორი" — 2,5;
6-8. ბარეევი, აკოფიანი, ხალიფმანი — 2;
9-10. პიკეტი, ჰიუბნერი — 1,5.

ცურვა

იან ტორფი

ტორფის ტერფი

გუშინ 17 წლის ავსტრალიელმა იან ტორფიმ ოფიციალურად მოითხოვა, დოპინგ-ტესტი ჩამიტარეთ, თან დაუყოვნებლივ ან ოლიმპიადის წინა დღეებში მაინცო. ეტყობა, ოზ თინეიჯერს სურს, მის შესახებ არსებულ მითქმა-მოთქმას წერტილი დაუსვას. კერძოდ, ახლახან „სიდნი ნიუსპეიპერში" მავანმა გერმანელმა მოცურავემ განაცხადა, რომ ტორფის არაბუნებრივად დიდი და ფართო ტერფები, სპეციალური ზრდის ჰორმონის მიღების შედეგია. ხოლო ტერფთა სიფართოვე, მოგეხსენებათ, ცურვისას ფრიად გასათვალისწინებელი ფაქტორია.

გერმანელის ნათქვამი პირველად ქალბატონმა მარგარეტ ტორფიმ შეიცხადა (მოცურავის დედა გახლავთ). მან ჟურნალისტებს უამბო ნაღვლიანი ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ ვერ შოულობდნენ ჯერ კიდევ ნორჩი იანისთვის საჭირო ზომის ფეხსაცმელს და ამის გამო ოჯახში პრობლემები ჰქონდათ. „თუმცა რაღა იანი დააზუსტა ქალბატონმა ტორფიმ — ჩვენს ოჯახში ყველას ფართო ტერფები აქვს". ამის დამამტკიცებელ საბუთად, რა თქმა უნდა ქალბატონმა ფეხსაცმელი არ წაიძრო, ამ დროს საუბარში ტორფის მენეჯერი, დეივ ფლესკესი ჩაერთო და გერმანელის ნათქვამს იაფფასიანი პროვოკაცია უწოდა. „ვილაცეები ცდილობენ, იანს ძირი გამოუთხარონ — თქვა შუბლშეკრულმა ფლესკესმა — აქამდეც ყოფილა მსგავსი შემთხვევები, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ".

საბოლოო დიაგნოზს, ხელოვნურია თუ არა ტორფის ტერფები, მხოლოდ დოპინგ-კონტროლი დასვამს.

დავით გულუა

ჰოკეი

მესიეს მისია: მესია

ამის შემდეგ რაც არ უნდა მოხდეს, ეს ამბავი მაინც ზაფხულის მთავარ თემად დარჩება. დიადი მარკ მესიე კვლავ „ნიუ იორკ რეინჯერსში" დაბრუნდა. სამშაბათს სახელოვანმა ვეტერანმა თავის ყოფილ კლუბთან, რომელსაც 1997 წელს დაშორდა, ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა, რომლის ფასიც სხვადასხვა წყაროს ინფორმაციით 8-დან 11 მილიონამდე მერყეობს, თანაც 2 მილიონს მესიე უმალვე ჩაიჯიბავს პრემიალურების სახით. აღსანიშნავია, რომ მესიეს ყოფილ კლუბს ვანკუვერს მისი გაშვება 2 მილიონი დაუჯდა.

...სამწლიანი წარუმატებლობის შემდეგ ნიუ იორკმა კვლავ მესია (მესიეს მეტსახელი) გაიხსენა, ჰოკეისტი, რომელმაც 54-წლიანი პაუზის შემდეგ „რეინჯერსებს" დიდება და სტენლის თასი დაუბრუნა, მაგრამ გავიდა სამი სეზონი და პლეი ოფში მარცხის მთავარ დამნაშავედ იგი შერაცხეს და ვანკუვერში გაყიდეს.

ახლა ძველი წყენა აღარავის ახსოვს. მესიეც, მიუხედავად ვანკუვერში უხეირო თამაშისა, იმედიანადაა და სჯერა, რეინჯერსს, ისევე როგორც ექვსი წლის წინ, ნამდვილად დაეხმარება, მით უმეტეს, რომ გვერდით 80-იანი წლების ედმონტონის არქიტექტორი გლენ საზერი ეყოლება, რომელიც სეზონის დამთავრების შემდეგ რეინჯერსში გენერალურ მენეჯერად დაინიშნა.

ყველაზე საინტერესო კი ის გახლავთ, რომ ჯერ კიდევ წინა დღეს სულ საპირისპირო აზრზე იდგა საზერი. მას შემდეგ, რაც ორშაბათს ნიუ ჯერსელ მცველ ვლადიმერ მალახოვს 14 მილიონ დოლარად გაურიგდა (ამ თანხას ჩემპიონად ქცეული რუსი ოთხი წლის განმავლობაში მიიღებს), გლენმა წყენით განაცხადა, რომ მესიესთან მოლაპარაკება ჩიხში შევიდა, გუნდს მისი შესაძენი ფული აღარ აქვსო. მაგრამ, მოგეხსენებათ, ნიუ იორკში ფულს არ ზოგავენ და საბოლოოდ მესიესთვისაც გამოინახა სახსრები.

ექვსი წლის წინანდელ ზღაპრულ ქორწილს სამწლიანი განშორება მოჰყვა, ახლა კი მესიე და რეინჯერსი კვლავ ერთად არიან და იქნებ, ამჯერადაც ნაყოფიერი გამოდგეს მათი შეყრა. თუმც სადღეისოდ ეს უფრო სურვილია, ვიდრე მოსალოდნელი კანონზომიერება. ძნელი წარმოსადგენია, რომ 40-ს მიახლოვებული მესიე (10 იანვარს შეუსრულდება), კვლავ შეძლებს უდიდესი ტვირთის ზიდვას.

სამველ ლარიბიანი

მარკ მესიე

6 სტენლის თასის, 2 ჰარტ ტროფის (ლიგის საუკეთესო მოთამაშე) და 1 კონ სმაიტს ტროფის (პლეი ოფის უძვირფასესი მოთამაშე) მფლობელი. 627 გოლი (მე-6 შედეგი ლიგის ისტორიაში), 1087 პასი (მეოთხე) და 1714 ქულა (მეოთხე).

პლეი ოფში 109 გოლით, 186 პასით და 295 ქულით მხოლოდ უეინ გრეცკის ჩამორჩება. 21 სეზონი ნჰლ-ში (1979-91 ედმონტონი, 1991-97 რეინჯერსი, 1997-2000 ვანკუვერი).

პელოტონი მოფვრიანდა

„ტურ დე ფრანსის“ პირველი ნაწილი დასრულდა. ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ იყო საინტერესო. ერთდღიანი დასვენების მერე მრბოლები ალპებს შეუტევენ. მანამდე კი გთავაზობთ შეჯიბრის დირექტორის ჟან-მარი ლებლანის ინტერვიუს, რომელიც „ტურის“ აქამდე განვლილ გზას ეხება.

ჟან-მარი ლებლანი

— როგორ ფიქრობთ, „ტურის“ ბედი უკვე ხომ არ გადაწყდა?

— სტარტამდე რამდენიმე ფავორიტი იყო, რომელთაგან გამარჯვების მეტი შანსი ლენს არმსტრონგს ჰქონდა, რადგან საუკეთესოდ მომზადებული ჩანდა. მართლაც, პირველ მთიან ეტაპზე ამერიკელმა ყველა კონკურენტს აჯობა. რაც შეეხებათ ლორან ჟალაბერს და მარკო პანტანის, აღმოჩნდა, რომ ისინი სათანადო ფორმაში ვერ აღწიან და არმსტრონგთან ვერაფერს გახდებიან. სამაგიეროდ, იან ულრიხი, რიშარ ვირანკი, ფერნანდო ესკარტინი და ხოსე-მარია ხიმენესი კარგად გამოიყურებიან და ჩემპიონობისთვის ბრძოლას ჯერაც განაგრძობენ. ფავორიტებმა ჯერჯერობით მხოლოდ ერთ მთიან ეტაპზე მოსინჯეს ძალა და, შესაბამისად „ტურიც“ არ დამთავრებულა.

— ორშაბათის ეტაპი მოგეწონათ? გამოჩნდა, ვინ რისი შემძლე იყო?

— დიახ. პირინეების ეტაპი ლამაზი სანახავი გახლდათ და ბევრის ძალა და სისუსტეც დაგვანახა. თავიდანვე უამრავი შეტევა განხორციელდა, პელოტონიც მალე დაიშალა, რაც იმის დასტურია, რომ მას პატრონი არ ჰყავს და არც რომელიმე გუნდს შეუძლია რბოლის გაკონტროლება. „კელმე“ და „ბანესტო“ კი გამორჩეულად მომეწონნენ. „კელმეს“ ოჩოამ გაუმართლა კიდეც, გაიმარჯვა. ისე, ძალიან ცუდია, რომ მთელი ყურადღება არმსტრონგის მიერ ყვითელი მაისურის მოპოვებაზე გადავიდა და ოჩოა თითქმის აღარავის გაახსენდა. არადა, მან ძალიან ძნელი ეტაპი მოიგო. მართალია, არმსტრონგი ბოლო აღმართზე შეუდარებელი იყო, მაგრამ ოჩოამ მთელი გზა ბრწყინვალედ გაიარა. ვირანკის აქტიურობაც აღნიშვნის ღირსია.

— რა ადგილს დაიკავებს ეს ეტაპი „ტურის“ ისტორიაში?

— მოვლენების შემდგომ განვითარებას გააჩნია. თუ არმსტრონგს ველარავინ გადაასწრო, იტყვიან, რომ მან „ტური“ ოტაკამში მოიგო. პირადად, მე არ ველოდი, რომ ელი ყვითელ მაისურას დაკარგავდა პირინეებში. თუმცა ისეთი ამინდი იყო, მრბოლებს ძალიან გაუჭირდათ. მართალია, ეს ეტაპი ძალიან გამორჩეული არ იყო, მაგრამ მაინც დიდი ეტაპის სახელით შევა „ტურის“ ისტორიაში.

— არმსტრონგზე რას იტყვით?

— ახალს არაფერს. ივივეს გავიმეორებ, რაც შარშან ვთქვი. ეს არის სპორტსმენი, რომელიც გამოჯანმრთელების შემდეგ (სათესლე ჯირკვლების კიბო ჰქონდა) აბსოლუტურად განსხვავებული დაგვიბრუნდა. იგი გაცილებით ძლიერია მთებში, ვიდრე ადრე. ძალიან ბევრი უმუშავია. ივნისშიც ვნახე, როცა „ტურის“ სიძნელეებს ეცნობოდა. ზოგიერთ მთაზე ორჯერაც კი ავიდა, ვანტუ კი სამჯერ დალაშქრა ველოსიპედით. ასეთ ვარჯიშებს და ამდენ მუშაობას კი არ შეიძლება, სასურველი შედეგი არ მოჰქონდეს. ამიტომაც მომეშალა ნერვები, როცა მასზე ზოგიერთ გაზეთში (მაგალითად, „ლე მონდი“) დაწერეს, რომ დოპინგს იღებს. ეს არაა მართალი.

— ხომ არ ნანობთ, რომ იგი მხოლოდ „ტურზე“ აყეთებს აქცენტს?

— არც ესაა მართალი. პანტანისთან და ულრიხთან შედარებით ის ძალიან ბევრს რბოლობს. სეზონის დასაწყისში ბევრ შეჯიბრში მიიღო მონაწილეობა და ერთობ კარგადაც გამოვიდა. ეს ადასტურებს, რომ იგი აპრილიდან მოყოლებული მშვენიერ ფორმაშია. არც მიგელ ინდურაინი და არც გრეგ ლემონდი, პანტანის და ულრიხს რომ თავი დავანებოთ, ამდენს არ რბოლობდნენ, თუმცა ბერნარ ინოს, ლორან ფინიონს და ედი მერქსს მაინც ჩამორჩება. წლევანდელი სეზონი არმსტრონგისთვის „ტურით“ არ დამთავრდება. მას ოლიმპიურ თამაშებშიც სურს მონაწილეობა, მანამდე კი სხვა ტურნირებშიც გამოვა, მაგალითად, ერონენბათა გრან პრიზე ინდივიდუალურ რბოლაში.

— „ტურის“ მომავალი ეტაპებისგან რას ელით?

— ვიმედოვნებ, ალპებში ფიცხელი ბრძოლა გაიმართება და ვერც ერთი მრბოლი სხვებს იოლად ვერ დაჯაბნის. არმსტრონგი მშვენიერ ფორმაშია, მაგრამ მისი გუნდი სხვებთან შედარებით მოისუსტებს, რაც ორშაბათსაც გამოჩნდა. ვფიქრობ, მას ძალიან გაუჭირდება ალპებში „ბანესტოსთან“, რომელსაც სამი მშვენიერი მრბოლი (ცულე, ხიმენესი, მანსებო) ჰყავს, „კელმესთან“, „ტელეკომთან“ მარტოს ბრძოლა. ამერიკელს ხიფათი თითქმის ყველა მხრიდან ელოდება. მომავალ მთიან ეტაპებზე ფიზიკური კონდიციები, ჩემი აზრით, გადამწყვეტი არ იქნება. დიდ როლს ითამაშებს გუნდების ტაქტიკაც.

— არმსტრონგის მთავარი მეტოქეების შანსებს როგორ შეაფასებდით?

— დღეს პანტანისა და ულრიხის ნაკლებად მჯერა, ვიდრე ესკარტინის, ვირანკისა და ხიმენესის, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ინდივიდუალურ რბოლებში საკმაოდ სუსტები არიან.

— აქამდე „ტური“ მთლიანობაში მოგეწონათ?

— ძალიან. ვიტყოდი, რომ ის ჯერჯერობით მშვენიერია. კარგი განწყობაა პელოტონში, უამრავი გაქცევის მოწმენი გავხდით, რომელთაგან ბევრი წარმატებითაც დასრულდა.

— წარმატებული გაქცევები ახსენეთ. მოულოდნელი ხომ არ იყო თქვენთვის ასე ცოტა სპრინტერული ფინიშები?

— არ ჩათვალოთ, რომ სპრინტერული ფინიშების მოწინააღმდეგე ვარ, მაგრამ ვიტყვი, რომ როცა პელოტონი მთლიანობაში ამთავრებს ეტაპს, ეს შემტევთა ხელის მოცარვას ნიშნავს, ეს კი ნამდვილად არ მიყვარს. თუმცა ხანდახან სპრინტის ნახვაც მსიამოვნებს.

— გუნდური რბოლის დაბრუნებამ გაამართლა?

— მან თავისი საქმე მშვენივრად გააკეთა, ანუ წინა წლებისგან განსხვავებით, უკვე თავიდანვე გამოიკვეთნენ აშკარა ფავორიტები.

— „ტურს“ დაწყებამდე სამი მრბოლი გამოაკლდა. მათ გარდა ჯერჯერობით არავის აღმოსჩენია დოპინგის ნიშნები. ეს პელოტონის მომჯობინებას ნიშნავს?

— მგონი, ამის თქმა თამამად შეგვიძლია. მომჯობინება ნიშნავს, რომ საქმე უკეთაა, მაგრამ მთლიან გამოჯანმრთელებაზე ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. იმედი მაქვს, რომ პელოტონი უკვე გამოჯანმრთელდა, მაგრამ ამის დამადასტურებელი ფაქტები არ არსებობს. ვფიქრობ, ეპო-ს აღმოჩენის შესაძლებლობამ კარგად იმოქმედა და მრბოლებმა დოპინგის ამ სახეობაზე უარი თქვეს. გზებზე მიმდინარე ამბებიც მარწმუნებს ამაში. მაგალითად, რბოლები 60 კმ/სთ სიჩქარით აღარ მთავრდება.

— ერთი სიტყვით, წლევანდელ „ტურზე“ ყველაფერი უკეთაა, ვიდრე შარშან და შარშანწინ?

— რა თქმა უნდა. განწყობაც ბრწყინვალეა. მრბოლები, ჟურნალისტები, ორგანიზატორები მშვენიერ ხასიათზე ვართ, ვიდრე შარშან, როცა თითქმის ყველა შედეგს ეჭვის თვალით ვუყურებდით. სპორტსმენები და ჟურნალისტებიც აღარ ერიდებიან ერთმანეთთან ურთიერთობას.

— დაბოლოს. ჟალაბერს ყვითელი მაისურა ეცვა, ანიოლუტომ ეტაპი მოიგო, ვირანკი და მორო პირინეებში საკმაოდ კარგად გამოვიდნენ. ფრანგული ველოსპორტის აღორძინებაც იწყება?

— ეს ძალიან კარგი შედეგები იყო, მაგრამ მოროს გარდა ყველა უკვე ველოსპორტის ვეტერანებად შეიძლება ჩაითვალონ. უფრო მეტად ახალგაზრდების წარმატებები გამახარებდა, ეს კი არ ჩანს. ასე რომ, ფრანგული ველოსპორტის აღორძინებაზე საუბარი ჯერჯერობით ნაადრევად მიმაჩნია.

თარგმნა გაგი გურულმა



ჟან-მარი ლებლანი და საფრანგეთის იუსტიციის მინისტრი ელიზაბეტ გიგუ „ტურის“ პელოტონს მიჰყვებიან

ერთი დღის ისტორია

13 ივლისი



ტომ სიმპსონი

სიმპსონი ხელოვნური სუნთქვითაც ვერ მოასულიერეს

13 „ტურ დე ფრანსისთვისაც“ თარსი რიცხვი გამოდგა. ვანტუს მთაზე, რომელზეც გუშინ გესაუბრეთ, ტრაგედია. 1967 წლის 13 ივლისს „ტურის“ მე-13 ეტაპი მოეწყო. პელოტონი მარსელიდან გავიდა და ვანტუს მთის გადავლის შემდეგ ფინიში კარპენტრაში ჰქონდა. საშინელი სიცხე იყო. ვანტუს აღმართის დასაწყისში ხიმენესმა შეუტია. მისი მიყოლა მხოლოდ პულიდორმა შეძლო. ცოტა ხანში კონტრიერიშიც განხორციელდა. ლტოლვილებს ჯიმონდი, ბალმანიონი, იანსენი და სიმპსონი გამოუდგნენ. თუმცა ამ უკანასკნელს ძალებმა უმტყუნა, მალე ჩამორჩა კომპანიონებს და სხვა ჯგუფი დაეწია. დიდბრიტანელს მათი გაყოლაც აღარ შეეძლო. იგი ისე მოძრაობდა, თითქოს კადრი შეანელესო. ცოტა ხანში კი წაიქცა კიდეც. გზაზე შეკრებილმა მაყურებლებმა იგი ისევ შემოსვეს ველოსიპედზე, მაგრამ ტომ სიმპსონს გზის გაგრძელება აღარ შეეძლო — იგი აგონიაში იყო. საკაცეზე მწოლიარე სიმპსონის მზერა სადღაც უსასრულობისკენ იყო მიმართული, მრბოლი აღარაფერზე რეაგირებდა. „ტურის“ ექიმმა მისი ავინიონის საავადმყოფოში გადაყვანა მოითხოვა შვეულმფრენით, თუმცა სპორტსმენს მხოლოდ რამდენიმე წუთის სიცოცხლეღა რჩებოდა და მალე გარდაიცვალა კიდეც. „ტურის“ ექიმმა, დოქტორმა დიუმამ გვამის გაკვეთის უფლება არავის მისცა. მარსელელმა ტოქსიკოლოგმა სიმპსონის ცხედარი ზედაპირულად მაინც შეისწავლა და განაცხადა, რომ მას ამფეტამინები (დოპინგია) ჰქონდა მიღებული. ოფიციალურად ეს ინფორმაცია „ტურის“ ექიმს ან ვინმე სხვას არ დაუდასტურებიათ, ვანტუს მთამ კი შეჯიბრის ისტორიაში ერთი შავი ფურცელი ჩაწერა.

ტურის ჯილდოები

ყვითელი მაისურა



დონ მიგელ ინდურაინი

„ტურ დე ფრანსზე“ და საერთოდ ნებისმიერ მრავალდღიან ველორბოლაზე დაწესებულ ჯილდოთაგან ყველაზე მნიშვნელოვანი საერთო ჩათვლაში გამარჯვებაა. მარტივად რომ ვთქვათ, ველომრბოლი ამ ჯილდოს იღებს მთელი ტრასის ყველაზე სწრაფად გავლისთვის. ეს დაახლოებით ოთხიათასკილომეტრიანი გზა დაყოფილია 21 ეტაპად. მრბოლები დღეში ერთ ეტაპს ვადიან. საბოლოოდ ჯამდება სპორტსმენის მიერ თითოეულ ეტაპზე დახარჯული დრო. გამარჯვებული ისაა, ვისაც ეს დრო ყველაზე ნაკლები აღმოაჩნდება. თეორიულად და სხვათა შორის, პრაქტიკულადაც შესაძლებელია ამ დროის გაუმჯობესება ეგრეთ წოდებული ბონიფიკაციის მეშვეობით. ყოველ ეტაპზე მოწყობილია რამდენიმე საშუალედო ფინიში. აი, ამ ფინიშის პირველ გადამკვეთს საერთო ნაჩვენები დროდან აკლდება 6 წამი, მეორეს — 4, მესამეს — 2. ამას გარდა ეტაპის მომგებისთვის ბონიფიკაცია, ე.ი. რაღაც რაოდენობით დროის ჩამოჭრა, განსაზღვრულია 12 წამით, მეორე პრიზიორისთვის 8 წამით, მესამესთვის — 4-ით.

„ტურ დე ფრანსზე“ საერთო ჩათვლის ლიდერი ყვითელი მაისურით ასპარეზობს. ლიდერები ტურზე, განსაკუთრებით კი საწყის ეტაპებზე, საკმაოდ ხშირად იცვლება.

გამარჯვებულისთვის დაწესებულია ფულადი ჯილდო 2,2 მილიონი ფრანკი (დაახლოებით 600 ათასი ლარი), მაგრამ უფრო მნიშვნელოვანი ის არის, რომ ტურის მომგები სპორტსმენი ავტომატურად ხდება მსოფლიოს №1 ველოსიპედისტი, ყოველგვარი „თუმცასა“ და „მაგრამის“ გარეშე. ეს ფაქტი კი, ცხადია, დამატებითი ფინანსური შემოსავლების წყაროა.

ტურის გამარჯვებულნი 1991-99

1991 — მიგელ ინდურაინი (ესპანეთი)
1992 — მიგელ ინდურაინი
1993 — მიგელ ინდურაინი
1994 — მიგელ ინდურაინი
1995 — მიგელ ინდურაინი
1996 — ბიარნ რიისი (დანია)
1997 — იან ულრიხი (გერმანია)
1998 — მარკო პანტანი (იტალია)
1999 — ლანს არმსტრონგი (აშშ)

ტურის ჩემპიონის ტიტულის ახლანდელ მაძებართა შორის სამნი — ულრიხი, პანტანი და არმსტრონგი უკვე იყვნენ ჩემპიონები. ორჯერ მეორე მივიდა ფინიშთან (რაც აგრეთვე ძალზე საპატიოა) შვეიცარიელი ალექს ცულე.

საფიქრებელია, რომ სწორედ მათ შორის არის „ტურ დე ფრანსის“ წლევანდელი გამარჯვებულიც.

ირაკლი ბერიაშვილი

ფოტო ფოტოში



არა, ისე როდია საქმე, მკითხველმა რომ იფიქრა: შუა „ტურ დე ფრანსის“ დროს ფოტოაპარატით ღლაბუცის საშუალება სად არის, ეს ხომ პროფესიონალიზმს შეურაცხყოფსო. გუშინწინ ველომრბოლები ისვენებდნენ და ლენს არმსტრონგი და მისი თანაგუნდელი ჯორჯ ჰინკეპი მხოლოდ ტაატით მიდიან კარპენტრასის შემოგარენში, აქიტომ ჰინკეპისგან ფოტოაპარატის ჩხაკუნი დასაშვებია და საჭიროც: ხვალ რა იქნება, ეშმაკმა უწყის, ის წამი კი უეჭველად უნდა შემორჩეს ისტორიას, როცა არმსტრონგი საერთო ჩათვლას ლიდერობდა.

კვანი და პუშკინი

დიდი რუსი პოეტის ალექსანდრ პუშკინისა არ იყოს, ამერიკელ ფიგურულად მოსრიალე მიშელ კვანსაც შეუძლია თქვას: ძეგლი ავიგე ხელთუქმნელი... მიხვდებოდით, ცოცხალი მიშელ კვანი თავის ასლს მადამ ტიუსოს ცვილის ქანდაკებათა მეზეუმში ეტოლება.



ბენის ცარიელი ჯიბე

სპორტისთვის აწ უკვე მკვდარი ბენ ჯონსონი რომში ჟურნალისტებთან თავის გასაჭირს ჰყვება. რამდენიმე ხნით ადრე იგი ბოშათა ბავშვების გუნდს გაუძარცვავს და კანადაში დასაბრუნებელი ფული არ შერჩენია. დაგეხმართ!... ჯონსონის საბანკო რეკვიზიტებია...

იტალია გაიპრანჭა

„ბენეტონ გრუპის“ პიერ რიშარისთმება თავკაცი, ლუჩანო ბენეტონი მომხიბლავ გოგონებში თავს იწონებს. მას აქვს ამის უფლება, „ბენეტონ გრუპმა“ სიდნეის ოლიმპიადაზე წამსვლელ იტალიელთათვის ახალი სამოსი შეკერა და სწორედ ამ ფორმას უჩვენებენ ეს კეკლუცები საზოგადოებას. პრეზენტაცია ეფექტური იყო.

პირუტყვნი და მეტყველნი

სან-ფერმინის ხართა რბოლების ფესტივალზე 12 ივლისს საცოდავი (ჩვენი აზრით) პირუტყვები მეექვსედ გამორეკეს ქალაქის ქუჩებში. ეს ამბავი პამპლონაში იყო. მძაფრ შეგრძნებებზე მონადირეების დაჯგუფება ერთხელაც გაიქცა უენოთა თავებზე აღმართული მძლავრი იარაღებისგან თავის დასაღწევად. რა ძალა ადგათ...

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჯედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქტორი ვახტანგ გზიკაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქტორი სოლომონ გულისაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაძეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი; უცხოური განყოფილება გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ზურაბ მეძველია, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, დავით გულუა, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოვრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge